

ქვეყანა



39

ქვეყნული



ეროვნული  
ხელოვნება

საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება  
ГРУЗИНСКОЕ ОБЩЕСТВО ОХРАНЫ ПАМЯТНИКОВ КУЛЬТУРЫ  
GEORGIAN SOCIETY FOR PROTECTION OF CULTURAL MONUMENTS

სერია: „მატირიალური კულტურის ძეგლები“

ქეკელის  
ქუთხარი

სერიის რედაქტორი — ოთარ ჩერქეზია  
რედაქტორი — ოთარ ლორთქიფანიძე

Редактор серии — Отар Черкезия  
Редактор — Отар Лордкипанидзе

გამომცემის საჭიროებების შესაბამისად

---

**სარედაქციო კოლეგია:** ირაკლი აბაშიძე, ვახტანგ ბერიძე, ირაკლი გოლჭვაძე (პ/მე.  
მდივანი), ლალა გუდიაშვილი, ოთარ თაყთაიშვილი, ირაკლი ჯაფარიანი,  
ნეკო კაცხუშელი, ოთარ ლორთქიფანიძე, ლევან შატაბაძე, ოთარ სანთელიძე,  
თინათინ ფერაძე, გიორგი ჩიბაძე, ვახტანგ ცინცაძე.

ჩვენს რესპუბლიკაში სოციალისტურ ახალშენებლობათა ტემპების ზრდას გააუძღვლა უკავშირდება არქიტექტურული კვლევა-ძიების პერსპექტივები.

ახალშენებლობათა ზონაში ისტორიის, არქიტექტურისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მიერ განხორციელებული სამუშაოები უკვე აღინიშნა უდიდესი მეცნიერული და მხატვრული მნიშვნელობის აღმოჩენებით. ასე მაგ., უკანასკნელ წლებში იორ-ალაზნის სარწყავი სისტემის მშენებლობის ზონაში აღმოჩენილია ძველი ქვის ხანის ადრეული ეტაპის მანამდე უცნობი ძეგლები, ადრესამიწათმოქმედო დასახლებები, შუაბრინჯაოს ხანის ბრწყინვალე თრიალეთური კულტურის ახალი კერები, ადრეკინის და ანტიკურ-ფეოდალური ხანის მრავალფეროვანი ძეგლები. ჩვენი დედაქალაქის მისადგომებთან დიდი ველზე აღმოჩენილია და ინტენსიურად ისწავლება კარგად სტრატეგიული ბული არქიტექტურული ძეგლები (ნამოსახლარები და სამაროვნები) ძვ. წ. V-IV ათასწლეულებიდან მოკიდებული გვიანსაშუალო საუკუნეებამდე. განუთმელია ამ ძეგლების დიდი მეცნიერული მნიშვნელობა საქართველოსა და კავკასიაში პროტოქალაქური ცივილიზაციის, აგრეთვე თბილისის გაქალაქების ისტორიისათვის.

ასევე დიდი მეცნიერული და მხატვრული მნიშვნელობის ძეგლების აღმოჩენებით აღინიშნება ყოველწლიურად არქიტექტურული სამუშაოები ვინაღაცის, ვარციხესის, კოლხიდმშენისა და სხვ. მშენებლობათა ზონაში, როგორც მოწმობენ ამ კრებულში გამოქვეყნებული მასალები.

ჩვენს რესპუბლიკაში ახალშენებლობათა არეალი და ტემპები კი ყოველწლიურად იზრდება, განსაკუთრებით „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ერთობლივი დადგენილების საფუძველზე: იგება მძლავრი ელსადგურები, უზარმაზარი ქარხნები, წყალსაცავები და დიდი სარწყავი სისტემები, გზები, საცხოვრებელი კომპლექსები... ამასთან მომავალ ხუთწლეულში ახალი ფაბრიკა-ქარხნებისა და მათი თანმშლები საცხოვრებელი მიკრორაიონების მშენებლობა იგეგმება თითქმის მთლიანად დიდი ქალაქების გარეთ, რასაც მოყვება, ბუნებრივია არქიტექტურული ძეგლებით მდიდარი მიწების ათვისება. ასევე სამელიორაციო სამუშაოები იორ-ალაზნის ველზე, კოლხეთის დაბლობში და სხვ. გამოიწვევენ დიდი მასშტაბის სასოფლო-სამეურნეო და სხვა მიწის სამუშაოებს. ყოველივე ზემოქმედებული განადგურების გარკვეულ საფრთხეს უქმნის ნივთიერი კულტურის წიაღისეულ ძეგლებს. ამიტომ ახალშენებლობათა ზონაში არქიტექტურული სამუშაოების დროული განხორციელება ჩვენი არქიტექტურული კვლევა-ძიების პირველი რიგის ამოცანაა. შეუძლებელია მშენებლობათა შეჩერება ან მისი ტემპების შენელება კი! მაგრამ ამავე დროს ყოვლად დაუშვებელია, რომ კულტურისა და ხელოვნების ძეგლები, მეტწილად უნიკალური, დიდი მეცნიერული და მხატვრული მნიშვნელობისა, დაინგრეს ან წყლით დაიფაროს მეცნიერული შესწავლისა და დაცვის გარეშე. ამიტომაცაა, რომ ახალშენებლობათა ზონაში მოქმედი კულტურისა და ხელოვნების ძეგლები საბჭოთა სახელმწიფოს განსაკუთრებით ზრუნვის საგნადაა ქვეული: სსრკ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით ყოველი მშენებლობა გოვალმა დააფინანსოს მის ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქიტექტურული ძეგლების ყოველმხრივი შესწავლა.



ასე, რომ ახალმშენებლობათა ზონაში არქეოლოგიური სამუშაოების დროულად და ეფექტიანად განხორციელება სახალხო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე ნაა. ჩვენ ფეხდაფეხ უნდა მივყვეთ (უფრო სწორედ — უნდა დავასწოროთ) ახალმშენებლობებს, რომ შევძლოთ მეცნიერებისა და ხალხისათვის იმ არქეოლოგიური ძეგლების გადარჩენა, რომელთაც დაღუპვა ემუქრებათ. საამისოდ აუცილებელია ახალმშენებლობებით გამოწვეულ სავლე-არქეოლოგიურ სამუშაოებს მიეცეს გეგმაზომიერი ხასიათი, რომელიც რესპუბლიკის ახალმშენებლობათა პერსპექტიულ გეგმასთან იქნება კოორდინირებული. ქართული არქეოლოგიის სოციალისტურ ახალმშენებლობათა სამსახურში ჩაყენება ჩვენი გადაუდებელი სახელმწიფოებრივი ამოცანაა.

სწორედ ამ მიზნით ახლახან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან შეიქმნა სოციალისტურ ახალმშენებლობებზე არქეოლოგიური კვლევა-ძიების საბჭო, რომელსაც თავმჯდომარეობს აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი ი. ვეკუა, ზოლომის შემადგენლობაში შედიან არქეოლოგებთან ერთად იმ სამინისტროებისა და უწყებათა ხელმძღვანელები, რომელნიც აწარმოებენ მშენებლობას რესპუბლიკის ფარგლებში.

## ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები არაგვის ხეობაში

მესუთე წელსა რაც ღინვალის ექსპედიცია ფართო არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას აწარმოებს ღინვალის პიდროკვანძის მშენებლობის არეში, რომელიც მოიცავს არაგვის ხეობის საკმაოდ დიდ მონაკვეთს — სოფ. საგურამოდან სოფ. ციხისძირამდე (მთაულეთის არაგვზე) და სოფელ მალაროსკარამდე (ფშავის არაგვზე). საველე კვლევა-ძიების გვერდით ორთავე არაგვის ხეობაში დიდი ყურადღება ექცევა სადაზვერვო სამუშაოებსაც. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდია ინტერესი არქეოლოგიურად, თითქმის ხელუხლებ ფშავის არაგვის ხეობისადმი, სადაც აღირიცხა დღემდე უცნობი მრავალი ძეგლი. სადაზვერვო სამუშაოებმა, რომლებსაც 1971 წელს უმთავრესი ადგილი ეკავა ჩვენს საქმიანობაში, ხოლო შემდეგ კი საგანგებო რაზმი ემსახურება, ავირვენა, რომ არაგვის მთელი აუზი არქეოლოგიური თვალსაზრისით უაღრესად პერსპექტიული მხარეა. განვლილი ოთხი წლის განმავლობაში ჩვენს სიძველეთა ნუსხას შეემატა ასობით მანამდე უცნობი ძეგლას სახელი. ახლად აღმოჩენილ სამაროვნებს, ეკლესია-მონასტრებს, ციხე-სიმაგრეთა ნაშთებს, აჩაქვლის ტიპის კომპლექსებს — ალპიურ ზონაში და მრავალ სხვას, რომლებიც ასე უხვადაა მიმოხეული ფშავ-ხევსურეთისა და მთიულეთ-გუდამაყრის მიწა-წყალზე, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამ მხარის მატერიალურა კულტურის, სოციალური ვითარებისა და პოლიტიკური ისტორიის, აგრეთვე მათისა და ბარას ურთიერთობის ისტორიის კვლევას საქმეში.

უაღრესად დიდია სამშენებლო მოედნებზე და მთელი არაგვის აუზში მიკვლეულ ძეგლთა ქრონოლოგიური დიაპაზონიც. არაგვის აუზისათვის მანამდე უცნობი ქვას ხანის ძეგლებიდან მოყოლებული თითქმის ყველა დროის მასალებმა აჩინა თავი. მათ შორის გამოირჩევა ადრელითონებისა და მომდევნო ხანის მრავალფენიანი ძეგლი სოფ. ღინვალში (წყალგამყვანი გვირაბის სათავესთან), მაგრამ განსაკუთრებით თვალში საცემია ე. წ. გვიანანტიკური ანუ არამაზულ და ფეოდალურ ხანათა ძეგლების სიუხვე.

ადრე და განსაკუთრებით შუაფეოდალური ხანის ძეგლთა მრავალრიცხოვნება არაგვის ხეობაში ჩვენ ბუნებრივადაც გვეჩვენება ამის გამო, რომ მთისა და ბარის ურთიერთობის აღნიშნულ ეტაპზე კარგად ორგანიზებული და ეკონომიურად დაწინაურებული ბარის ზემოქმედება მთაზე უცილობელი ჩანს, მაგრამ როგორც არკვევა, ამ მოვლენას უფრო ღრმა ფესვები გააჩნია, ყოველ შემთხვევაში ანტიკური ხანიდან მაინც.

ამჯერად უფრო ვრცლად „ძეგლის მგობრის“ მკითხველს გვსურს მოვუთხროთ ამ საყურადღებო აღმოჩენების შესახებ ახალ ღინვალსა (ქვ. არანისი „ზანდუკლიანთ ნავენახარი“) და სოფ. არაგვისპირში, რომელთაც არმაზისხევის ტიპის მეტად საყურადღებო მასალები შეგვიძინეს და დიდად შეავსეს ჩვენი ცოდნა გვიანარამაზული ხანის არა მარტო არაგვის ხეობას, არამედ მთელი აღმოსავლეთ საქართველოს შესახებაც.

პირველი ძეგლი მდებარეობს „ზანდუკლიანთ ნავენახარზე“, იქ, სადაც ამჟამად აშენდა ქალაქური დასახლება — ახალი ღინვალი. კვლევა-ძიება აღნიშნულ ადგილას ჯერ არ დასრულებულა, მაგრამ უკვე საესეებით აშკარაა, რომ სოფ. ქვემო არანისის



მინის კურქელი ახ. ენქვალის № 1  
სამარხიდან.

Стеклнные сосуды из погр. № 1  
Ахали Жинвали.

სამხრეთით მდებარე დამრეცი ვაკობი ინტენსიურად ყოფილა ათვისებული არმაზულ-სა და ადრეფეოდალურ ხანაში. იქ აღმოჩენილ ძეგლთა შორის განსაკუთრებით საყურადღებოა არმაზული ხანის ნამოსახლარის აღმოსავლეთით, ადმინისტრაციული სახლის ქვაბულში აღმოჩენილი სამაროვანი, სადაც, რიგითი სამარხების გურდით, შესწავლილია მდიდრული სამარხებიც.

სამარხი № 1. მდებარეობდა მიწის ზედაპირიდან 1,2 მეტრის სიღრმეზე. წარმოადგენდა ოვალურ ორმოსამარხს, რომლის ძირზეც ესვენა თავით სამხრეთიანაკენ დამხრობილი, მარჯვენა გვერდზე მწოლარე კიდურებმოკეცილი ქალის ჩონჩხი და მასთან ერთად აღმოჩნდა ჩველი ბავშვის დაზიანებული ძელები.

მოზრდილს, ალბათ ქალს, თან ახლდა კარგად განლექილი თიხის ორი მოჩაღისფრო, ცალყურა ჭურჭელი; აგრეთვე მინის ორი ჭურჭელი, ამათგან ერთი ორყურა; ოქროს წყვილა საყურე, ძოწისა თუ აღმანდინის თვლებით შემკული, ოქროს ბეჭედი თვლით; ვერცხლის გემშიანი ბეჭედი ძაღლის გამოსახულებით; ოქროს პატარა ზოდი და დიდძალი მძივები, ძირითადად სარდიონისა. ბავშვს თავქვეშ ამოღებული ჰქონდა ვერცხლის სადაკალთებიანი პინაკი (დამხვრეული); ეკეთა ვერცხლის სამი ბეჭედი, აქედან ორა გემშიანი, (ერთზე ცეცხლიანი ბომონია გამოსახული, ხოლო მეორეზე ნუტრია). ამას გარდა, აღმოჩნდა ვერცხლის ერთი მონეტა ავეუსტესი, და დიდძალი მძივები.



ახალი ჟინვალი. სარცელის ფეხების ვერცხლის გარსაკრავები № 5 სამარხიდან.

Ахали Живали. Серебряные ножки с погребального ложа.

სამარხი № 5. მდებარეობდა 1,5 მ. სიღრმეზე. უშუალოდ ნიადაგში ჩასვენებული იყო ზურგზე მწოლარე. გულსელდაკრფალი და გაშოტილი მამაკაცი, თავით დასაწლეთისაკენ. სამარხის გაგრძელებაზე, აღმოსავლეთით აღმოჩნდა ცხენის ჩონჩხი, რომელიც მშენებლებმა სანახევროდ დააზიანეს.

მე-5 სამარხში აღმოჩნდა: სარცელის ფეხის ვერცხლის ოთხი გარსაკრავი, ვერცხლის პინაკი (იღო თავქვეშ) არმაზული წარწერით, ვერცხლის სამი ბეჭედი, მათ შორის ორი მასიურია და გემებითაა შემკული (ერთზე მდგომარე მამაკაცია, რომლის ფეხებთან მდებარე საგანზე ჯვარია გამოსახული, ხოლო მეორეზე კი ტოტემ-გაშლილი ხის წინაშე მდგარი თხა), ოქროს წყვილი საყურე, ოქროს ერთი (იულია



ახალი ენეოლი. ვერცხლის პინაკი № 5  
სამარხიდან.

Ахали Живали. Серебряная чаша  
из погр. № 5

სოფ. არაგვისპირი ვერცხლის სურბები  
ნადირობის სცენებით № 18 სამარხიდან.

С. Арагвиспирн. Серебряные кувшины  
со сценами охоты из погр. № 13





არაგვისპირის სამაროვანი. ოქროს უღლ-  
სახამი მულაღიონით, შუაში ტიზრული  
მინანქრით და მარგალიტის საყიდით.  
ფოტო ვ. ასტახოვისა

с. Арагвипири. Могильник III—IV вв.  
Золотое ожерелье с медальоном.

Фото В. Астахова



დომნას) და ვერცხლის ოთხი მონეტა (არტაბანა II-ისა და აგაგუსტეს ქატიკლერი მოჭრილი), ვერცხლის ქამრის ნაწილები, მრავალი დიდ-პატარა აბზინდავრეთვე ვერცხლისა; მინის ხუთი ჭურჭელი; თიხის დიდი ხელადა, ყელწიბოვანი, მოწალისფრო; რკინის სატევრისპირი, მძივები და სხვ.

დიდი ანტირესი გამოიწვია სოფ. არაგვისპირში მიკლელულმა დიდმა ნამოსახლარმა და სამაროვანმა, რომელიც 1973—1974 წ. წ. ითხრებოდა და რომლის შესწავლა ამჟამადაც გრძელდება. კერძოვრებით არაგვისპირის სამაროვანზე 46 სამარხია გათხრილი. ამ სამარხთა ნაწილი მიწის ზედაპირიდან 0,6-0,8 მეტრის სიღრმეზე იყო განლაგებული, ნაწილი კი უფრო ღრმად (1-1,5 მ.).


ტიპური ორმოსამარხი წარმოადგენს მოგრძო-ოვალურ ორმოს, რომლის ძირზე გეგმდება კიდურებმოხრილი თითო, ან იშვიათად ორი ჩონჩხი. რიგითი სამარხებისათვის დამახასიათებელია თითო-ორლა თიხის ჭურჭელი და მძივ-სამკაკული, მათ შორის, არც თუ იშვიათად, ბრინჯაოს ან ვერცხლის ბეჭდები, გემშიანი თვლებით.

სამაროვანზე აღმოჩნდა მდიდრულ სამარხთა უბანიც, (სამარხები: 9, 10, 11, 13, 23), სადაც სამი სამარხი, მდიდრული ინვენტარის შემადგენლობით, არმაზისხევის სამარხთა რანგისაა.

სამარხი № 9. მდებარეობდა 1,3 მეტრის სიღრმეზე, ორმოს ძირზე ესვენა მარცხენა გვერდზე, მწოლარე კიდურებმოხრილი ხანიშისუსული ქალი, თავით დასავლეთისაკენ. თავთან ედგა ყელწიბოვანი ორი ნატიფი ხელადა, ჩალისფრად გამოშვარი; ოქროს ბეჭდები, მათ შორის ერთი სრულიად უნიკალური, ინკრუსტირებული აღმანდინის ბრტყელი ფირფიტებით; იმავე სტილით ნაკეთები ოქროს მრგვალი მედალიონი, შესაბნევი ყუნწით უკანა მხარეზე; ოქროს კილიტები; ოქროსავე საყურები, მძივები და სხვა.

სამარხი № 10. ოვალურ-მოგრძო ორმოში, 1,3 მეტრის სიღრმეზე აღმოჩნდა ახალგაზრდა მამაკაცის გამოტოლი ჩონჩხი, თავით დასავლეთისაკენ. მარჯვენა ფეხი, მუხლის ქვემოთ, ეტყობა სიცოცხლეშივე აქონდა წაკეთილი. სამარხში აღმოჩნდა ვერცხლის პანაკი, მოჭკრილი, შუაში ფრთაგაშლილი არწივის გამოსახულებით, რომელსაც ნისკარტში ძალაუფლების სიმბოლო — გვირგვინი უპყრია, ოქროს წყვილი საყურე, შემკული აღმანდინის თვლებით; ვერცხლის და ოქროს ბეჭდები; მინის სანელსაცხებლე; ზღვის ნიქარის ნახევარი, მძივები (სარდიონისა და გიშრის) და სხვა.


სამარხი № 13. 1,5 მეტრის სიღრმეზე, დიდ ოვალურ ორმოში ესვენა ერთი ინდივიდი გამოტოლი, თავით დასავლეთისაკენ. თავქვეშ ედო ვერცხლის პანაკი, რომელიც ტიპოლოგურად ძლიერ ახლოა ახალი ენვალის № 1 სამარხში აღმოჩენილ ვერცხლის ჭურჭელთან, თუმცა იგი გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია იმით, რომ მის ფსკერზე უაღრესად რეალისტურად და დიდა ხელოვნებით გამოსახულია ბომონის წინაშე მდგომი ტორაწვეული ცხენი; ვერცხლის ორი სურა ნადირობის რელიეფური სიუჟეტებით. ერთ მათგანზე ირმებზე ნადირობაა ასახული, ხოლო მეორეზე კი იგივე მხედარი (ეკონოგრაფიულად) ტახტზე ნადირობს; ვერცხლის პატარა ლამბაქი; ოქროს სამაჯური; ოქროს სამი ბეჭედი, ამათგან ორი სარდიონის გემშიანია თვლებით; ოქროს ყელსაბამი, წნული ძეწკვითა და მედალიონით, რომელიც აღმანდინას თხელი სამკუთხედებითაა ინკრუსტირებული. აღნიშნული მედალიონი საგანგებო ყურადღებას იმსახურებს იმით, რომ მის შუაგულში გამოსახული ვარდული ტიხრული მინაქრითაა შესრულებული. არაგვისპირის ტიხრული მინაქარი, უძველესი ნიმუშია არმა-




სოფ. არაგვისპირი. ოქროს სამკაულები  
 № 18 სამარხიდან.

ს. არაგვისპირი. Золотые украшения  
 из погр. № 13.

სოფ. არაგვისპირი. ოქროს ბე-  
 კლები და მედალიონი № 9 სამარ-  
 ხიდან.



ს. არაგვისპირი. Золотые перст-  
 ьки и медальон из погр. № 9





ს. არაგვისპირი. Золотые монеты № 13  
погр. № 13



ზისხვევლებთან ერთად; გარდა ზემოაღწერილისა № 13 სამარხში კიდევ აღმოჩნდა: ოქროს აბზინდა, აგრეთვე ინკრუსტირებული მინისა და ალმანდინის თვლებით და კამართან დაკავშირებული ორი სხვადასხვა ზომის ოქროს კილიტა; ოქროს შედგენილი საყურეები, სამი ცალი; ოქროს სამი მონეტა, ამათგან ერთი ვალერიანის აურეუსია (254-260 წ. წ.), ხოლო ორიც მინაბადი, რაც უაღრესად საყურადღებო ფაქტია იბერიის სამეფოს ნუმისმატიკურ ისტორიაში; იმავე სამარხში აღმოჩნდა ვერცხლის რვა მონეტა (ოთხი არტაბან I-სა, ოთხივე ავეუსტეს სახელით მოჭრილი); მინის ჭურჭული და სხვა.

ამ მოკლე აღწერიდანაც ნათლად ჩანს თუ რაოდენ საინტერესო ინფორმაციის შემცველია, როგორც ახალი ეჩნვალის, ასევე არაგვისპარის კომპლექსები. საერთო შედგენილობით, ცალკეულ საგანთა მხატვრული შემკულობის დონითა და მანერით, სტილისტური თავისებურებებითა და დაკრძალვის რიტუალით, ამ ორი პუნქტის მასალები ერთის მხრივ უაღრესად მჭიდროდ არის ურთიერთთან დაკავშირებული, ხოლო მეორეს მხრივ ისინი დიდ გარეგნულ და შინაარსობრივ ნათესაობას ამჟღავნებენ, პირველ რიგში არმაზის და აგრეთვე ზღუდერის, ერწოს, ბორის, ურკეის, კლდეუთის და სხვა პუნქტების შესაბამის კომპლექსებთან, რომლებიც ძირითადად ახ. წ. ა. III საუკუნის ბოლოთი და IV საუკუნის დასაწყისით (ან პირველი ნახევრით) თარიღდებიან.

მოპოვებული მასალის ანალიზისას, პირველ რიგში თვალში საცემია ახალ ქინვალისა და არაგვისპირის ვერცხლის ჭურჭლის ერთი ჯგუფის სტილისტური ერთა-ნობა და დიდი საახლოვე მცხეთურ შესატყვისებთან. მცხეთა კი როგორც ცნობილია, უკვე კარგა ხანია მიჩნეულია ტორეგტიკული ხელოვნების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კერად. სადაც საუკუნეთა მანძილზე ჩამოყალიბდა და დაიხვეწა ვერცხლის დამუშავების მსხვილ-არმაზული სტილი. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა სარეცლის ფეხის ოთხი გარსაკრავი, რომელიც ახალი ქინვალის № 5 სამარხში დადასტურდა. ჯერ ერთი ინტერესის აღმძვრელია მათი განლაგება სამარხში, (ორი თავში და ორი ბოლოში, ერთიმეორისაგან თანაბარ მანძილზე), რაც გვაფიქრებინებს სათანადო ხის სარეცლის პრაქტიკულ გამოყენებას, ხის სარეცლისა, რომლისაგანაც მხოლოდ ფეხების ვერცხლის გარსაკრავებიღა გადარჩა. გარსაკრავების ერთი წყვილის სამარხის დასავლეთ მხარეს (ერთიმეორისაგან 0,7 მ-ის დაცილებათ), ხოლო მეორე წყვილის აღმოსავლეთ ბოლოზე (აგრეთვე ერთიმეორისაგან 0,7 მ-ის დაცილებით) მდებარეობა მიუთითებს, რომ სარეცელი, თუ კი იგა მართლაც არსებობდა, გამოტილ ადამიანზე ოდნავ გრძელი უნდა ყოფილიყო.

სარეცლის ფეხების ოთხივე გარსაკრავი ერთი ტიპისაა და ერთი მანერითაა ნაკეთები, რაც, ვფიქრობთ, მიუთითებს მათი ერთი სახელისნოდან მომდინარეობას. ახალი ქინვალის ვერცხლის გარსაკრავებს უახლოესი შესატყვისები მოცემბენებათ არმაზისხევის მდიდრულ, განსაკუთრებით კი № 3 და № 6 სამარხებში, მათ შორის დიდი მსგავსება შეიმჩნევა არა მარტო დამზადების ხელოვნებაში და შესრულების ტექნიკურ ხერხებში, არამედ ორნამენტშიც. ძირითად ორნამენტულ სამკაულს ახალ ქინვალში წარმოადგენს ვ. წ. „ცხვარჩიტების“ გამოსახულებები. ორნამენტული სახის ხარისხი მთლიანად დამოკიდებული იყო ხეზე კვეთილობის დონესა და ხარისხზე. ფეხის „გულებად“ ახალ ქინვალში, კაკლის ზეა გამოყენებული.

არმაზული ხანის ტორეგტიკული ნაწარმის ანალიზი და მათი შეპირისპირება დასავლურ (ძირითადად-რომაულ-მცირეზიულ) და აღმოსავლურ (ძირითადად ირანულ) ნაწარმთან გვიჩვენებს, რომ სარეცლის ფეხთა გარსაკრავების საკმაოდ მრავალფეროვანი, დღემდე ცნობილი ნიმუშები მეტად ორიგინალურია და სავსებით სამართლიანად უნდა მივაჩინოთ ადგილობრივ, ქართულ მოვლენად და ქართული ტორეგტიკული თვითმყობადობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საბუთად, განსაკუთრებით გვიანარმაზული ხანისათვის.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ვერცხლის ორი სურა, რომლებიც ნადირობის რელიეფური სცენებითაა შემკული. საერთო მოყვანილობით არაგვისპირის ორივე სურა, (რომლებიც აშკარად ერთი ხელოსნის ნახელავია), მსგავსად არმაზისხევის, ერწოს, ზღუდერისა და სხვა სურებისა, რომელ სამყაროში ცნობილ სურებს მოგვაგონებს. მაგრამ მთელი რიგი ნიშნებით, განსაკუთრებით ლითონის დამუშავების მანერით, აგრეთვე ვერცხლის ნაწარმის ადგილობრივ ნიმუშადაა მისაჩნევი. მართალია ნადირობის ამსახველი სიუჟეტები სახანური ირანის ტორეგტიკაში მეტად გავრცელებული იყო. მაგრამ ჩვენი ნიმუშების დამზადების ხელოვნება, სიუჟეტური გადაწყვეტა და იკონოგრაფიული მონაცემები საფუძველს გვაქმნიან ეს ჭურჭლებიც ადგილობრივ ნაწარმად მივიჩნიოთ, შესაძლოა სულაც იმ პირის კერძო შეკვეთად, რომლის სამარხშიაც აღნიშნული ნივთები იქნა მიკვლეული. ამგვამად ჩვენ ვაწარმოებთ ამ ახალი მასალების კომპლექსურ კვლევას და ვფიქრობთ, რომ მომავალში არაერთი საგულისხმო დასკვნა იქნება მიღებული.

როსტომ აბრამიშვილი  
ალექსანდრე რამიშვილი

### არქეოლოგიური გათხრები თბილისში

1968-1969 წლებში დიღმის მასივის რაიონში სასმელი წყლის რეზერვუარების მშენებლობასთან და საქართველოს სამხედრო გზის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებული მიწის სამუშაოების დროს დაზიანდა და გამოივლდა მტკვარ-არაქსის კულტურის ნაშთების შემცველი ფენები და გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარი და სამაროვანი. სხვადასხვა პერიოდის არაერთი ძველი დანივრა დიღმის მასივის საცხოვრებელი კვარტალების მშენებლობის დროსაც. გამოვლენილი ძეგლების გადარჩენისა და შესწავლის მიზნით შეიქმნა აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სპეციალური არქეოლოგიური ექსპედიცია. ექსპედიციამ ძირითადი საველე სამუშაოები გაშალა მდ. დიღმურას მარცხენა ნაპირზე საქართველოს სამხედრო გზის გასწვრივ მდებარე თრელიგორეზად წოდებულ ნამოსახლარ ბორცვებზე და მის აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიაზე. გასათხრელად უმთავრესად შერჩეული იქნა ის უბნები, რომლებიც პირველ რიგში იყო აუცილებელი გზის მშენებლებისათვის.

უძველესი ძეგლი, რომელსაც ექსპედიცია თრელებზე შესწავლის, მიეკუთვნება ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანას. იგი, როგორც ჩანს, მდ. დიღმურას ორივე ნაპირზე მდებარეობდა. ექსპედიცია გასული წლების მანძილზე შესწავლიდა სამხედრო გზისა და მეგობრობის პროსპექტის გადაკვეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე უბანს.<sup>2</sup> სამწუხაროდ, აქ სათანადო ფენები ძლიერ დაზიანებული იყო, როგორც შემდგომი პერიოდის ძეგლების მიერ, ასევე არქეოლოგიური გათხრების დაწყებამდე ჩატარებული მიწის სამუშაოების დროსაც. მიუხედავად აღნიშნულისა, გამოვლენილი ძეგლები მეტად საყურადღებო გამოდგა მტკვარ-არაქსის კულტურის შესწავლისათვის. კერძოდ, აქ აღმოჩნდა რამდენიმე ფენიანი ნასახლარის ნაშთი. მისი ქვედა ფენა დაახლოებით ძვ. წ. IV ათასწლეულის II ნახევარს განეკუთვნება. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ქვედა ფენასთან დაკავშირებულ ორმოებში მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელ თიხის ჭურჭლის ნატეხებთან ერთად იყო ე. წ. ბუნარევი კერამიკაც. ბუნარევი თიხის ჭურჭელი კი ენეოლითის ხანისათვისაა დამახასიათებელი.

ამგვარად, საქმე გვაქვს ისეთ ძეგლთან, რომლის შესწავლაც საშუალებას მოგვცემს თვალის გაავადგენოთ როგორ ენაცვლება ენეოლითს ადრებრინჯაოს ხანა და გავარკვიოთ რა ურთიერთობაშია ეს კულტურები ერთმანეთთან.

აქვე აღმოჩნდა ადრებრინჯაოს ხანის სამაროვანიც. აღმოჩენილია წრიულქვაყრილიანი 2 სამარხი. ერთ მათგანში № 28 აღმოჩნდა ოქრით შეღებილი ბავშვის ჩონჩხი, სოლო მეორეში (№ 54) — ადრებრინჯაოს ხანისათვის დამახასიათებელი კერამიკა.

თრელებზე მომდევნო პერიოდის ძეგლებს შორის უძველესია №№ 43, 51, 53, 69, 76 და 79 სამარხები. ამ სამარხებში აღმოჩენილი მასალა ყველაზე მეტ სიახლოვეს ავლენს შუაბრინჯაოს ხანის გვიანი საფეხურისა თუ შუაბრინჯაოს ხანიდან გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალ ეტაპის ძეგლებთან. განსაკუთრებით საყურადღებოა № 43



ორელის სამაროვანი. № 43 სამარხის  
დეტალი

Трельский могильник. Деталь погребения № 43.

სამარხი, რომელიც მანქანებელია იმდროინდელი საზოგადოების შორსწასული ქონებრივი და სოციალური დიფერენციაციისა. სამარხში აღმოჩნდა 30-მდე თისის ჭურჭელი (მათ შორის ნაწილი, როგორც ჩანს, სამარხის გადამზურავ ძელებს ზემოთ იყო მოთავსებული), ორი ხარის თავი და ფეხები და წერილფეხა საჭონლის ორი მეტ-ნაკლებად მთლიანი ჩონჩხი. დასაკრძალავ ორმოში მიცვალებულის ჩონჩხი არ აღმოჩნდა. შესაძლებელია სამარხი წარმოადგენდა კენოტაფს, ან არადა უნდა ვივარაუდოთ მიცვალებულის კრემაცია, სამარხს ამკარად ეტყობოდა ძლიერი ხანძრის კვალი. სამარხში ჩაქცეული გადასურვის ზემოთ აღმოჩნდა ადამიანის დამწვარი ჩონჩხი. მისი ძეგლები იმდენად ძლიერად იყო მოხრილი, რომ იგი, როგორც ჩანს, დაკრძალვამდე საგულდაგულოდ ყოფილა შეკრული. შესაძლებელია ეს ჩონჩხი ეკუთვნოდა ძირითად მიცვალებულისათვის მსხვერპლად შეწირულ ადამიანს. სამარხში აღმოჩენილი ინვენტარი განსხვავდება თრიალეთის სინქრონული ძეგლებისაგან. იგი უფრო ახლო მსგავსებას იჩენს შიდა ქართლისა და კახეთის ძეგლებთან.



შუა და გვიანი ბრინჯაოს ხანის ძეგლების ქრონოლოგიურ-კულტურული ერთმნიშვნელობის თვალსაზრისით საყურადღებო მასალას შეიცავს № 53 სამარხი. აქ აღმოჩენილი 11 თიხის ჭურჭლიდან ერთი ახლოს დგას გვიანბრინჯაოს ხანის კერამიკასთან, დანარჩენი კი, ბრინჯაოს ყუნწიან სატყერისპირთან და პირამიდისებურთავიან საკინძვეებთან ერთად, შუაბრინჯაოს ხანისათვის არის დამახასიათებელი.

თრელების ნასახლარი ყველაზე ინტენსიურად ყოფილა დასახლებული გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში. ამას მოწმობს როგორც იმდროინდელი გრანდიოზული ნასახლარი, ასევე რამდენიმე ათეულ ჰექტარზე გადაჭიმული, ალბათ უზნებად დაყოფილი, სამაროვანი. გასათხრელად აღებულ უბანზე დღეისათვის აღმოჩენილია აღნიშნული პერიოდის 100-მდე სამარხი. ამთგან ყველაზე ადრეულია გვიანი ბრინჯაოს ხანის საწყისი ეტაპის სამარხები (№№ 37, 42, 55 და 56). განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს № 37 ქვაყრილიანი სამარხი. მას გვეგამო მართკუთხედის ფორმა ჰქონდა და შემოზღუდული იყო ქვის მოზრდილი კვადრებით. სამარხის ქვაყრილის ფართობი 100 კვ.მ. იყო. ამ სამარხში, თიხის ჭურჭლისა და ბრინჯაოს იარაღის გარდა, აღმოჩნდა წვრილფეხა საქონლის 7 მთლიანი ჩონჩხი, რაც განვითარებული მესაქონლეობის მაუწყებელია. ასეთივე კვადრებით წრიულად შემოზღუდული, დაახლოებით იმავე ფართობის მქონე ქვაყრილიანი სამარხია გამოვლენილი № 37 სამარხის მახლობლად. მაგრამ მისი გათხრა ჯერჯერობით არ ხერხდება, რადგანაც სამარხის მეტი ნაწილი მოქცეულია მეგობრობის პაროსპექტის ქვეშ.

შუადან გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი პერიოდისა თუ გვიანი ბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპის ყორღანები გაითხარა დიღმის ველის ჩრდილო ნაწილში მდებარე ე. წ. ნამგალა მიწაზეც.

დღეისათვის ცნობილი მასალის მიხედვით, დაახლოებით XIII საუკუნიდან თრელების სამაროვანზე იცვლება სამარხთა ტიპი. ქვის წრებიანი სამარხების ნაცვლად ჩნდება ქვაყრილიანი ორმოსამარხები. გარდა ამისა, თუ ადრე და შუაბრინჯაოს ხანაში მიცვალებულს მხოლოდ მარჯვენა გვერდზე კრძალავდნენ, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში მამაკაცები იმარხებოდნენ მარჯვენა გვერდზე. ქალები — მარცხენაზე; შუაბრინჯაოს ხანის სამარხებში მიცვალებულები დამხრობილნი იყვნენ ჩრდილო-დასავლეთისაკენ, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში კი — ჩრდილოეთისაკენ; ყოველივე აღნიშნულთან ერთად საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამარხებში მოპოვებული ინვენტარი ახლო მსგავსებას პოულობს მტკვრის მარცხენა ნაპირზე აღმოჩენილ ძეგლებთან. შესაძლებელია, ზემოაღნიშნული მანიშნებელი იყოს დიღმის ველზე ძვ. წ. XIII საუკუნიდან მტკვარგალმა მცხოვრები მეზობელი ტომების შემოსვლისა.

ძვ. წ. XIII-XII საუკუნეების სამარხებიდან შეჩერდებით მხოლოდ № 65 სამარხზე. იგი სხვა მრავალრიცხოვან ნივთებთან ერთად შეიცავდა ბრინჯაოს დაბალქუდიან, მთლიანადსმულ სატყეარს, რკინის დანას (კავკასიაში ერთ-ერთი უძველესი რკინის ნივთი), მხედრის გამოსახულებიან ბრინჯაოს ინკრუსტირებულ აზბინდასა და ოქროს მძივს.

რკინის ფართო ათვისების ხანის სამარხებიდან აღსანიშნავია №№ 49, 71, 73 და 79 სამარხები. ეს სამარხები ეკუთვნის წარჩინებულ მეომრებს და გამოირჩევა ინვენტარის სიმრავლით. თითოეული მათგანი შეიცავს მრავალრიცხოვან იარაღსა და ბრინჯაოს სარტყელს. განსაკუთრებით მდიდარი იყო № 49 სამარხი, რომელშიც თიხის თერამიტ ჭურჭელთან ერთად აღმოჩნდა ბრინჯაოს ბოლოკვეთილი და რკინის ტარ-

ძვ. წ. VIII-VII სს. თიხის ჭურჭელი  
თრელის სამაროვნიდან.



Глиняный сосуд из Трельского погр.  
VIII-VII вв. до н. э.

ძვ. წ. XIII-XII სს. თიხის ჭურჭელი  
თრელის სამაროვნიდან.



Глиняный кувшин из Трельского погр.  
XIII-XII в. до н. э.

შეურჩენელი მახვილები, ტარის თავზე ცხოველის (ლომი?) გამოსახულებიანი ბრინჯაოს დანა, რკინის შუბისპირები, სატევარი, დანა; ბრინჯაოს ნესტარისებური და ძელის ოთხწახნაგა ისრისპირები; ბრინჯაოს ორნამენტირებული სარტყელი, ბუნიაკენი, სათასმე რგოლები, ბალთები; ძელისტარიანი ბრინჯაოს სადგისი და სარდიონისა და პასტის 130-ზე მეტი მძივი. სამარხი დაახლოებით ძვ. წ. I<sup>x</sup> საუკუნეს მიეკუთვნება.

ექსპედიციამ გათხარა, აღბათ. ტომის ბელადის, ძვ. წ. VIII-VII სს. დათარიღებული ჯარჯვალის ტიპის დასაკრძალავდარბაზიანი ორი ყორღანული სამარხი. ორივე შემთხვევაში დადასტურდა სამარხის განზრახ დაწვა. ერთი მთგანის (№ 16) ფართობი დაახლოებით 70 კვ. მ. უნდა ყოფილიყო, ხოლო სიმაღლე 4 მ-ზე მეტი. სამარხში აღმოჩნდა 100-ზე მეტი თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოსა და რკინის რამდენიმე ათეული ნივთი, სარდიონისა და პასტის მძივები და ცხოველის გახვრეტლი და ინკრუსტირებული ფალანგები. მაღალმხატვრული შემკულობითა და დახვეწილი ფორმებით გამოირჩევა ქალღმერთის ბრინჯაოს ქანდაკება, ცხენის გამოსახულებიანი ორნამენტირებული შტანდარტის თავები, მოჭიქული ჭურჭელი, სხვადასხვა ზომის „ვერძები“, გამჭოლხვრელიანი ბიკონუსური ჭურჭელი და სხვ. ამას გარდა, სამარხში აღმოჩნდა ბრინჯაოს მუშარადი, შუბი და ისრისპირები, ცხენის თოთხმეტი ალკაზმულობა (ბრინჯაოსა და რკინის ლაგმები და საყბურები, ზარაკიანი საკისრე რგოლები, სამკერდე ბალთები და სხვ.), ბრინჯაოს უამრავი კილიტები და მანჭკლები.



მეორე (№ 24) სამარხი იქვე, რამდენადმე ჩრდილოეთით მდებარეობდა. მუდარებით პირველთან პატარა (42 კვ მ.) იყო როგორც ჩანს სამარხი მძარცველებს ძლიერ დაუზიანებიათ. იგი უმთავრესად შეიცავდა თიხის მოზრდილ ჭურჭულს (ქვევრები, დერგები, ჩაფები). ამას გარდა აღმოჩნდა ბრინჯაოსა და რკინის შუბისპირები, ხარდიონის, პასტისა და ოქრის მძივები; ბრინჯაოს კილიტები და მანჭვლები და წვირღვება საკონლოს დახვერტილი და ინკრუსტირებული ფალანგები. მაღალი ხელოვნებით გამოირჩევა ხარის ფორმის მქონე მოზრდილი ჭურჭელი (სალინე), ალუბასტრის ზოომორფულტარიანი ფიალა, შავპრიალა ზედაპირიანი, გემოვნებით შექმული დიდი ზომის თიხის ჭურჭელი, ოქროს მძივები და სხვ.

დასაკრძალავდარბაზიან სამარხებს შორის მდებარე ფართობი, სამწუხაროდ, დღემის მასივის მშენებლების მიერ იყო აღებული და ამდენად ვერაფერს ვიტყვით ამ სამარხების ურთიერთდამოკიდებულებაზე. გამორიცხული არ უნდა იყოს ისიც, რომ ეს ორი დასაკრძალავი დარბაზი ერთ კომპლექსს წარმოადგენდა.

თრელის სამაროვანზე აღმოჩნდა ელინისტური და რომაული პერიოდის სამარხები. მათგან გამოირჩევა ძვ. წ. III საუკუნის წარჩინებული მეომრის სამარხი. საძარხში აღმოჩნდა რკინის გრძელი მახვილი, სატყვარი, შუბისპირი, სამფრთიანი ისრისპირები, ბრინჯაოს საკინძმები, ბალთები, ოქროს ორწილადი სამაჯურების ფრაგმენტები, სარდიონის თელიანი რკინის ორი ბეჭედი და ავგუსტუსის ორი დინარი ერთ-ერთ ბეჭედის თვალზე არის ინტალიო მარადიულცეცხლიანი ჭურჭლისა, ხოლო მეორეზე — ათინა პალადა ფართოა და მახვილით. აღნიშნულს გარდა, სამარხში აღმოჩნდა ცხენისა და მწვერის ჩონჩხი.

როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, თრელების ტერიტორია ყველაზე მეტად დასახლებული ყოფილა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში. ამ დროის ნასახლარების ნაშთი ვრცელდება იმ დღემურას მარცხენა ნაპირზე, საქართველოს სამხედრო გზის გასწვრივ მდებარე 1,5 კმ-ზე გადაჭიმულ ბორცვებზე. სამხედრო გზის რეკონსტრუქციის ინტერესების შესაბამისად, ძირითადი სავლე სამუშაოები მიმდინარეობს ორი ყველაზე დიდი ცენტრალური ბორცვის აღმოსავლეთ კალთების ქვედა ნაწილში. ამას გარდა, ჯერჯერობით მხოლოდ დაზვერვითი გათხრები ჩატარდა უკიდურესად ჩრდილოეთით მდებარე ბორცვის აღმოსავლეთ კალთაზე.

ნატარებული მუშაობის შედეგად გამოვლენილია 100-მდე სათავსი. ძველის გათხრული ნაწილი გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის დასახლების ტიპის, სიმჭიდროვისა და სამშენებლო ტექნიკის შესახებ. საცხოვრებელი კომპლექსები განლაგებული ყოფილა ერთიმეორის გვერდით. ხშირად ქვედა ტერასის ნაგებობათა ბანი წარმოადგენდა ზედა ტერასის შენობების ეზოს. დასახლების სიმჭიდროვისა და ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე მისი თითქმის უწყვეტი არსებობის მაჩვენებელია ერთიმეორეზე უშუალოდ დაფენებული ხსავდასხვა სამშენებლო პერიოდის ნაგებობათა ნაშთები. ზოგ ადგილას ფენათა რაოდენობამ შეიძს მიაღწია.

სათავსები წარმოადგენს რიგისა და ფლეითი ქვით ტალახის ხსნარზე ნაგებ ნახევრად მიწურ შენობებს. მათი გადახურვა ბანური ყოფილა. გადახურვა ეყრდნობოდა კედლებსა და თიხით შელესილ პილასტრისებურ ხსნვეტებს. დიდ სათავსებში აღმოჩნდა შუა ნაწილში განლაგებული დამატებითი საყრდენი ბოძების ბალიშებიც. თანხით იყო შელესილი შენობის კედლებიც. ისტაკი, როგორც წესი, თიხატყვანილია დიდ სათავსებში კედლების გასწვრივ დაგებული იყო ფილაქსობიც. სათავსების ფართობი მერყეობს 4-5-დან 50 კვ. მდე.

ძვ. წ. VIII-VII სს. თიხის ჭურჭელი ხარის  
ვაშოსახეობით თრელის სამაროვანიდან.



Глиняный сосуд в виде быка из  
Трельского погр. VIII-VI вв. д. н. э.

ყოველ საცხოვრებელ კომპლექსში აღმოჩნდა უკანა, მარცხენა კუთხეში გამართული ორ განყოფილებიანი (საცხოზი და საცეცხლე) პურის საცხოზი ღუმელი. ცეცხლის სანთები განყოფილების მხარეს ღუმელს, როგორც წესი, მიდგმული აქვს სპეციალური სანაცრე ორმო. სათავსის უკანა კედლის გასწვრივ ღუმელს ჩვეულებრივ ებჯინება თიხით შელესილი თარო, რომელზედაც მოწყობილია სამსხვერპლო. დიდ სათავსებში ზოგჯერ ღუმელთან ერთად უხედებით სათავსის შუა ნაწილში გამართულ კერებსაც. ამას გარდა, სათავსებში ჩნდება ფილაქვებით გადახურული ორმოები, იატაკში ჩადგმული ქვევრები თუ სხვა მოზრდილი ჭურჭელი.

როგორც ჩანს, თითოეული საცხოვრებელი კომპლექსი შედგებოდა ერთზე მეტი სათავსისაგან. ასეთი ვარაუდის საფუძველს იძლევა ზოგიერთი სათავსის გვერდით კედლებში დატანებული გასასვლელები და საცხოვრებლად არასაკმარისი მეტად მცირე ზომის აშკარად სამეურნეო დანიშნულების სათავსები.

ნასახლარზე მოპოვებული მასალა ძირითადად კერამიკულია. თიხის ჭურჭელი გამოირჩევა ფორმისა და დანიშნულების მრავალგვარობით. ხშირად გვხვდება აგრეთვე ბრინჯაოს საკინძები და ისრისპირები, თიხის საბეჭდავები, რკინის სამეურნეო იარაღი და სხვ. ზოგიერთ სათავსში დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ყურძნის წიპწა და პურის მარცვალი. ხშირად გვხვდება გარეული და შინაური ცხოველის ძვლებიც.

მოპოვებული მასალა მოწმობს, რომ თრელების მოსახლეობა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში ეწყოდა ინტენსიურ მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას. სამაროვანზე და ნამოსახლარზე აღმოჩენილი მეფენახეობასა და მეღვინეობასთან დაკავშირებული თიხის ჭურჭლის დანიშნულებისა და ფორმების მრავალგვარობა ყურძნის წიპწებთან ერთად მაჩვენებელია მეფენახეობის განვითარებისა, რაც თავისთავად მიწათმოქმედების მაღალი დონის მაუწყებელია. თრელების ნამოსახლარის მიდამოებში მიკვლეულია ძველი სარწყავი არხები. გეოკლიმატური პირობების გათვალისწინებით სავარაუდოა რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე მორწყვითი მიწათმოქმედება არაუგვიანეს გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანიდან იწყება.



ძვ. წ. VIII-VII სს. „ვერძები“ თრელის  
სამაროენიდან.

Глиняные посуды из Трельского погр.  
VIII-VII вв. до н. э.



თრელების დასახლების დაწინაურებას ხელს უწყობდა მესაქონლეობის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობებიც. — დიღმის ხეობას აქვს საკუთარი როვორც ხაზამთრო, ასევე საზაფხულო საძოვრები; დიღმის ხეობაზე გადიოდა აგრეთვე თრიალეთის საძოვრებთან დამაკავშირებელი ვ. წ. ცხერის გზა. დიდი მნიშვნელობის არის ის ფაქტიც, რომ თრელიგორეები მდებარეობს მტკვრის ხეობაზე გამავალი მაგისტრალური და თრიალეთისაკენ მიმავალი გზების შესაყართან.

თრელების გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის დასახლება არსებობას წყვეტს ძვ. წ.



თრელებზე აღმოჩნდა გვიანანტიკური და ადრეფეოდალური ხანის დასახლებების ნაშთებიც. აღსანიშნავია ერთ-ერთ ბორცვზე აღმოჩენილი ადრეფეოდალური ხანის მარანი და პოლიგრაფკომბინატის ნმენებლობის დროს ნაწილობრივ დაზიანებული III-IV საუკუნეების აბანო. თვით ფაქტი თრელების ტერიტორიაზე ამგვარი ნაგებობის აღმოჩენისა მიგვითითებს აღნიშნულ პერიოდში აქ წარჩინებული პირის რეზიდენციის არსებობაზე. გვიანანტიკური და ადრეფეოდალური ხანის გამოვლენილი ძეგლები საუკლებას იძლევა ვივარუდით, რომ ამ რაიონში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა თბილისის გადაქალაქებაში.

ამ პერიოდის ძეგლებს შორის საინტერესო ჩანს ვაშლაჯვარას სამაროვანიც, სადაც ექსპედიციამ გათხარა ახ. წ. IV საუკუნის ქვის ფილებით გადახურული ექვსი ორმოსამარხი და ადრეფეოდალური ხანის თერაპეტი ქვაყუთი. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ახ. წ. VI საუკუნით დათარიღებული ერთ-ერთი ქვაყუთი, რომლის ზემოთაც ასომთავრულწარწერიანი სტელა იყო აღმართული.

გათხრითი სამუშაოების პარალელურად ექსპედიციამ ფართო მასშტაბის დაზვერვითი სამუშაოები ჩაატარა თბილისის პერსპექტიული განაშენიანების რაიონში. ადრე აღმოჩენილი მასალის შესწავლისა და დაზვერვების შედეგად გაირკვა, რომ თბილისის თითქმის ყველა რაიონი დასახლებული ყოფილა საკმაოდ ადრეული დროიდან. დღეისათვის ექსპედიციისათვის ცნობილია სხვადასხვა პერიოდის 200-მდე არქეოლოგიური ძეგლი.

უძველესი ნამოსახლარი აღმოჩნდა ვაჭა-ფშაველას პროსპექტზე მიმდინარე სამ-შენებლო სამუშაოებისას. აქ ექსპედიციამ მცირე სადაზვერვო გათხრების შედეგად გამოავლინა I მ-მდე სისქის კულტურული ფენა. რომელიც დიდი რაოდენობით შეიცავს კერამიკულ ფრაგმენტებს, ოსიდიანისა და ბაზალტის იარაღს და ფაუნისტურ მასალას. მოპოვებული მასალის მიხედვით ნამოსახლარი ენეოლითურ ხანას მიეკუთვნება და დაახლოებით ძვ. წ. IV ათასწლეულის პირველი ნახევრით თარიღდება.

ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარები აღმოჩენილია დიდუბეში, საბურთალოზე, დიღმის მახვიში, ვაშლაჯვარაში და ზემო ავჭალაში. შუაბრინჯაოს ხანის ძეგლები გამოვლენილია ღრმაღელეში, ლილოში, ფონიქალაში და დიღმის მახვიში.

თბილისის ტერიტორია განსაკუთრებით მჭიდროდ ჩანს დასახლებული გვიანბრინჯაო-ადრეკინის ხანაში. ამ პერიოდის ძეგლები აღმოჩნდა კალაში, ისანში, ორთაჭალაში, ნავთლულში, მთაწმინდის ფერდობზე, ვაკეში, საბურთალოში, ვაშლაჯვარაში, დიღმის ველზე, მუხათვერდზე, ღრმაღელეში, ნაძალადევიში, თბილისის ზღვასთან, ავჭალაში, ზემო ავჭალაში, დიდუბეში, გლდანში, ვარკეთილში, ფონიქალაში, ჯაენაბადას მახლობლად და სხვ.

საკმაოდ მრავალრიცხოვანია ანტიკური ხანის ძეგლებიც, რომლებიც აღმოჩნდა ლენინის მოედნის მახლობლად, ორთაჭალაში, ავლაბარში, მთაწმინდის ფერდობზე, ვაკეში, დიდუბეში, ნაძალადევიში, ღრმაღელეში, პლუხანოვის პროსპექტზე, დიღმის მახვიში, ვაშლაჯვარაში, გლდანში, ავჭალაში და სხვ. ფეოდალური ხანის არქეოლოგიური ძეგლები მიკვლეულია კალაში, ისანში, ქალაქის ცენტრალურ ნაწილში, დიღმის მახვიში, ვაშლაჯვარაში, საბურთალოზე, ვაკეში, გლდანში, ზემო ავჭალაში, ავჭალაში და სხვ.



საზგასმით აღსანიშნავია ის გარემოება რომ თბილისის უძველესი რაიონები უკვე  
 კალა და ისანი დასახლებულია გვიანბრინჯაოს ხანიდან და ამდენად ძველ  
 როგორც დასახლებულ პუნქტს 30 საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია აქვს, ხოლო დღე-  
 ვანდელი თბილისის უძველესი ძეგლები ექვსი ათასი წლისაა.

ექსპედიციის მიერ გამოვლენილმა ძეგლებმა ასლებურად გააშუქა ისტორიის  
 რიგი უმნიშვნელოვანესი საკითხები და დასახა ახალი პრობლემები, რომელთა გარკვე-  
 ვასაც მიეძღვნება ექსპედიციის შემდგომი მუშაობა.

-----

<sup>1</sup> თრელიგორების ერთ-ერთ ბორცვზე არსებულ ნასახლარს ვერ კიდევ 1954 წელს ში-  
 კელია თბილისის სახელმწიფო-ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის სადამკვეთო-არქეოლო-  
 გიურმა ექსპედიციამ.

<sup>2</sup> აქ თავდაპირველად მცირე მასშტაბის სამუშაოები ჩატარეს ავტ. ს. ჯანაშიას სპ. სე-  
 კართველოს სახელმწიფო მუზეუმის თანაშრომლებმა.

### ახალი საპარადღებო არქეოლოგიური აღმოჩენა კახეთში

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ბოლო წლების მუშაობა ტარდება საქართველოს წყალთა მეურნეობისა და მელიორაციის სამინისტროს ალაზნის ველის მელიორაციული გაუმჯობესების მშენებლობის ტერიტორიაზე და მათივე დაფინანსებით.

ექსპედიციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან აღმოჩენას უნდა მიეკუთვნოს 1973-74 წლებში გამოვლენილი გორასამარხები ალაზნის ველზე. აქ უკვე ერთ ათეულამდე სამარხი გაითხარა, მარგამ მათ შორის განსაკუთრებით საყურადღებოა ორი — № 1 და № 2.

№ 1 გორასამარხი უდიდესია მთელ ალაზნის ველზე, რის გამოც მას „ალაზნის ველის დიდი გორასამარხი“ უწოდებდნენ.

გორასამარხის ყრილი წარმოადგენს 10-11 მ სიმაღლის და 140 მ დიამეტრის წინე მიწისაგან შეზღუდულ ბორცვს. ბორცვის ზედაპირი დაზიანებულია ადრეფეოდალური ხანის სათავსებით.

გორასამარხის ყრილის საფუძველს გარს არტყია ოცდაათი მეტრის სიგანის რიყის ქვის ჯავშანი.<sup>1</sup> ჯავშნის შიდა ტერიტორიის ცენტრალურ ნაწილში აღმოჩნდა, განამარხებულ ქუმუსზე აღმართული რიყის ქვის მშრალი წყობით ნაშენი მრგვალი ნაგებობა. ნაგებობას კედლის პერანგი მსხვილი ქვებით აქვს ამოყვანილი, შიგნით კი შედარებით მცირე ზომის ქვების ყრილია, რომელიც გარე წრიდან ცენტრისკენაა დახრილი. ნაგებობის ცენტრალურ, დაბლობით, 0,50 მ ფართობზე ქვა არ გვხვდება. მრგვალი ნაგებობას აღმოსავლეთით აქვს ღიობი—შესასვლელი. სამარხის გამართვისას იგი, როგორც ჩანს, საკულდაგულოდ ამოუქოლიათ, რადგან სწორედ სამარხის ამ ნაწილში იყო დაგროვილი ყველაზე მეტი ქვა, რომელიც ნაწილობრივ ფარავდა ქვის წრის ნაწილსაც. ყრილის აღებისას აშკარად ჩანდა, რომ ქვის წრის შესასვლელთან იგი ჩაქცეული იყო. ჩაქცევა უნდა მომხდარიყო ან კარის დასაცავად ნაგები ხის კონსტრუქციის ჩანგრევისას ან კარის წინ არსებული ღრმულის ამოცხებისას. დიდი რაოდენობით შეგვხვდა ხის ძელების ნაშთები, როგორც შესასვლელთან ისე ქვის წრის შიდა ფართობზე, ქვის ყრილის ალაგების დროს.

ქვის წრის აღმოსავლეთით, ათიოდე მეტრის დაცილებით, აღმოჩნდა დიდი ორმო, რომელიც ძირითად დასაკრძალ დარბაზს წარმოადგენდა. ორმო გადახურული ყოფილა ხის ძელების ორი დენით.

ჩაქცეული გადახურვის ალაგების დროს, გადახურვის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში აღმოჩნდა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, ბრინჯაოს (?) ჭანგად ქცეული ნივთები და ოქროს სამკაულები. ისინი როგორც ჩანს გადახურვაზე დაწყობილი შენაწირი ნივთების ნაშთებია.

გადახურვის ალაგების შემდეგ დასაკრძალავი ორმოს ცენტრალურ ნაწილში სამი მეტრის სიღრმეზე აღმოჩნდა ხის მორებით ნაგები დიდი ოთხკუთხა შენობა, რომელიც 1974 წელს ჩატარებული მუშაობის შედეგად მხოლოდ ნაწილობრივ გამოვლინდა.<sup>2</sup>

აქ მრავლად აღმოჩნდა თიხის სხვადასხვა ზომის, მდიდრულად შემკული ჭურჭელი, რეტუსით ბრწყინვალედ დამზადებული ოხსიდიანის ქუსლამოლარული ისრისპი-



ალაზნის ველის № 2 გორასამარხი.

Kurgan № 2 Алазанской долины.

რები, ბრინჯაოს (?) ნივთთა ფრაგმენტები, ოქროს და სარდიონის მძივები, ხის ურმის ბორბლები და სხვა. გაწმენდილ ფართობზე გამოვლინდა ხუთი ადამიანის ჩონჩხის ძვლები. მთელი სამარხეული კომპლექსი, ძირითადად თიხის ჭურჭლის მიხედვით, რომელიც პარალელურს ბედენის გორასამარხების მასალასთან პოულობს წინასწარულად ძვ. წ. III ათწლეულის დასასრულით უნდა დათარიღდეს.


კახეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ „ალაზნის ველის დიდი გორა-სამარხის“ მახლობლად მისგან ჩრდილო დასავლეთით 1 კმ მანძილზე შეისწავლა მეორე (№ 2) გორასამარხი.

გორასამარხი № 2 სახნავის ტერიტორიაზე მდებარეობდა და ამის გამო მისი ყრილის სიმაღლე, როგორც ჩანს, მნიშვნელოვნად არის შემცირებული, ცენტრალურ ნაწილში იგი სულ 2-2,5 მ უდრიდა. ყრილის დიამეტრი — 80 მ-ია.

№ 2 გორასამარხის ყრილს, № 1-ის მსგავსად, რიყის ქვის ჯავშნის სარტყელი ჰქონია საფუძველთან. ცენტრალურ ნაწილში ქვა არ აღმოჩენილა, რიყის ქვის მცირე გროვა აღმოჩნდა № 2 გორასამარხის ყრილში ჩაშვებული ორმოსამარხის თავზე, რომელშიც გამოვლინდა ერთი მიცვალებული მოხრილი კიდურებით. მიცვალებულს ჩატანებული ჰქონია ელექტრონის ორი სასაფეთქლე რგოლი, მძივები და ერთი კუს ბაკანი. № 2 გორასამარხის ყრილში № 1-ის მსგავსად, მრავლად აღმოჩნდა ქრისტიანული ხანის უნივენტარო სამარხები.

გორასამარხის ყრილის ქვეშ, ცენტრალურ ნაწილში, განამარხებულ ჰუმუსის დონეზე გამოვლინდა მიწაში, ამოღებული ოთხკუთხა დასაკრძალავი დარბაზი, მისი კონტურები შემოისახა გადამსურავი ძელების ნაშთების მიხედვით.

დარბაზის აღმოსავლეთ და დასავლეთ კედლის ზედაპირთან, კედლის გაყოფებით აღმოჩნდა ხის ძელები. ამავე მიმართულებით ჩაწყობილი ძელები კედლებს მიჰყვა



ღოშის მინიატურული ქაჩღაქება, ძვ. წ.  
III ათასწლეულის დასასრული.

Миниатюрная скульптура льва.  
Конец III тысячелетия до н. э.

სიღრმეში, დაახლოებით ერთ მეტრამდე. როგორც ჩანს, გადახურვის ზედა ფენის ძე-  
ლები გადებული ყოფილა ჩრდილო და სამხრეთ კედლიდან ცენტრისაკენ. გაწმენდის  
დროისათვის, ცხადია, ჩაქცევის შემდეგ, ისინი ეშვებოდნენ სიღრმეში და დაახლოებით  
სამარხის ცენტრალურ ნაწილში ქორიზონტალურ მიმართულებას იღებდნენ. ძელებს  
ზემოდან ფარავდა ნაცრისფერი თიხის წებოვანი შეღებისობა და შემდეგ მჭიდროდ  
დაწული ჭილოფი, რომლის ფრაგმენტები მრავლად აღმოჩნდა გადახურვის ყველა  
მონაკვეთში. სამარხი დარბაზის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში, გადახურვის ძელების  
ჩაცოლებით აღმოჩნდა თიხის რამდენიმე ჭურჭლის ფრაგმენტი, რომლებიც, როგორც  
ჩანს, ჭირისუფლებს სამარხის გადახურვის შემდეგ დასაკრძალ დარბაზის სახურავზე  
დაუწყვიათ. აქვე აღმოჩნდა ბრინჯაოს დაწახნაგებული მცირე ღერაკი.

გადახურვის ნაშთების აღების შემდეგ სამარხის საერთო სახე შემდეგნაირად გა-  
მოიყურებოდა: სამარხის ორმოს (10X10 მ) კედლები, რომლებიც დამხრობილი იყო  
ზუსტად ქვეყნის მხარეების მიხედვით, ვერტიკალურ სიბრტყეებს წარმოადგენდა (ჩ-  
2,50 მ), მხოლოდ სამხრეთი კედლის ზედა, უკიდურეს დასავლეთ ნაწილში აღმოჩნდა  
მიწის ძველი ზედაპირიდან ჩატრილი 1 მ სიგანისა და სიღრმის თახჩა, ოდნავ მომრ-  
გვალეული კუთხეებით, რომელიც უნდა ვივარაუდოთ, შესასვლელის ფუნქციას ასრუ-  
ლებდა. მეტად არსებითია, რომ თახჩა ცალკე ყოფილა გადახურული ხის ძელებით,  
რომლებიც მასზე აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით უნდა ყოფილიყო  
გადებული.

როგორც სამარხის ინვენტარის აღაგების შემდეგ გაირკვა, დასაკრძალი დარბაზის  
მთელი ფსკერი მოლესილი ყოფილა თითქმის 0,30 მ სისქის მონაცრისფრო თიხის წე-  
ბოვანი ხსნარით. დასაკრძალი დარბაზის ფსკერის კიდევებზე შეიმჩნეოდა მძლავრი  
ცეცხლის კვალი, რომლისგანაც დამწვარი იყო კედლის ნაწილიც კი მთელ სიგრძეზე.  
დასაკრძალი დარბაზის ფსკერი ისეთივე ჭილოფით იყო მოგებული, როგორითაც  
გადამხურავი ძელები.



დარბაზის იატაკში, გადახურვის საყრდენი ბოძებისათვის, ცხრა ადგილას ამოღებული იყო სიმეტრიულად განლაგებული, საშუალოდ 0,50 მ დიამეტრისა და 0,60 მ სიღრმის ორმოები. ერთი ორმო დარბაზის ცენტრში იყო ამოღებული, ხოლო დანარჩენი რვა — სამარხის კედლებთან: ოთხი — კუთხვებთან, ხოლო ოთხი — კედლების ცენტრალურ ნაწილთან. ამგვარად, როგორც ჩანს საყრდენი ხის სვეტების ერთი მწკრივი მიუყვებოდა ჩრდილო კედელს, მეორე სამარხის ცენტრალურ ნაწილში გადიოდა, ხოლო მესამე სამხრეთ კედელს გასდევდა. ცენტრალური მწკრივის დასავლეთისა და აღმოსავლეთის კედელთან მდგარი სვეტების ოდნავი დაცილებით ცენტრისაკენ აღმოჩნდა კედლისკენ დახრილი ძეღის ფრაგმენტები, რომლებიც მიწაში სულ რაღაც ათიოდე სანტიმეტრზე იყო ჩასმული. საფიქრებელია, რომ ისინი დასავლეთისა და აღმოსავლეთის კედლების ცენტრალურ ნაწილში მდგარი საყრდენი სვეტების ბუნები იყო.

როგორც ჩანს, ყოველ სამ სვეტზე აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ გადებული იყო თავსებები (ცენტრალურზე შეწყვილებული), ე. ი. გადახურვისათვის იქმნებოდა სამი პორიოზონტალური საყრდენი, რომელზედაც უკვე ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან ცენტრისაკენ ეწყობოდა საშუალოდ 15-20 სმ სისქის მორები.

სამარხული ინვენტარი უმთავრესად თავმოყრილია დასაკრძალი დარბაზის ცენტრალურ და სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში.

სამარხში აღმოჩნდა: ორი მიცვალებული, ორივე მოთავსებულია დასაკრძალი დარბაზის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. სამარხის ჩრდილო კედელთან დასვენებული მიცვალებული სრულიად უინვენტაროა, იგი დაკრძალულია მარჯვენა გვერდზე, თავით დასავლეთით. მიცვალებულს ფეხები და მარცხენა ხელი მოხრილი აქვს, მარჯვენა კი გაჭიმული და წინ ჩაშვებული. მეორე მიცვალებული როგორც ჩანს, მთავარი, დაკრძალული იყო უინვენტარო მიცვალებულის წინ, უფრო ცენტრისკენ, ისეთსავე პოზიციით, როგორც პირველი. თავის არეში აღმოჩნდა სამოსზე მეტი ბიკონუსური ფორმის ოქროს მძივი, მაკებზე — ვერცხლის სამაჯურები, ხოლო ზურგს უკან — ორვოლუტიანი ვერცხლის საკინძი. საკინძის ბრტყელ ნაწილს ცალ მხარეს ემჩნევა ორორ სწორ ხაზს შორის მოქცეული მცირე წრეებით შემკობა. საკინძთან აღმოჩნდა მუქი აქატის ერთი მძივი.

სამარხის ცენტრალური ნაწილი ხის ურემს უკავია. ისევე როგორც გადახურვის ძეღებისაგან, ურემისაგანაც ფაქტიურად მხოლოდ თხელი ანაბეჭდები იყო შემორჩენილი, მაგრამ ურემი გადახურვის ძეღებისაგან განსხვავებით მთლიანად ნახშირად იყო ქცეული, როგორც ჩანს, უალო წვის შედეგად. ურემის თითოეული ბორბალი ხის სამი ფიცრისაგან იყო შეკრული. წინა ბორბლები სანახევროდ მიწაში აღმოჩნდა ჩადგმული, მათი ზედა ნაწილები გათხრის დროისათვის გვერდზე იყო გადაწოლილი. კარგად შეიმჩნეოდა ამ ბორბლების შემაერთებული ღერძის კვალი. აღმოსავლეთით მდებარე ბორბლის გარე ნაწილში ღერძთან აღმოჩნდა მასში გასაყრელი ბრინჯაოს მანჭკალი დიდი ბრტყელი თავითა და საკმაოდ მსხვილი ღეროთი. მსგავსი მანჭკალი აღმოჩნდა უკანა, ჩრდილოეთით მდებარე ბორბლის ცენტრალურ ნაწილშიც.

როგორც ჩანს, ურემი დაშლილი ჩაუტანიათ, რაზედაც მეტყველებს ის, რომ უკანა ბორბლები ურემისაგან ცოტა მოცილებით იყო მიწაში ჩადგმული სულ ათიოდე სანტიმეტრის სიღრმეზე. ორივე ეს ბორბალი ჩრდილოეთითაა გადაქცეული, ისევე როგორც სამარხში აღმოჩენილი ყველა დიდი ჭურჭელი. ეს კი თითქოს იმაზე უნდა მიგვითითებდეს, რომ სამარხის გადახურვის ჩაქცევა ძირითადად სამხრეთი ნაწილიდან დაწყებული

ბულა. ურემზე დაწყობილი და წვრილად დამტკრეული აღმოჩნდა თიხის მრავალი, მცირე ზომის ტურქული, მათ შორის მილიანიც, მათი თიხა მაღალხარისხოვანია, შავად გამომწვარი: ტურქლის ზედაპირი შავია, პრიალა ლითონის მბზინვარებით ურემზევე აღმოჩნდა: ოქროს ერთი ორნამენტიანი საკინძი; ლომის ქანდაკება ოქროსი (დაახლოებით ურემის კოფოს მიდამოებში); აქვე იყო ოქროს გარსაკრავი, ძვლისა და ობსიდიანის ისრისპირები, ოქროს მილაკი ზედ მირჩილული გრეხილდეროიანი ხვეული მავთულით, ბრინჯაოს მრგვალი ფირფიტის (ფარის?) ნაშთები და სხვ.

ურემის სამხრეთით, კოფოდან უშუალოდ დასავლეთ კედლამდე ერთ მწკრივად აღმოჩნდა თიხის დიდი ზომის შვიდი ტურქული, რომელთა უმეტესობა ძლიერაა დაზიანებული. დასავლეთ კედელთან მდგომი ტურქლის ძირში აღმოჩნდა დაგროვილი: ცხურის 460 და ძროხის ერთი კოჭი, წვრილი მდინარეული კენჭები და ერთი დიდი მრგვალი კენჭი. ამას გარდა სამარხის სამხრეთ-დასავლეთ სექტორში აღმოჩნდა ფეხიანი ჭიქის მსგავსი ოქროს მცირე ნივთი, ძვლის მრგვალთავიანი ნივთი და სხვა.

აღსანიშნავია, რომ სამარხის ინვენტარის ალაგების შემდეგ იატაკის მოლესილობაში, იქ სადაც მიცვალებულები იყო დასვენებული დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ოქრა.

გორასამარხი № 2, № 1-ის მსგავსად, წინასწარულად ძვ. წ. III ათასწლეულის დასასრული საუკუნეებით თარიღდება.

1. ქვა გორასამარხის მიმდებარე ტერიტორიაზე არ მოიპოვება და პოტანილა სულ ცოტა 20 კმ-ის მანძილზე.

2. სამარხის გათხრა 1974 წელს არ დამთავრებულა, ავი საბოლოოდ გიწმინდება 1975 წლის სავალე სამუშაოების დროს.

### პარდციხის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შესახებ პარციხის მუნიციპალიტეტის ზონაში

ვარდციხის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობა პირობითად ორ ეტაპად შეიძლება დაიყოს: 1) მცირე სადაზვერვო სამუშაოები ვარდციხის ნაქალაქარზე, რომლებიც ჩატარდა ინსტიტუტის შეასაკუნეების არქეოლოგიის განყოფილებისა და ისტორიულ-გეოგრაფიის განყოფილებათა თანამშრომლობით (გ. ლომთათიძე, გ. ციტიშვილი, ვ. ჯაფარიძე, თ. ბერაძე). 2) შედარებით ფართოდ გაშლილი არქეოლოგიური სამუშაოები, რომელმაც მოიცვა ვარდციხის ნაქალაქარი და ვარციხესის მშენებლობის ზონა (ვ. ჯაფარიძე, კ. მელითაური, ჯ. ჯღამია, თ. ბერაძე). ეს უკანასკნელი დაუკავშირდა ვარციხესის მშენებლობას, რომლის კამშალი სწორედ ვარდციხის კონცხს ედგმის. აქ გეოლოგიური და სხვა სამუშაოების შედეგად დაზიანდა ნაქალაქარის კულტურული ფენები და ნაგებობანი. წყლის შეტბორვის შედეგად ჩაიძირა ნაქალაქართან მიმდებარე ვაკე მონაკვეთი — ძველთან დაკავშირებული სამოსახლოებისა და სამაროვნის უდიდესი ნაწილი.

პირველ ეტაპზე სამუშაოები ადრეულ საშუალო საუკუნეთა ციხეზე წარიმართა. ძველი მდინარეების — ხანისწყლისა და რიონის შესართავთან, კონცხზე აღმართავთ ადგილი მდ. რიონის მარცხენა შემაღლებულ ტერასას წარმოადგენს, რომელიც აღმოსავლეთის მკვეთრი ვაკობისაგან ხელოვნური თხრილით ყოფილა გამოცალკეებული. თხრილის შიგნით მოქცეული კედლები მკვლევართ რატომღაც დიდად არ იზიდავდა. თუმცა ნათქვამს საყოველთაოდ ვერ გაავრცელებთ. ცნობილია ძველის შესახებ ს. ყაუხჩიშვილის, ნ. ბერძენიშვილის, ნ. ლომოურის და სხვათა მიერ გამოთქმული მოსაზრებები; საფორტიფიკაციო ნაგებობების დათარიღების საკითხებს სპეციალურად შეეხო მკვლევარი ვ. ლექვიანიძე. ჯერ ს. ყაუხჩიშვილმა, ხოლო შემდეგ თითქმის ყველა მკვლევარმა ამგვამდ შემორჩენილი ზღუდის მასიური კედლების ნაშთები ბიზანტიური წყაროების „როდოპოლისის“ ნაშთებად მიიჩნია, მაგრამ აღნიშნული კომპლექსის კონკრეტული დათარიღება მხოლოდ არქეოლოგიური თხრით იყო შესაძლებელი — ერთ-ერთი ძირითადი მიზანი ექსპედიციის მიერ დაწყებული სადაზვერვო სამუშაოებისა.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც გაირკვა, ვარდციხის ადრეული კომპლექსი — ზღუდე კომპებით ერთთავად მიწის ქვეშ იყო მოქცეული და ამდენად შესაბამისი ხანის ციხის გეგმის წარმოდგენა შეუძლებელი იქნებოდა მკვლევართათვის კერძოდ, გამოვლინდა და თითქმის მთლიანად გაითხარა ორი კომპი (A და C), დადგინდა მდებარეობა კიდევ ორი კომპისა (B და F). კომპები, რომლებიც გეგმაში წაგრძელებულ მართკუთხედს წარმოადგენს, მთლიანად გამოდის უძველესი ზღუდის გარეთ ისე, რომ ზღუდის მხარეზე მოქცეული კომპის კედლები უძველესი ზღუდის კედლებშია ერთ ხაზზე ჩართული. ამ უკანასკნელისათვის გათხრილ მონაკვეთში ძირითადად დამახასიათებელ მომენტს წარმოადგენს ის, რომ განსხვავებით მომდევნო ხანის ზღუდისაგან, გეგმაში მომრგვალებულია. ამას გარდა ძველი ზღუდის კედლები და ერთგან კომპიც შედარებით თხელი (1 მ-მდე სისქის) კედლებითაა წარმოდგენილი. კომპებს შესასვლელი კარები ციხის შიდა მხრიდან აქვთ მოწყობილი. მშენებლობაში გამოყენებულია

კირქვა და აგური. აგურითაა ამოშენებული, სხვათაშორის, ერთ-ერთი კოშკის წყრთი-ლი და დიობის გვერდები, ამავე კოშკის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში ჩადგმული კვადრატული ნაგებობა და სხვ.

შედარებით მოგვიანებით მომხდარა მთელი ციხის რეკონსტრუქცია, უფრო სწორედ ხელახლა აღუშრათათ მასიური ზღუდე, რომლის ერთ მონაკვეთში დრუასო (куртна) სისქე 4-5 მ-ის ტოლია. მოგვიანო ზღუდის კედლები გვეგმაში მრავალკუთხედს ქმნის. კვლევის დღევანდელ ეტაპზე, ვფიქრობთ, არსებობს უძველეს ნაგებობათა IV-V საუკუნეებით დათარიღების ყველა საფუძველი. მომდევნო სამშენებლო პერიოდი შეიძლება ბიზანტია — ირანს შორის მიმდინარე ომების წინა ხანიანი საზღვროს და ზოგადად V საუკუნის მეორე ნახევრითა და VI საუკუნის პირველი ნახევრით დათარიღდეს. აქვე შევნიშნავთ, რომ საფორტიფიკაციო სისტემის ცალკეული მონაკვეთები გვიან შუა საუკუნეებამდე იყო შეკეთება — შენების პროცესში, ამიტომ საბოლოო თარიღები თითოეული მონაკვეთის არქეოლოგიური შესწავლით დადგინდება.

საფორტიფიკაციო სისტემაზე დაკვირვება ერთი ვარაუდის დაშვების შესაძლებლობას იძლევა: IV-V საუკუნეების ციხე-ქალაქი შედარებით სუსტად გამაგრებულ კომპლექსს წარმოადგენს და უფრო მძლავრი ეკონომიური (ქალაქური) ცხოვრებით ცხოვრობს. ომების წინა ხანისათვის კი წინ გამოდის ციხის პირველადი ფუნქცია, იგება მასიური, კედლები, გადაკეთებას განიცდის კოშკები. VI საუკუნეში მისი დანგრევის შემდეგ, ჯერჯერობით გამოვლენილი მასალების მიხედვით, ციხე-ქალაქში ინტენსიური ცხოვრების კვალი არ შეიმჩნევა.

ნაგებობებისა და კულტურული ფენების კვლევა უჩვენებს, რომ ახალი აღმავლობა IX საუკუნის შემდგომ იწყება. სამწუხაროდ, დღესდღეობით არ არის გამოვლენილი და შესწავლილი საცხოვრებელ ნაგებობათა კომპლექსები, როგორც ადრეული (IV-VI სს.) ასევე მომდევნო ხანისა (IX-XI სს.) თხრილში გამოვლენილ ზოგ აედელთა ფრაგმენტების შემდგომი კვლევა ფართო მასშტაბით გათხრების ჩატარებას გულისხმობს, ისე კი საცხოვრებელ ნაგებობათა დიდი ნაწილი ხისა უნდა ყოფილიყო. ერთადერთი მეტნაკლებად შემონახული ნაგებობა, რომლის მშობლოდ ქვედა, შემადღებული ნაწილი უნდა ყოფილიყო ქვითკირისა, ვფიქრობთ, მოგვიანო ხანით უნდა დათარიღდეს (იშერეთის მეფეების ხანა). ჯერჯერობით ასევე მოგვიანო ხანით დათარიღდება ზღუდის გარეთ, მისგან ჩრდილო-აღმოსავლეთით გაწმენილი მცირე ეკლესია, რომელსაც ალაგ-ალაგ გვიანდელი მოხატულობის კვალიც შერჩენია.

კვლევის მეორე ეტაპის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენდა კულტურული ფენების შესწავლა, მასიური არქეოლოგიური მასალის მოპოვება. ამ მიზნით შედარებით ფართო და შრომატევადი სამუშაო ჩატარდა ციხე-ქალაქის ცენტრალურ, ვაკე მონაკვეთში, თანამედროვე საფლავების სამხრეთით. აქ ჩვენ შესაფლავების მზარდამზარ გვიხდებოდა მუშაობა. აშკარა გახდა, თუ რა დიდი ზიანი მიაყენა მათ მიერ გაჭრილმა თხრილებმა ძველს; ინგრეოდა ნაგებობათა კედლები და „კულტურული ფენები. აქ აღარ ვიმეორებთ გეოლოგიური სამუშაოების შედეგად მიყენებული ზიანის შესახებ...

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, ამემად ჩვენს ხელთ არის შედრებით ჯარგად დათარიღებული (IV-V სს.) კულტურული ფენებიდან მომდინარე არქეოლოგიური მასალა (თიხის ტურჭელი, მინა, რკინა და სხვ.), რომლის შესწავლა შესაძლებლობას



მოგვეცმს უფრო ნათელი სურათი შევექმნათ ევრისის სამეფოს ეკონომიური ცხოვრების შესახებ. ამასთან ეს მასალა გამოდგება სხვა ძეგლების, კერძოდ ციხეების კვლევისა და დათარიღების დროს. IV-V საუკუნეების ფენებიდან მომდინარე ძირითად დამათარიღებელ მომენტს წარმოადგენს ე. წ. წითელლაკიანი კერამიკა და ამფორები, რომელთა ერთი ნაწილი უცხო სამყაროდან უნდა იყოს შემოტანილი. ეს მასალა წარმოდგენას გვაძლევს საეპირო-ეკონომიურ ურთიერთობათა შესახებ.

შედა ფენა, რომელიც ნიწის დამუშავების შედეგად ძალზე დარღვეულია, ციხის ვაკე ნაწილში და საერთოდ ყველგან წარმოდგენილია მასალით, რომლის თანმხლები მოჭიქული კერამიკის სტატისტიკა IX-X სს. და შესაძლოა XI საუკუნეზეც მიუთითებდეს. როგორც აღნიშნული იყო ეს პერიოდი ახალი აღმავლობის ხანაა. შემდგომ ისე დაეცემა... ყოველ შემთხვევისათვის კვლევის ამ ეტაპზე ვფიქრობთ, ვარდციხეში „გუგუთის ხანა“ წარმოდგენილი არ უნდა იყოს.

ნაქალაქარზე გამოვლენილი უძველესი ფენების შესახებ დღეს-დღეობით შეიძლება ვთქვათ, რომ ელნიხტური ან უფრო ადრეული ხანის ფენები ან ერთეული მონაპოვარი არ შეგვხვდებოდა. ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს ლეგაფრად გამოშვარი პირძაპრიანი დოჰის ნატეხების აღმოჩენა ზღუდის გარეთ, ციხე-ქალაქის ჩრდილო ფლატესთან მოქცეულ მონაკვეთში, ქვედა დონეზე. იგი ერთგვარ მსგავსებას იქონის ელნიხტური ხანის ქვევრსამარხებისათვის დამახასიათებელ ტურქულთან, მაგრამ ფენას დღესდღეობით სხვა, ზუსტი დამათარიღებელი მასალა არ გააჩნია... აქ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ზემოთ აღწერილი ტურქლის არეალში სარდიონის საბეჭდავი ბეჭდის თვალის პოვნის შემთხვევა, წარწერით: „ბატონიშვილი დარეჯან“. აყალო თხნარში შეზღული აღნიშნული ნივთი თხრის პროცესში ათეული საუკუნეებით ადრეულ ფენაში მოხვდა... აი ერთი მაგალითი მოსალოდნელი სიურპრიზისა ყოველდღიურ არქეოლოგიურ მუშაობაში. ბატონიშვილი დარეჯანის სარდიონის საბეჭდავი ბეჭდი კი ერთ-ერთი უკანასკნელი ფურცელია ძველი ვარდციხის ისტორიაში.

რიონის მარჯვენა ნაპირის მომცველი, ქვის მშენებლობის მონაკვეთს ზეჟრავდა და გათხრით სამუშაოებს ატარებდა გეგუთის რაზმი (ხელ-ლი ჯ. ჯღამაია), კერძოდ შეისწავლებოდა ადგილები „რკინის ჯვარი“, წმინდა ელია“ და სხვ. დაზვერვებისა და გათხრების შედეგად გამოვლინდა ანტიკური და ფეოდალური ხანის სამოსახლოთა ნაშთები: სასიმაგრო („რკინის ჯვარზე“) და საკულტო („წმინდა ელიაზე“) ნაგებობანი. ინტერესს იწვევს გეგუთის ქართველ მეფეთა სასახლის არქეოლოგიური მოსინჯვით გამოვლენილი მასალა. ეს მასალა სპეციალურად შეისწავლება ამჟამად ჯ. ჯღამაიას მიერ.

სოც. ახალმშენებლობებთან დაკავშირებული არქეოლოგიური ექსპედიციების მუშაობა, ცხადია, ყველა საფრთხის ქვეშ მოქცეული ძეგლის შესწავლას გულისხმობს, მაგრამ, ვფიქრობთ, არ გამოირიცხავს პრობლემურ კვლევასაც. თუ ამ კუთხით დაისმება საკითხი, მაშინ ვარდციხის არქეოლოგიური ექსპედიციის ძირითად პრობლემად ვერისის ადრე შუა საუკუნეთა მატერიალური კულტურის კვლევა გვესახება. ამ მხრივ მშენებლობის ზონაში მოქცეული რიონის მარჯვენა ვაკე მონაკვეთი იმთავითვე იქცევა და ყურადღებას, ვინაიდან როგორც ცნობილია იგი წყაროების მიხედვით ლაზიკის (ევრისის) ეკონომიურად ყველაზე ძლიერ რაიონს — მუხირის წარმოადგენდა. ამდენად ჩვენს წინაშე დგას საკითხი იმდროინდელი სამოსახლოების გამოვლენისა და შესწავლისა. აღნიშნული მონაკვეთის სამოსახლოთა გარკვეულ ტიპს წარმოადგენს იმერეთის დაბლობის შემადლებული, ხელოვნური ბორცვები ე. წ. „გორიკები“. ჩვენი

კლევის სფეროში მოქცეული ამგვარი ძეგლებიდან აღსანიშნავია საყულისა და პატრიკიის გორის გორაკები. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს პატრიკიის გორა, სადაც ექსპედიციამ შედარებით მცირე მასშტაბის არქეოლოგიური, დაზვერვითი სამუშაო ჩატარა. ძეგლი წარმოადგენს მოზრდილი (9 მ-დე სიმაღლის) მიწაზეინულს, ირგვლივ 20-25 მ სიგანის თხრილითა და მის გარეთ ასევე მიწაზეინულით. ხელოვნური გორის დაზვერვით შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ არქეოლოგიურად უძველესი კულტურული ფენა, რომელიც ბორცვის მიწაზეინულში თხემზე მოხვდა, წინასწარულად ძვ. წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრით შეიძლება დათარიღდეს. მომდევნო ხანის მასალებიდან ჯერჯერობით ინტენსიური ცხოვრების კვალი ჩანს ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარსა და მომდევნო ხანებში. ბორცვის თხემზე გავლებულ თხრილში ბათქაშინი, გადამწვარი ნაგებობის ნაშთი დადასტურდა. ინტერესს იწვევს დასავლეთ ფერდის ძირში და თხრილის მონაკვეთში ახ. წ. IV-V საუკუნეებით დათარიღებული მეტ-ნაკლებად მყარად გამოხატული კულტურული ფენის გამოვლენა, სხვა კერამიკულ მონაპოვართან ერთად (იშპორტული წითელლაკიანი ჯაშების გვიანდელი ტიპების ფრაგმენტები და სხვ.) აღსანიშნავია უკვე შედაპირულად მოპოვებული, როგორც ვვარადობით ადრეშუა საუკუნეებისადმი მისაკუთვნიებული, სამშენებლო კერამიკის (აგური, კრამიტ) ნიმუშები. ძეგლი ფეოდალურ ხანაშიც ინარჩუნებს თავის განსაკუთრებულ მნიშვნელობას; თხრილის გარეთ მიწაზეინულზე რიყის ქვის კედელი აღმართავთ, რომელიც წრიულად ეკვროდა ბორცვსა და მის ირგვლივ მდებარე თხრილს. ამ ხანის მასალებიდან აღსანიშნავია მოჭიქული ჯამების ფრაგმენტები, რომელთა ძირზე ქართული ასომთავრული ასოვბია ამოკაწრული.

ანტიკური და ფეოდალურ სამოსახლოს ნაშთები გაბნეულია მიმდებარე ვაკე მონაკვეთშიც. ამ შირივ ყურადღებას იპყრობს ადგილი „სალანძილია“ და „ურის ნასახლარი“, სადაც დამწყო გვიანანტიკური (?) ხანის ნაგებობის გაქმენდა.

უმალად მშენებლობის ზონის გარეთ ექსპედიცია აწარმოებდა დაზვერვით სამუშაოებს სოფ. ვარციხეშივე, სადაც ნაწილობრივ შეისწავლებოდა წინარეანტიკური და ანტიკური ხანის სამოსახლო — „გიორგობიანების გორა“ და მისი მიმდებარე ფართობი. ცენტრალურ გორაზე, რომელიც თხრილით არის გამოყოფილი ტერასისაგან გამოვლინდა ანტიკური ხანის კირქვის კვადრებით ნაგები შენობის ნაშთები, ხოლო მიმდებარე მონაკვეთზე ბათქაშინი კედლით გამაგრებული სამოსახლო, აქვე გაითხარა ძვ. წ. IV-III საუკუნეებით დათარიღებული სამარხი.

სოფ. ვარციხიდან სამხრეთ-დასავლეთით სოფ. როში მიკვლეულ იქნა ადრეშუა საუკუნეების სამოსახლოს ნაშთი, სადაც კერამიკულ წარმოებასთან (?) დაკავშირებული მასალაც იქნა მოკრფილი.

ექსპედიცია ფართო ხასიათის დაზვერვით სამუშაოებს ატარებდა მიაკოვსკის რაიონში (გ. ცქიტიშვილი, თ. ბერაძე). სოფ. წყალთაშუაში ნაწილობრივ შეისწავლებოდა განვითარებული ფეოდალური ხანის სამონასტრო კომპლექსი (ჯ. ჯღამაია). ჩატარდა შედაპირული გაქმენდა სოფ. ზედა დიშის ციხისა. აქ ფეოდალური ხანის კედლის საძირკვლის წყობის ქვეშ ჭრილში დადასტურდა ელინისტური ან, შესაძლოა, უფრო ადრეული შდუდის ფრაგმენტი, რამაც რეალური საფუძველი გაუჩინა მოსაზრებას (გ. ცქიტიშვილი) მცხი ფარნავაზისეულ დინასტიის იდენტიფიკაციის თვალსაზრისით. დიდ ინტერესს იწვევს ქვედა დიშის სამოსახლო გორა ე. წ. „ფატუს“ ნასახლარი. მოპოვებულ მასალათაგან უძველესია პროტოკოლხური პერიოდის (ძვ. წ. II ათასწლეულის I ნახევარი) თიხის ჭურჭელთა ნატეხები.



ამეთია ძალზე მოკლედ ვარდციხის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები.

ჩატარებული სამუშაოები ყველგან და მათ შორის ვარდციხის ნაქალაქარზე გათხრითი დაზვერვებით შემოიფარგლა. შემდგომი ფართო სამუშაოების ჩატარება ზოგ სირთულესთან იქნება დაკავშირებული. მთავარი მაინც ის არის, რომ ჯერჯერობით არ ხერხდება გათხრილი ნაგებობებისა და ზღუდის კედლების რესტავრაცია-კონსერვაცია. ვაკე მონაკვეთის შესწავლას კი აქ არსებული თანამედროვე სასაფლაო შეუშლის გარკვეულად ხელს. პირველ რიგში საჭიროა დაუყოვნებლივ მიღებულ იქნას ზომები სასაფლაოს გაუქმებისა და ძეგლის ნაკრძალად გამოცხადებისათვის. ვარდციხეს, როგორც ისტორიულ ძეგლს, იმთავითვე არ წყალობდა ბედი, მაგრამ თუკი VI საუკუნის შუახანების ნგრევა იძულებითი სამხედრო სტრატეგიით იყო ნაკარნახევი, ჩვენს დროში დაუდევრობით გამოწვეული ძეგლის შემდგომი დაზიანება არავის ეპატიება.

---

### მასალები დაბა მსხეთის არქეოლოგიური რუკისათვის


ნასტაკისის არქეოლოგიური ექსპედიცია სამუშაოებს აწარმოებს მცხეთის რაიონში. სტაციონარული გათხრები მიმდინარეობს სამი ერთმანეთისაგან დაშორებული ნაქალაქარის—ნასტაკისის, სარკინესა და ძალისის ტერიტორიაზე. საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების გვერდით ექსპედიცია ფართო ხასიათის სადაზვერვო სამუშაოებსაც აწარმოებს. მიკვლევული და რაიონის არქეოლოგიურ რუკაზეა დატანილი მრავალი, დღემდე უცნობი არქეოლოგიური ძეგლი: გორანამოსახლარები, სამაროვნები, ნაქალაქარები, ნასოფლარები, ყორღანული სამარხები და სხვა.


წინამდებარე წერილის ავტორი, თითქმის ორი ათეული წელია მონაწილეობს მცხეთის არქეოლოგიურ ექსპედიციაში და მისი უშუალო ხელმძღვანელობით არა ერთი სეგლია გათხრილი. ამდენად წარმოდგენილი მასალები, ამჯერად მხოლოდ დაბა მცხეთის არქეოლოგიური რუკისთვისაა განკუთვნილი. მოცემულია განათხარი ადგილების დასახელება, აღმოჩენილი ძეგლის განსაზღვრა და თარიღი. რაც შეეხება მასალებს მცხეთის რაიონის არქეოლოგიური რუკისათვის, უახლოეს მომავალში გამოქვეყნდება.

1948 წლის ზამთარში, მცხეთაში, წყალთამეურნეობის ადმინისტრაციული სახლის მშენებლობის ადგილზე (9<sup>0</sup>. ფართობი დაახლოებით 400 კვ. მ.), გათხრილი იქნა მდიდრული ინვენტარის შემცველი სამარხების ჯგუფი, რომელშიც კრამიტისამარხებთან ერთად, ერთი, კარგად გათლილი ქვის დიდი ფილებით აგებული ორფერდა სახურავიანი სამარხიც იყო. აღმოჩენილი სამარხები თარიღდება ახ. წ. I-III საუკუნეებით. აქვე გაითხარა მარნის ნაწილი ათამდე ქვევრით, რომელიც IV-VIII საუკუნეებს განეკუთვნება. ნაგებობის ან კულტურული ფენის შემცველი ნაშთები, რომლებიც სამარხების წინარე ან მარნის მომდევნო ხანას მიეკუთვნებოდავს აღმოჩენილი არ ყოფილა.

1958 წელს აღმოჩნდა მდიდრული ინვენტარის შემცველი სამარხების ერთი ჯგუფი უნივერსიტეტის მშენებლობის ადგილზე (8. ფართობი 600 კვ. მ.). გაითხარა 15 სამარხი, მათ შორის: ერთ-ერთ მთლიან ქვაში ამოკვეთილი სამარხი-სარკოფაგი, აგურით აშენებული, კერამიკული დიდი ფილებით, კრამიტითა და ქვის ფილებით შედგენილი სამარხები, — თარიღი ახ. წ. I-III საუკუნეები. აქვე სამარხების თავზე, მომდევნო ხანაში გამართული ყოფილა მარანი, რომლის ნაწილი (35 ქვევრი) გაითხარა. ზოგ ადგილას შეიმჩნეოდა ნაგებობათა, რიყის ქვით, თევზიფხურა წყობით ნაგები კედლების ნანგრევები. მარანიცა და ნაგებობათა ნაშთებიც ადრე შუა საუკუნეებს მიეკუთვნება და თარიღდება IV-VIII საუკუნეებით. აქვე გაითხარა კერამიკული ჭურჭლის გამოსაწევი ქურა, რომელიც ამავე ხანისა უნდა იყოს. სამარხებზე ადრეული, მარანსა და კედლის ნაშთებზე გვიანდელი კულტურული ფენის არსებობა ამ ადგილას შენიშნული არ ყოფილა.

\* რიკვით აღნიშნულია დაბა მცხეთის ტერიტორიაზე განათხარი და შემთხვევითი აღმოჩენის ადგილები, რომლებიც დატანილია არქეოლოგიურ რუკაზე.





დაბა მცხეთის არქეოლოგიური რუკა.  
შეადგინა ალ. ბოხოჩაძემ.

Археологическая карта пос. Михета.  
Сост. Ал. Бохочадзе

1957 წ. წმ. ბარბალეს ეკლესიიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, გორის კალთაზე, რ. თათარაშვილის ეზოში, გაითხარა მოზრდილი ფართობი (13.600 კვ.მ.). გამოვლენილი იქნა კრამიტით დაბურული ნაგებობის ნანგრევები. სამშენებლო მასალად ძირითადად აქაც რიყის ქვა გამოყენებული. მიკვლეული ნაგებობის ნაშთები IV-VIII საუკუნეების ქრონოლოგიურ ჩარჩოში ექცევა. ადრეული ხანის ფენები მიკვლეული არ ყოფილა.

1958-1962 წლებში გათხრები მიმდინარეობდა სვეტიცხოველის გალაგნის ჩრდილოეთ კედლის გარეთ. 1958-1959 წწ. გაითხარა თხრილი, რომლის სიგრძე — 100 მ, სიგანე — 2 მ, ხოლო სიღრმე — 2-4 მ უდრიდა (6). გამოვლინდა 50-ზე მეტი კედლის ნაშთი. კედლები ნაგებია რიყის ქვით, წყობა თევზიფხურია, შემაკავშირებელი თიხა—ალიზი. ნაგებობები გადახურული ყოფილა კრამიტით. აღმოჩენილი მასალების მიხედვით, გამოვლენილი კედლების ნაშთები, რამდენიმე მათგანის გამოკლებით, IV-VIII საუკუნეებით თარიღდება, ხოლო ზედაფენის რამდენიმე კედლის ნაშთი XVII-XVIII საუკუნეებს მიეკუთვნება. IV საუკუნეზე ადრეული ცხოვრების კვალი არ აღმოჩენილა.

1960-1961 წ. წ. სვეტიცხოველის გალაგნის ჩრდილო-დასავლეთ კუთხესთან გაითხარა პატარა უბანი (7. ფართობი 210 კვ. მ.). კულტურული ფენები ადრეული იქნა 4 მ-ის სიღრმეზე. გაითხარა IV-VIII საუკუნეების შემცველი მძლავრი კულტურული ფენა ნაგებობის ნაშთებით, საკანალიზაციო კოლექტორით, მარნით. ნაგებობა რიყის ქვითაა ნაგები, წყობა თევზიფხურია, შემაკავშირებელი მასალა თიხა—ალიზი. მა-



რანში 5 ქვევრი აღმოჩნდა. კანალიზაციის კოლექტორი აგებულია რიყის დრ. ქვევრებში ფილებით. ნაგებობა დახურული ყოფილა კრამიტით. IV საუკუნეზე ადრეული ციხის ნანგრევები და სხვა კვლი არც აქ აღმოჩენილა. ამავე თხრილში გამოვლინდა შუაფეოდალური ხანის სუსტი ფენა, რომელიც სეგტიცხოველის მშენებლობასთანავე შეიძლება იყოს დაკავშირებული.

1963-1964 წლებში სეგტიცხოველის გალავნის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში გაითხარა თლილი ქვით, ორმაგ ცოკოლზე აგებული, კათალიკოს მელქისედეკის სასახლე (3. ფართობი 1500 კვ. მ.), რომელიც XI საუკუნის პირველი მესამედის ძეგლს წარმოადგენს. სასახლე შევიდანაა დაშენებული ადრეული ხანის ნაგებობათა ნაშთებზე. ესენია რიყის ქვით, თევზიფხურა წყობით ალიზზე ნაგები კედლის ნაშთები, რომლებიც აღმოჩენილი მასალების მიხედვით IV-V საუკუნეებით თარიღდება. IV საუკუნეზე ადრეული ხანის ნაშთები მიკვლეული არ ყოფილა.

1965, 1967-1968 წწ. გაითხარა მცხეთა-ქალაქის ჩრდილოეთი, ალიზის აგურით ნაშენი გალავნის ნაწილი და კარაბუკი (14. ფართობი 1200 კვ. მ.). აღმოჩენილ კარიბჭეს არაგვის კარი ეწოდა. გალავნის კედელი და კარიბჭე კომპლექსით დაშენებული აღმოჩნდა ადრეშუასაუკუნეების, (IV-VI საუკუნეების) ნასახლარზე. საცხოვრებელი ნაგებობა, რომელშიც მარანიც აღმოჩნდა აგებულია რიყის ქვით, გადახურული ყოფილა კრამიტით. საცხოვრებელი ნაგებობების ქვეშ აღმოჩნდა ძვ. წ. I და ახ. წ. III საუკუნეების სამარხები. გაითხარა 14 სამარხი, მათ შორის ორი კრამიტით შედგენილი და 12 ქვევრსამარხი. სამარხებზე ადრეული კულტურული ფენები არც აქ აღმოჩნდა.

1968 წელს, დაბა მცხეთის ცენტრში, გაითხარა რაიონის ბანკის მშენებლობისათვის გამოყოფილი ტერიტორია (11. ფართობი 500 კვ. მ.). გამოვლინდა საცხოვრებელი ნაგებობის გრანდიოზული ნაშთები. სამშენებლო მასალად გამოყენებულია რიყის ქვა, წყობა თევზიფხურია, შემაკავშირებელი საშუალება თიხა-ალიზია. შენობა დახურული ყოფილა კრამიტით. გამოვლენილი ნაგებობის ერთი კედელი აგებულია კირხსნარზე, რაც საცხოვრებელ ნაგებობის მშენებლობაში პირველი შემთხვევაა. აღმოჩენილი მდიდარი არქეოლოგიური მასალების საფუძველზე საცხოვრებელი კომპლექსი IV-VIII საუკუნეებით თარიღდება. არაერთი ნაშთი IV საუკუნეზე ადრეული ცხოვრებისა მიკვლეული არ ყოფილა.

ამავე 1968 წელს გაითხარა მცხეთის რაიონის კავშირგაბმულობის სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილი ადგილი (12. ფართობი 2000 კვ. მ.). აღმოჩნდა ნაგებობათა ნაშთები. კედლები რიყის ქვითაა ნაგები. წყობა თევზიფხურია, შემაკავშირებელი საშუალება თიხა-ალიზია. ნაგებობის ნაწილი გადახურული ყოფილა კრამიტით, ხოლო ნაწილს ბანური გადახურვა ჰქონდა. ამ ადგილზე ნაგებობანი ტერასებად ყოფილან განლაგებული. ამიტომაც, რომ გამოვლენილი ნაგებობის ბანიანი ნაწილი, მის ზევით მდებარე ნაგებობებისათვის ეზოს წარმოადგენდა. აღმოჩენილი მდიდარი მასალების საფუძველზე ნაგებობათა ნაშთები IV-VIII საუკუნეებით თარიღდება. IV საუკუნეზე ადრეული კულტურული ფენა აღმოჩენილი არც აქ ყოფილა.

1966 წ. დაბა მცხეთის ტერიტორიაზე გაუსადენის მიწების ჩასაწყობად გაითხარა თხრილი, რომელმაც ქალაქის ტერიტორია მთლიანად გადააკვეთა ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით. თხრილის სიღრმემ ზოცადეგილებში 2,5-3 მ მიაღწია. მთელ სიგრძეზე თხრილი გულდასმით იქნა შემოწმებული, სადაც ადრეშუასაუკუნეების მასალები და შენობათა ნაშთები აღმოჩნდა. ამ ხაზზე ადრეული კულტურული ფენები არც ამ თხრილში გამოვლენილა.

წმ. ბარბაქაძის ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთით, გორის კალთაზე, გაყვანილია იქნა გორის ქუჩა, რომლის სიფართოე 12 მ აღემატება, ზოლო გამოჭრილი ფლატის სიმაღლე ზოგჯერ 5 მ უდრის. ქუჩის გაყვანის დროს ბევრ ადგილზე გამოჩნდა კლდის ქანები. მთელი ქუჩის სიგრძეზე, ქალაქის ჩრდილოეთი გალავნის კედლიდან სამხრეთ-დასავლეთის გალავნის კედლამდე, აქა-იქ გამოჩნდა ადრეშუასაუკუნეების ხანის სუსტი ფენა. ამ ხანაზე ადრეული არაფერი აღმოჩენილა.

სტაციონარული არქეოლოგიური გათხრების გვერდით ადგილი ქონდა შემთხვევით აღმოჩენებსაც. აღმოჩენის ადგილები ჩვენს მიერ იქნა აღნუსხული და დაბამცხეთის არქეოლოგიურ რუკაზე დატანილი.

1920 წელს გ. სუბეროვის ეზოში (23), წყალთა მეურნეობის ადმინისტრაციული სახლიდან 150-მდე მეტრის დაშორებით, შემთხვევით წააწყდნენ ორფერდასახურავიან მდიდრულ სამარხს. ნივთების დიდი ნაწილი დაიკარგა, ნაწილი მუზეუმში მოხდა. მათვე ადგილზე 1969 წ. ექსპედიციის მიერ გათხრილი იქნა მდიდრული ინვენტარის შემცველი, ახ. წ. 11 საუკუნის კრამიტსამარხი. როგორც ჩანს ამ ადგილზედაც მდიდრული სამარხების ერთი ბუდეა განლაგებული.

1951 წელს, კათოლიცი ქვევით აგებული, ორფერდასახურავიანი მდიდრული სამარხი გათხრილი სვეტიცხოვლის გალავნის ჩრდილო-დასავლეთ კუთხესთან ახლოს, იამარ სუბეროვის სახლის სარდაფში (21). სამარხი გაძარცვული იყო. მიუხედავად ამისა მასში აღმოჩნდა ალექსანდრე მაკედონელის ოქროს სტატერის მინაბაძი.

70-იოდე წლის წინათ მდიდრული სამარხების ჯგუფი გათხარეს მაისურაძის სახლის მშენებლობის ადგილას, სვეტიცხოველის გალავნის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხესთან — აღმოსავლეთით (22). სამარხული ოქროს ნივთები გაუყვიათ კასპელებრებლებში.

არის ცნობა, რომ მდიდრული სამარხების ერთი ჯგუფი აღმოჩნდა ანტიოქიის ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთით, მრველიშვილების უბანში (19). კრამიტსამარხებია აღმოჩენილი მცხეთის დასავლეთ ნაწილშიც (20).

1959 წელს, მეღვინეების სასახლის სამხრეთით, მისგან 50-იოდე მეტრის დაშორებით აღმოჩნდა კერამიკული დიდი ფილებით შედგენილი სამარხი, რომლის თარიღი ანალოგიების მიხედვით ახ. წ. I-III საუკუნეებია (5).

სადღესიოდ ასე გამოიყურება დაბა მცხეთის ტერიტორიაზე ჩატარებული გათხრები და შემთხვევითი აღმოჩენები, რომლებიც ჩვენს მიერ წარმოდგენილია როგორც მასალა დაბა მცხეთის არქეოლოგიური რუკისათვის.

განათხარი ადგილებისა და აღმოჩენილი მასალების შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ ახ. წ. IV საუკუნის შუასანებამდე აქ, დღევანდელი დაბა მცხეთის ტერიტორიაზე, რომელიც ძირითადად ფარავს ადრეშუასაუკუნეების ხანის ქალაქ მცხეთის ტერიტორიას და რომელსაც VI-VII საუკუნეების მიჯნაზე ალიზის აგურის ნაშენი გრანდიოზული გალავანი შემოავლეს, ცხოვრების კვალი არ ჩანს, ე. ი. არ გვხვდება ნაგებობათა ნაშთები, IV საუკუნეზე ადრეულ პერიოდს რომ მიეკუთვნებოდეს. ასე, რომ ეს ტერიტორია IV საუკუნის შუა ხანებამდე საცხოვრებლად არაა გამოყენებული. ე. ი. დასახლებული არ არის.

დაბა მცხეთის ტერიტორიაზე წარმოებული გათხრების შედეგად კიდევ ერთი საყურადღებო დასკვნის გაკეთება შესაძლებელი, კერძოდ VIII საუკუნის 30-იან წლების შემდეგ აღნიშნული ტერიტორია საცხოვრებლად ნაკლებად ან სულაც აღარაა გამოყენებული. როგორც განათხარი მასალები მოწმობენ VIII საუკუნის 30-იან წლებ-



ში ქალაქი შემოსეული მტრისაგან (მურვან ყრუ) მთლიანადაა განადგურებული და დაშვარია და დანგრეული. გვიანდელი დროის ხანაში, კერძოდ კი XVII საუკუნეში დასახლებმა წინდება სექტიცხოვლის ირგვლივ. დღევანდელი დაბის ტერიტორია შუასაუკუნეებში, როგორც აკად. ნ. ბურძინაშვილი აღნიშნავს, ისევ ბაღებს უნდა სჭეროდა.

ამრიგად, დღემდე გამოვლენილი განათხარი მასალების მიხედვით თვალნათლივ ჩანს, რომ მდინარეების მტკვრისა და არაგვის შესაყარი ახ. წ. IV საუკუნემდე დასახლებული ადგილია და არავითარი ქალაქი ან ქალაქისმაგვარი დასახლება ამ ადგილას არ არსებულა. ამასთან დაკავშირებით ძველ ქართულ საისტორიო წყაროებში დაცული სოცირთი ცნობა საჭკოდ უნდა იქნეს მიჩნეული. პირველი ცნობა „ქართლის ცხოვრებაშია“ დაცული და უძველესი ქალაქის დაარსებას, ამ ადგილს „მცხეთოსს“ მიაწერს, „სოლო მცხეთოს, რომელი უგმირო იყო ძმათა მისთა, ესე დარჩა საყოფელთა მამისა მათისა ქართლოსისათა, რომელსა აწ ქქვიან არმასი. და მანვე აღაშენა ქალაქი შესაკარგელსა შორის მტკვარისა და არაგვისასა, და უწოდა სახელი თავისი მცხეთა“. მეორე ცნობა „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ქრონიკაშია დაცული; რომელიც VI საუკუნის ანბებს უნდა ასახავდეს და მოგვითხრობს „მამინ მცხეთა ათხელდებოდა და ტფილისი ეშენებოდა-ო“. თუ გავითვალისწინებთ არქეოლოგიურ მონაცემებს, ამ დროისათვის დღევანდელი დაბა მცხეთის ტერიტორიაზე მოსახლეობის არა თუ „ათხელბა“, წასვლა დასტურდება, არამედ, ქალაქის მჭიდროდ დასახლების პროცესი სწორედ ამ ხანაზე მოდის. ამავე VI საუკუნის მეორე ნახევარსა და VII საუკუნის დასაწყისში მცხეთას ავლებენ ალიზის აგურით ნაგებ გალავანს და ბოლოს მცხეთაში ამავე VI-VII საუკუნეების მიჯნაზე აშენებენ ქართული ხუროთმოძღვრების უნიკალურ ძეგლს „მცხეთის ჯვარს“. ყოველივე ამის შემდეგ „მცხეთის ათხელბაზე“ ლაპარაკი უაზრო ჩანს. აქედან გამომდინარე, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს ცნობა უნდა ასახავდეს არა დღევანდელ დაბა მცხეთის ტერიტორიაზე მიმდინარე პროცესს, არამედ აქ გადმოცემული უნდა იყოს მდინარეების მტკვრისა და ქსნის მარცხენა ნაპირზე მდებარე ქალაქის ცხოვრებაში მომხდარი ამბები. არქეოლოგიურად დღეისათვის კარგადაა დადასტურებული, რომ ნახტაკისის ველზე მდებარე ქალაქის მოსახლეობა სწორედ ამ ხანაში ტოვებს თავის საცხოვრებელს და სხვა ადგილზე გადადის.

ზევით მოყვანილი მასალების მოკლე ანალიზის შემდეგ შესაძლებლობა გვაქვს განვსაზღვროთ თარიღები დღევანდელი დაბა მცხეთის ტერიტორიის თანდათანობითი ათვისებისა: ძვ. წ. I საუკუნემდე ეს ტერიტორია საერთოდ აუთვისებელ-დაუსახლებელი ჩანს. ძვ. წ. I და ახ. წ. III საუკუნეებში აქ არსებობდა მეფეთა და დიდგვაროვანთა სამოთხე-ბაღები, რომლებშიაც გამართული უნდა ყოფილიყო საგვარეულო თუ საოჯახო სასაფლაოები. ახ. წ. IV საუკუნის შუახანებიდან იწყება ამ ტერიტორიის ინტენსიური დასახლება რომელსაც VI საუკუნის მეორე ნახევარსა და VII საუკუნის დასაწყისში ზღუდავენ ალიზის აგურით ნაშენი გალავნით. ქალაქი არსებობდა VIII საუკუნის 30-იან წლებამდე, ვიდრე იგი არ განადგურდა მურვან ყრუს ლაშქრობის შემდეგ.

1. ალ. კალანდაძე, ახლად აღმოჩენილი სამაროვანი მცხეთაში, მიმოხილველი, I, თბ. 1949.

2. ალ. ბობოჩაძე, მეფენახეობა-მეღვინეობა ძველ საქართველოში არქეოლოგიური მასალების მიხედვით უძველესი დროიდან ახ. წ. XII-XIII საუკუნეებამდე, თბ. 1964.

3. ალ. კალანდაძე, ლომთათბე, საუკუნეთა წიაღში, ვიზ. კომუნისტ. 24, 5, 1952.

4. ალ. კალანდაძე, ალ. ბობოჩაძე, არაგვის ვარა, ძველის მეგობარი, № 15, 1968.

5. ს. მკვალითა, საქართველოში 1920-1927 წლებში აღმოჩენილი ზოგადი ნეკროპოლის დთარბილებისათვის, მუზეუმის შიამბე, IV, თბ. 1928.

6. დ. კაპანაძე, მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1937-1951 წ.წ. ნეშისმატიკური მონაპოვარი, მსკა, ტ. I, თბ. 1955.

## არქეოლოგიური კვლევა სოფ. მჰადიჯვარში

დუშეთიდან ჩრდილო-დასავლეთით 7-10 კმ მანძილზე მდ. ნარეკვავის ფართო ხეობაში, მუხრანისაკენ მიმავალ გზაზე მდებარეობს სოფ. მჰადიჯვარი. ქართულ საისტორიო წყაროებში ეს ტოპონიმი XVIII ს. ჩნდება: ვახუშტი ბატონიშვილი წერს, რომ „ტყვლიანის ჩრდილო არს მონასტერი მჰადისჯვარისა, საბურდინოსა შინა, გუმბათიანი და აწ უკმი.“

გვიანდელი ქართლის ცხოვრების ავტორები (ბაპუნა ორბელიანი,<sup>2</sup> ომან ხერხეულიძე<sup>3</sup>) მოგვითხრობენ, რომ სახლთუხუცესმა კონსტანტინე მუხრანბატონმა ააგო ციხე მჰადის-ჯვარისა ლეგებისაგან მოსახლეობის დასაცავად. თვით ციხის კედლის წარწერა კი გვამცნობს, რომ ლეკიანობის დროს ისე განადგურდა სოფლები, რომ მხოლოდ ციხეში შეიძლებოდა ცხოვრება. ეს სოფელიც (იგულისხმება დღევანდელი მჰადიჯვარი) მიტოვებული იყო, თუმც აქ სახლებიც იყო და დომენტი უფლისწულის მიერ აშენებული ეკლესიაც.

ციხის მშენებლობა დაწყებულია 1746 წ. ხოლო 1755 წ. მეფე ერეკლეს და მეფე თეიმურაზს მჰადიჯვართან სასტიკად დაუმარცხებიათ ხუნძახის ბატონი ნურსალბეგი<sup>4</sup>. ციხე და ეკლესია დღესაც დგას.

სოფ. მჰადიჯვარის მცხოვრებთ შორის დღემდე შემორჩა ლეკიანობასთან დაკავშირებული ლეგენდები. სოფლის გარშემო მრავლადაა ნამოსახლარები და ნასოფლარები, ლეკთა შემოსევების უტყუი მოწმენი.


სოფლის ტერიტორიაზე და მის მიდამოებში ხშირად აქვს ადგილი არქეოლოგიურ აღმოჩენებს, რომლებიც თავს იყრის ადგილობრივ სკოლაში და დუშეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

1955 წ. მდ. ნარეკვავის ხეობაში არქეოლოგიური დაზვერვითი სამუშაოები ჩატარა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შიდა ქართლის დაზვერვითმა ექსპედიციამ აკად. ნ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით. მათ აღმოაჩინეს ს. მჰადიჯვარის სამხრეთსა და დასავლეთ ბოლოზე ორი ნამოსახლარი ბორცვი, რომელიც გაცილებით უფრო ადრეულია, ვიდრე სოფელი და ანაკრფი მასალის მიხედვით ბრინჯაოს ხანით თარიღდება.

მას შემდეგ ბორცვი ბევრმა არქეოლოგმა მოინახულა. 1969 წ. ორივე ბორცვის გარშემო მცირე საცდელი თხრილები გატარდა.

№ 2 გორანამოსახლარზე გასუფთავდა დანგრეული სათავსო<sup>5</sup>

სათავსო ოთხკუთხა ფორმის უნდა ყოფილიყო, თიხის მიტკეპნილი იატაკი ქონდა და თიხითვე შელესილი კედლები. აღმოსავლეთ ნაწილში ოვალური ფორმის თიხის კერა იყო მიწაში ჩადგმული. თვით კერაში და მის გარშემო უწყსრიგოდ უამრავი წითლად გამომწვარი თიხის ჭურჭლის ნატეხები, ნსხვილფეხა და წერილფეხა საქონლის ძელები, ძელისაგან დამზადებული იარაღები და ხელსაფქვავის ქვები ეყარა. თიხის ჭურჭლისა და იარაღის საფუძველზე აღმოჩენილი სათავსო გვიანბრინჯაოს ხანით დათარიღდა.



თიხის კურკლის ფრაგმენტები მკაფიფ.  
ვრის გორანამოსახლარიდან  
(კვიანბრიწყაოს ხანა, ადრეული ეტაპი).

Фрагменты глиняной посуды из Мча-  
диджварского поселения (поздне-  
бронзовая эпоха).

1973 წელს წყალთა მეურნეობის საპროექტო ინსტიტუტმა დაგეგმა მდ. ნარეკვა-  
ვის სარწყავი სისტემის მშენებლობა, მდინარის დაგუბება მის ზემო დინებაში სოფ.  
გრემისხეთთან. მშენებლებმა სხვა ხარჯებთან ერთად გაითვალისწინეს თანხა ამ ტერი-  
ტორიაზე არსებული ისტორიული ძეგლების შესასწავლად და დასაცავად.

1974 წ. მდ. ნარეკვავის აუზში მუშაობა დაიწყო ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ნარეკვავის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, რომელსაც დაევალა მშენებლობის ზოლში მოქცეული ძეგლების შესწავლა. ამჟამად გადაწყდა მჭადიჯურის № 2 გორანამოსახლარის გამოკვლევა, დადგინდა, რომ პირველ რიგში უნდა გათხრილიყო ბულდოზერის მიერ დანგრეული დასავლეთი კალთა და აღმოსავლეთი ფერდობი, რომელიც დღითი დღე იშლება.

მიუხედავად დაზიანებისა, მაინც მოხერხდა გორანამოსახლარზე სტრატოგრაფიული სურათის აღდგენა. ბორცვი მრავალი საუკუნის მანძილზე იყო საცხოვრებლად გამოყენებული. ზემოდან, გორის თხემიდან 140-150 სმ სიღრმეზე, გამოჩნდა ფეოდალური ხანის სათავსოთა კედლები. კედლებს შორის აღმოჩნდა ქვევრები, თიხის და მიწის ტურქლის ნატეხები.

ნამოსახლარის ეს ფენა ადრეფეოდალური ხანით თარიღდება.

ფეოდალური ხანის ნაგებობებმა დააზიანა ადრეული გვიანბრინჯაოს ხანის კულტურული მრეხები. კედლების საძირკვლის ქვეშ და მათ გარშემო დიდი რაოდენობით აღმოჩნდა შავად გამომწვარი და გაპრიალებული კერამიკა, ალიზით ნაგები სათავსოთა ნაშთები.

გათხრებმა დაგვანახა, რომ გვიანბრინჯაოს ხანის სულ ცოტა სამ პერიოდში მაინც, აქ ხალხი მოსახლეობდა. ზედა ფენის მოსახლეობას თიხით შელესილ კედლებიანი სათავსოები ქონდათ, მოტკეპნილი იატაკი, უპირატესად წითლად გამომწვარი თიხის ტურქულს ხმარობდნენ, ქვედა ორი ფენის მოსახლეობას ალიზით ამოყვანათ კედლები და მოტკეპნილი იატაკის ქვეშ რიყის ქვები დაეწყობათ. მათი თიხის ტურქული შავად იყო გამომწვარი და გაპრიალებული.

ნამოსახლარის ამ ფენებში დიდი რაოდენობით შეგროვდა ხელსაფეკვავის ქვები, სანაყები, სასრები და საპრიალებელი ქვები, ნაირგვარი ფორმისა და დანიშნულების თიხის ტურქლის ნატეხები, დერგების, ქვაბქოთნების, ხელადების, სასმისების ფრაგმენტები. ჭარბად იყო მსხვილფენა და წყრილფენა საქონლისა და გარეული ცხოველის ძვლები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ირმის რქების სიმრავლე. ირმის რქებიდან მზადდებოდა შრომის იარაღები (ჩაქური, ბარი) ძელისგან კეთდებოდა ნემსები, საჩხელეტები. ქვის იარაღები ნაკლებადაა, ლითონისაგან დამზადებული ნივთები ერთეულების სახითაა. უნდა აღენიშნოთ ამულეტი ცხოველის კბილით, რომელსაც ბრინჯაოს გარსაკრავი ახვევია, რამდენიმე ლითონის წიდის ნატეხი. აღმოჩენილია თითო-ორიოჯი სამკაული, უხეშად დამუშავებული სარდიონის და თეთრი პასტის ბრტყელი მძივი. საყურადღებოა წითლად გამომწვარი თიხის 2 საბეჭდავი. ერთი მათგანი სახელურიანია, სახელური წაკვეთილია და წაკვეთილ ნაწილზე გეომეტრიული სახეა ამოკაწრული, ხოლო ბრტყელ მხარეზე სეასტიკაა მოცემული. მეორე საბეჭდავი დაზიანებულია. მას სახელური არ ახლავს. მის ბრტყელ ოთხკუთხა პირზე ჭედულ ჩარჩოში ჩამჯდარი ჯვარია მოცემული. საბეჭდავებს ანალოგები მოეძებნებათ ქართლში (ხოვლეგორა, გუდაბერტყა, უფლისციხე) და ძვ. წ. XIV-XIII სს. თარიღდებიან.

გარკვეული დროის მანძილზე ბორცვი დაუსახლებელი ყოფილა. გვიანბრინჯაოს ხანის ქვედა დასახლების შემდეგ, მოდის მიწის 8 სმ — სტერილური ფენა, ხოლო შემდეგ ჩნდება სხვა, უფრო ადრეული, მოსახლეობის კვალი, რომელიც სრულიად განსხვავებული კერამიკით წარმოგვიდგება. მათი საცხოვრებელი ბინა საკმაოდ დიდი ზომის ყოფილა, ოთხკუთხა ფორმის გვერდმომრგვალებული კედლები სარლასტზე ნა-

თიხის საბეჭდავი მკაფიჯვრის გორანამოსახლარიდან.



Глиняная печать из Мчадиджварского поселения.

გები და შელესალი. მოსახლეობა მოწითალო-მორუხო ფერის უორნამენტო ჭურჭელს სმარობდა.

აქაც გამოიკვეთა ორი სხვადასხვა სამოსახლო პერიოდი. ადრეული ოთხკუთხა ნაგებობით და უფრო გვიანდელი, სადაც შემორჩა ოვალური კერა და საინტერესო სადგარები (კოჭისებური, ოთხკუთხა) გორანამოსახლარის ქვედაფენა მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეულ საფეხურს მიეკუთვნება, გორის მახლობლად სადაზვერვო თხრილში და გორის ტერიტორიაზე, აღმოჩნდა ადრებრინჯაოს ხანის მოგვიანო პერიოდის თიხის ჭურჭლის ნატეხები, რომელიც შესატყვისი ფენის არსებობაზე მიგვიითითებს. ეს ფენა ჯერ გათხრილი არ არის.

ამგვარად, მჭადიჯვარის გორანამოსახლარზე გამოვლინდა სამ სხვადასხვა არქეოლოგიურ ეპოქაში (ადრებრინჯაოს გვიანბრინჯაოსა და ადრეფეოდალურ ხანაში) მოსახლე ხალხის კვალი. თითოეულ ეპოქაში კიდევ რამდენიმე ქრონოლოგიურად განსხვავებული ეტაპი შეიმჩნევა.

ნამოსახლარზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალები ემსგავსება შიდა ქართლისა და კახეთის გორანამოსახლარებზე აღმოჩენილ თანადროულ მასალებს და უკვე იძლევა საყურადღებო დასკვნების გამოტანის საშუალებას.

ყველა ფენას ძლიერი ხანძარი განუცდია.

გორის მახლობლად ექსპედიციამ გათხარა დაზიანებული სამარხი. სამარხი მდინარის ფლატეში იყო 2 მ სიღრმეზე. მიცვალებულის ჩონჩხი განადგურებული იყო. მისთვის თან ჩაუყოლებიათ თიხის ორი ჭურჭელი, (ერთი წითლად გამომწვარი და მოხატული ხელადა, მეორე შავად გამომწვარი გვერდბურცობიანი კონტა კოჭობი) რკინის იარაღი და სამკაულები: მოხრილი დანები, გრძელმასხრიანი ხელსუბისპირები, რკინის თავკვერიანი ცული, სატყვარი, რკალზე შესქელებებიანი სამაჯური, ფარაკიანი ბე-

თაბის კურქველი ანტიკური  
 ხანის სამარხიდან.

Глиняный сосуд из по-  
 гробения античной эпохи.



სასანური გეშმა სოფ. მლა-  
 შესთან აღმოჩენილ ადრე  
 ფეოდალური ხანის სამარ-  
 ხიდან.

Гемма из раннефеодал-  
 ного погребения из с.  
 Млаше.





ქედი, მძივი და სხვა. ამ მასალის საფუძველზე (მოხატული კერამიკის, მინის, მრეწველობის ნი სამაჯურით, ფარაკიანი ბეჭდით) სამარხი ძვ. წ. IV-III ს. თარიღდება.

ნარეკავის არქეოლოგიური ექსპედიციის წევრებმა ადგილობრივი მუსეუმის თანამშრომლებთან ერთად სოფ. მლაშესთან განადგურებას გადაარჩინეს ადრეფეოდალური ხანის ქვის სამარხები, სამარხები კოლექტიური იყო, ინვენტარიანი. ერთ-ერთ სამარხში აღმოჩნდა გვიანსასანური ცხოველის გამოსახულებიანი და წარწერიანი გემარომელიც პატარა ზომის სარდიონის მძივზე არის ამოკვეთილი. იმავე სამარხში იყო ქინძისთავი ბრინჯაოს ღეროთი, პასტისაგან დამზადებული ბროწეულის ყვავილის ფორმის შუაწელითა და მარგალიტის გულით, ბრინჯაოს ბეჭედი, მინისა და თიხის ტურტლის ნატეხები, სამარხის ტიპისა, ქინძისთავისა და სასანური გემის საფუძველზე — სამარხი VII-VIII სს. თარიღდება.

მდინარე ნარეკავის ხეობაში კერძოდ სოფ. მჭადიჯვარში მრავალი საინტერესო არქეოლოგიური ძეგლი გამოვლინდა, რომელთა შესწავლა დღის წესრიგში აქვს ნარეკავის არქეოლოგიურ ექსპედიციას.

<sup>1</sup> ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება IV, ს. ვახუშტიშვილის რედაქციით თბ. 1973 წ. გვ. 33.

<sup>2</sup> ქართლის ცხოვრება II, უ. ჩუბინოვის რედაქციით სპ. 1854 გვ. 454-6

<sup>3</sup> დასახ. ნაშრომი გვ. 488.

<sup>4</sup> დასახ. ნაშრომი, გვ. 454-6.

<sup>5</sup> მაღალი ძაბვის ღენისათვის ანძის აღმართის დროს ბუღლოზერით დაანგრევს გორის დასაუღეთი მხარე, შემორჩა კლათის მკარე ნაწილი, რომელიც გადაუდებელ შესწავლას მოითხოვდა.

პარმენ ზაქარაია,  
ნოდარ ლომოუჭრი,  
ზადიმ ლეჟინაძე

### ნოქალაქევი-არქეოპოლისი

აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის შუა საუკუნეების განყოფილებამ 1973 წელს დაიწყო ნოქალაქე-არქეოპოლისის არქეოლოგიური შესწავლა.

არქეოპოლისის, როგორც ძველის დიდი მნიშვნელობა განპირობებულია, პირველ რიგში იმით, რომ ეს ქალაქი IV-VII სს. წარმოადგენდა მთელ დასავლეთ საქართველოს დედაქალაქს. ამ ქალაქის არქეოლოგიურმა შესწავლამ უნდა მოგვეცეს წარმოდგენა ქვეყნის ეკონომიურ და მატერიალურ შესაძლებლობათა, მისი სოციალური განვითარების დონის, საქალაქო ცხოვრების ხასიათის, მისი კულტურის, სხვა ქვეყნებთან კავშირების, ვაჭრობის, ყოფისა და სხვათა შესახებ.

ნოქალაქევი მხოლოდ ერთი გათხრითი კამპანია ჩატარდა 1930/31 წლებში. მაშინ საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატთან შექმნილა სახელმძღვანელო-საკონსულტაციო კომისია ივ. ჯავახიშვილის, გ. ჩუბინაშვილის, ს. ყაუხჩიშვილის და გ. ნოზაძის შემადგენლობით. უშუალოდ გათხრების საწარმოებლად გერმანიიდან მოუწვევიათ ალფონს შნიდერი. მასთან ერთად გათხრებს აწარმოებდნენ, მაშინ, ახალგაზრდა სპეციალისტები ლ. მუსხელიშვილი და გ. გოზალიშვილი.

ამ ექსპედიციამ მხოლოდ ერთი სეზონი იმუშავა და შემდეგი წინასწარული შედეგები მიიღო. დათარიღებულ იქნა ორი კედელი: პირველი IV ს, მეორე—VI ს., ან VII ს. დამდეგით. ამასთანავე გაკეთდა საცდელი თხრილები და ნაწილობრივ გაიწმინდა ზოგიერთი კოშკი. ერთ-ერთ მათგანში აღმოჩნდა კეისარ მავრიკის (582-602 წწ.) 23 ცალი ოქროს მონეტა (ინახება სახ. მუზეუმის ნუმისმატიკის განყოფილებაში). სამწუხაროდ, ექსპედიციის დანარჩენი არქეოლოგიური მონაპოვარი მთლიანად დაიკარგა.

ამჟამად აქ მომუშავე ექსპედიცია, ცხადია მიზნად ისახავს არა მარტო ქალაქის არქეოლოგიურ გათხრებს, არამედ გამოვლენილ ძველთა კონსერვაცია-რესტავრაცია-საც. საქართველოს მეცნიერებთა აკადემიის შუამდგომლობით ზემდგომმა ორგანოებმა გამოვეს საკმაოდ სოლიდური თანხა, რომლითაც ყოველწლიურად, სისტემატურად, იწარმოებს აღდგენა-გამაგრებითი სამუშაოები. ბევრი რამ გააკეთა ექსპედიციამ იმისათვის, რომ ნაქალაქარმა უკვე ახლაც მიიღოს ისტორიული ძეგლის სახე (მისი ტერიტორიიდან გაიტანეს თანამედროვე სასაფლაო და აბრეშუმის პარკის საშრობი შენობის უზარმაზარი რკინა-ბეტონის სვეტები (დანგრეულ იქნა ახალი დროის რამდენიმე შენობა, გასაზღდა ორი ოჯახი, და სხვ.).

როგორც წინანდელი, ისე ახლანდელი გათხრების შედეგები ცხადყოფენ, რომ არქეოპოლისი არის ისეთი ძველი, რომელიც უმთავრესად ნაგებობებითაა წარმოდგენილი მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თავდაცვითი ნაგებობები, ხოლო კულტურული ფენა, შედარებით, ღარიბია. ნაგებობები მთლიანად შეიძლება გამოვლინდეს მხოლოდ რიგი წლების შემდეგ. ამ ხნის განმავლობაში ექსპედიციამ შეიძლო მთლიანად გათხარა ნაქალაქარის ერთი ნაგებობა — აბანო.

აბანო მდებარეობს ნაქალაქარის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში. იგი საქართველოში დღემდე აღმოჩენილი აბანოებიდან ყველაზე დიდი და რთულია, ხოლო მიკველეუა აბანოებიდან კი—რიგით მეშვიდე. ისევე, როგორც სხვა გვიანანტიკური დროის აბანოე-



ბი ისიც, ცენტრალური გათბობის სისტემაზეა აგებული. აბანოს სათავსოები ერთად ჯგუფად იყოფა. ერთი საბანაო სათავსები, ხოლო მეორე — მოსაცდელ-გასახდლები. საბანაო ნაწილში იყო — ცხელი, თბილი და ცივი სათავსები. საქაბე მოწყობილი იყო სამხრეთ-დასავლეთის კუთხეში, იქიდან ცხელი ქაერი შედიოდა სათავსების ქვემოთ კალორიფერან სივრცეში, ხოლო ცხელი წყალი მიღებით მიედინებოდა სათანადო აუზებში.

აბანო ნაგებია დაკუთხული კვით, ზედაპირის მქისედ დამუშავებით. გადახურვა კამაროვანი ყოფილა. შიგნით ბლომად ეყარა სარკმლის მინის ნატეხები. ასეთი დიდი ზომის მინის ფრაგმენტები ხსევაგან არ ყოფილა მიკვლეული.

ერთგან ჩანგრული იატაკის აგურზე აღმოჩნდა ბერძნული წარწერა, რომელიც ჯერჯერობით საბოლოოდ არ არის წაკითხული, აბანო თარიღდება IV-VI სს.

ნაქალაქარი მდებარეობს მდ. ტეხურის მარცხენა ნაპირზე. ამ საკმაოდ რთულ რელიეფზე განლაგებული ქალაქი, ძირითადად, სამ მოხაკვეთად ყოფილა დაყოფილი. მთავარი მონაკვეთი მდინარის ნაპირზეა. შემდეგ აღმართზე ჯერ საერთო ეზოა, ალბათ გარნიზონისათვის და ბოლოს, მაღალი მთის წვერზე — ციტადელი. გალავნით შემოღარგლული ეს ტერიტორია 20 ჰექტარამდე აღწევს.

ნაქალაქარის ქვედა ნაწილში კიდევ ერთი საინტერესო ობიექტი იქნა მიკვლეული. ესაა სამსართულიანი კაპიტალური შენობა, რომელიც ვარაუდით მეფის სასახლე უნდა იყოს.

კულტურული ფენიდან მონაპოვარი მასალა ძირითადად წარმოდგენილია თიხისა და მინის ჭურჭლის მრავალრიცხოვანი ნატეხებით. ამ ჭურჭლებს შორის უმთავრესად გვხვდება IV-VI სს. დამახასიათებელი ფორმები. მაგალითად, მინის ფეხიანი სასმისისებური ჭურჭლის ძირები ასეთი ჭურჭლები მინეულია სანათებლებად. განსაკუთრებით ბევრი აღმოჩნდა აქ ვიწრო, წელმზუნჯილი, წაგრძელებულ კორპუსის მქონე ამფორების ფრაგმენტები. აღმოჩნდა აგრეთვე აღნიშნული ხანის იმპორტულ ამფორათა ნატეხების დიდი რაოდენობა. ესაა საწოსური დაღარულტანიანი მომრგვალებულძირიანი და ხაზებით დაფარული ამფორების ფრაგმენტები. ამ დროისთვის დამახასიათებელია აგრეთვე ე. წ. ლუთერიუმები (ტაშისეპური ჭურჭელი), რომელთა ფრაგმენტები ასევე ჩვეულებრივია არქეოპოლისის კულტურული ფენისთვის. აქ აღმოჩნდა აგრეთვე გვიანანტიკური და ადრემუსააკუნეების ჭურჭლის ფრაგმენტებიც მაგრამ ამ ჭურჭლის ფორმები ძალზე ნაკლებმეტყველია.

ამ ფენის ცალკეულ მონაპოვართა შორის უნდა აღინიშნოს იმპერატორ იუსტინეს სპილენძის მონეტა. ტყვიისაგან ჩამოსხმული ბულა, ისრისპირები, ჯვრის გამოსახულებით შემკული ანტეფიქსები, ნატეხები ბრინჯაოს ქალისა, რომლის დეტალები შემკულია აქურული მონოგრამებით, რომელთაც ადრებიზანტიური ხანისთვის დამახასიათებელი ჯვრისებური კომპოზიცია აქვთ.


ნაქალაქარის ტერიტორიაზე აღმოჩნდა ისეთი ჭურჭლის ფრაგმენტებიც, რომლებიც ქალაქის არსებობის წინაურ ხანას ან შემდგომ პერიოდს ეკუთვნის. მაგალითად, ელინისტური ყაენსფრთიხიანი ამფორების ძირები, ან შუა ფეოდალური ხანის მოჭრილი და ფიანისის ჭურჭლის ფრაგმენტები. განსაკუთრებით უნდა მოვიხსენიოთ აქ გვიანფეოდალური ხანის მოვერცხლილი სპილენძის ჩამჩისეპური ჯამი ქედური ორნამენტით შემკული.



ახანო. ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან.

Бани. Вид с северо-востока

ნოქალაქევი. ხოროსის ფრაგმენტო.



Нокалакеви. Деталь хороса

1974 წ. შესაძლებელი გახდა დადგენა, რომ სოფ. ნოქალაქევის ტერიტორიაზე სხვა არქეოლოგიური ძეგლებიც მოიპოვება. ასე მაგალითად, არქეოპოლისის ქვედა ქალაქის აღმოსავლეთ გალავნის წინ აღმოჩნდა საკმაოდ მდიდარი კულტურული ფენა ადრეანტიკური და წინარეანტიკური ხანისა, რომლის სიღრმეში ჩაშვებულია ელინისტური ეპოქის ქვევრსამარხები. ეს სამარხები შეიცავს ჩვეულებრივ ინვენტარს; განსაკუთრებით აღსანიშნავია ატიკური შავლაკიანი კანთაროსი.



გამოვლენილი სამართავი იძლევა საფუძველს ვაუარაუდოთ, რომ მან შექმნილია რის ქვედა ნაწილის ტერიტორიაზე ვრცელდებოდა, ოღონდ იქ სამარხები დაწვრილ იქნა ინტენსიური საქალაქო ცხოვრების შედეგად.

ნოქალაქევის ირგვლივ არსებული ისტორიული ცნობებიდან აქ რამდენიმეს მოვიყვანთ:

VI ს. ბიზანტიელი მწერლები (პროკოპი კესარიელი, აგათია და სხვ.) დასავლეთ საქართველოს, ანუ ლაზიკის დასახლებულ პუნქტთა შორის ასახელებენ არქეოპოლისს წყაროებიდან ირკვევა, არქეოპოლისი ლაზიკის ერთ-ერთ ქალაქს წარმოადგენს, ამასთან უდიდეს და უძველეს საქალაქო ცენტრს, კარგად გამაგრებულს. უფრო მეტიც, პროკოპი კესარიელის მიხედვით, არქეოპოლისი მთავარი, უპირველესი ქალაქი იყო ლაზიკაში, რაც მოწმობს, რომ ამ დროს იგი ლაზიკის, ანუ ეგრისის სამეფოს დედაქალაქს წარმოადგენდა. არქეოპოლისი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა იმ ხანგრძლივ საომარ მოქმედებებში, რომელთაც ადგილი ჰქონდა VI ს 30-60-იან წლებში ლაზიკის ტერიტორიაზე ბიზანტია-ირანს შორის მიმდინარე ომის დროს. სპარსელებმა რამდენიმეჯერ სცადეს ეგრისის ამ უმნიშვნელოვანესი ცენტრის ხელში ჩაგდება. 551 წ. სპარსელთა სარდალი მერმეროე სპარსთა დიდი ლაშქრით, 4000 კუნთ და რვა საომარი სპილთი შემოადგება არქეოპოლისს, მაგრამ ვერაფერს მოუხერხებს მის მიუვალ გოლავან-კოშკებს.

ერთი წლის შემდეგ მერმეროე, ახალი ჯარით გაძლიერებული, კვლავ მიადგა ეგრისის დედაქალაქს, მისი „ზღუდე მოსინჯა და რომ ვერაფერს გახდა კვლავ გაბრუნდა“ (პროკოპი კესარიელი).

555 წ. არქეოპოლისთან მარცხდება სპარსელთა მეორე სარდალი — ნახორაკანი.

ამ დროს სპარსელები საკმაოდ დიდი ძალებით მოქმედებენ ლაზიკაში, ისინი თითქმის მთელ ეგრისს ფლობენ, ადვილად იპყრობენ სხვა აჭაურ ციხე-ქალაქებს (სკანდას, შორაპანს, ვარდციხეს, ჭუთაისს, პეტრას), ლაზები და ბიზანტიელები ვერ ახერხებენ ამ ქალაქებისა და სიმაგრეების დაცვას, არქეოპოლისს კი ლაზ-ბიზანტიელები თავგამოდებით და წარმატებით იცავენ. ეს მოწმობს, რომ ამ ქალაქს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა და ის, ამავე დროს, ძლიერ და მიუდგომელ ციხე-ქალაქს წარმოადგენდა.

პროკოპი კესარიელისა და სხვა ავტორთა მიხედვით არქეოპოლისი ლაზიკის ერთ-ერთი უძველესი ქალაქი იყო. ცხადია, რომ ის VI ს. არ იყო აღმოცენებული. ამასვე ადასტურებს მისი სახელწოდებაც: VI ს. ავტორები მას „არქეოპოლისს“, ანუ „ძველ ქალაქს“ უწოდებენ. ამიტომ სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულად ითვლება, რომ ეს ქალაქი ბევრად ადრე წარმოიქმნა და ლაზიკის (ეგრისის) სამეფოს დედაქალაქად გახდა თვით ამ სამეფოს ჩამოყალიბება-გაძლიერების პერიოდში, ე. ი. ახ. წ. IV ს-ში. სწორედ ამ დროს ეგრისის სამეფომ გააერთიანა მთელი დასავლეთ საქართველო, ლაზიკის მეფის ქვეშევრდომები არიან აბსილთა, აბაზგთა, სანიგთა, სვანთა და ლეჩხუმელთა მთავრები. ლაზიკის მეფე ბიზანტიის იმპერატორის ვასალად ითვლება, მაგრამ ეს დამოკიდებულება მეტად ფორმალური ხასიათისაა და რეალურად ეგრისი დამოუკიდებლობით სარგებლობს. სწორედ ამ საკმაოდ ვრცელი და ძლიერი პოლიტიკური ერთეულის სატახტო ქალაქს წარმოადგენდა არქეოპოლისი.

სამეცნიერო ლიტერატურაში დღეს აღიარებულად ითვლება, რომ არქეოპოლისი მდებარეობდა თანამედროვე სოფ. ნოქალაქევის ადგილას (ცხაკაიას რ-ნი), სადაც შერჩენილია მძლავრი ციხე-ქალაქის მონუმენტური ნანგრევები, ნაშთი ძველი ეგრისის

დედაქალაქისა (დიუბუა დე მონპერე, მ. ბროსე, ი. ჯავახიშვილი, გ. ჩუბინაშვილი, ს. ჯანაშია, ს. ყაუხჩიშვილი და სხვ).

ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ გვიანდელი ქართული წყაროები (ვახუშტი ბაგრატიონი და სხვ.) ნოქალაქევს მიიჩნევენ ვერისის ძველ დედაქალაქად ციხე-გოჯად, რომელიც ძვ. წ. III ს. დასაწყისში დაარსებულ იქნა ქართლის მეფე ფარნავაზის თანამედროვე ვერისის ერისთავის ქუჯის მიერ. თუ ეს გაიგივება რეალურ ისტორიულ სინამდვილეს შეეფერება ნოქალაქევ-არქეოპოლისის ისტორია უფრო შორეულ წარსულში, ელინისტურ ხანაში იწყება და მისი მნიშვნელობა და როლი კიდევ უფრო იზრდება.

ერთი ამკარაა, რომ IV-VII საუკუნეებში ნოქალაქევ-არქეოპოლისი ვერისის სამეფოს დედაქალაქს წარმოადგენდა, ხოლო თუ მას ციხე-გოჯსაც დავუკავშირებთ ამ ქალაქის ისტორია ძვ. წ. III საუკუნესა და ახ. წ. VIII საუკუნეს შორის თავსდება. საკმე ისაა, რომ ქართულ წყაროთა მიხედვით სწორედ VIII ს. 30-იან წლებში ციხე-გოჯი აიღო და გაანადგურა არაბთა სარდალმა მურვან-ყრუმ, რის შემდეგაც ის მხოლოდ რიგით ციხედლა რჩება.

ექსპედიცია ძირითადი ობიექტის გარდა დიდ სამუშაოებს ატარებს ნოქალაქევის გარემოს, მისი ეპოქის ძეგლების მოხილვისა და შესწავლისათვის. ყველაფერ ამის შესწავლას კი ათეული წლები მოუნდება.

„თრალის სამაროვნის ბრინჯაოს სარტყელი“

(სტილისტიკური ანალიზი)

კავკასიის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კულტურებისათვის ერთ-ერთ დამახასიათებელ კომპონენტს ბრინჯაოს ორნამენტირებული სარტყელი წარმოადგენს. სარტყლები დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი, როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ისევე ჩრდილოეთ ოსეთში, სომხეთსა და აზერბაიჯანში. მათი გავრცელების ქრონოლოგიურ ჩარჩოდ ძვ. წ. XIV-VI საუკუნეებია მიჩნეული.

აღნიშნული სარტყლები ზოგადად ერთგვაროვანი მოხაზულობით ხასიათდება. ისინი წარმოადგენენ წაგრძელებულ ოთხკუთხედებს მეტ-ნაკლებად მომრგვალებული კიდეებით. სარტყელთა სიბრტყე ზოგ შემთხვევაში მხოლოდ გეომეტრიული ორნამენტითაა დაფარული, ზოგჯერ კი მასზე რთული სიუჟეტია გამოსახული. ბრინჯაოს სარტყლები შესრულებულია ერთი ტექნიკით, კერძოდ, ან მხოლოდ გრავირებით. ანდა ერთდროულად, როგორც გრავირებით, ასევე პუნსონითაც — ჭედურობით.

1968-1973 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად არაერთი ბრინჯაოს სარტყელი იქნა აღმოჩენილი, თბილისის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ დიდი მასივის ტერიტორიაზე არსებულ ე. წ. თრელის სამაროვანზე. ჩვენ მიზანს შეადგენს, განვიხილოთ ამ სამაროვნის ერთ-ერთი წარჩინებული მეომრის სამარხში (№ 74) აღმოჩენილი სარტყელი, რომელიც სამარხის ინვენტარის მიხედვით არქეოლოგების მიერ IX-VIII საუკუნეებითაა დათარიღებული.

ეს სარტყელი წარმოადგენს ბრინჯაოს თხელ ფირფიტას, რომელზედაც გრავირებითა და პუნსონით გარკვეული სიუჟეტი და დეკორაციული მოტივია გამოსახული.

სარტყელს გარშემო ხუთი რიგი უწყვეტი სპირალისაგან შემდგარი განიერი ორნამენტირებული ზოლი შემოსდევს. ორნამენტის ეს მოტივი მცირე განსხვავებით წარმოადგენს მთელი სარტყლის ძირითად გეომეტრიულ დეკორს.

სპირალისაგან შემდგარი ორნამენტი მარტო სარტყლის დეკორაციული მორთულობისათვის არ არის გამოყენებული. იგი უპირველეს ყოვლისა მასზე სიბრტყის დანაწევრებასა და ამ სიბრტყეზე ფიგურების შესაბამის განაწილებას — ცალკეული კომპოზიციების შექმნას ემსახურება. ვიწრო, დაშტრისული ზოლებით შენაცვლებული ხუთი რიგი სპირალი, კიდეებზე ამავე რაოდენობის სამკუთხედებს ქმნის. ეს სამკუთხედები სოლისებურად სარტყლის ცენტრალურ ნაწილისაგან არის მიმართული. ორნამენტის ამგვარივე მოტივითაა გამოყოფილი სარტყლის შუა ნაწილიც, რომელიც ორ ფრისს შეადგენს.

როგორც სამკუთხედის ფურდებს შორის მანძილი, ასევე სარტყლის ორივე ფრისი ადამიანთა და ცხოველთა გამოსახულებებითა და ციურ სხეულთა სიმბოლური ნიშნებითაა დაფარული.

ცენტრალური კომპოზიცია სარტყლის შუა ნაწილზე მოთავსებულ ორ ფრისზე იმლება.

ზედა ფრისის მთავარი ღერძის გასწვრივ გამოსახულია მგლის მსგავსი ორი ცხოველი თავდაყირად წარმოდგენილი სიბრტყეზე მოცემულ სხვა ცხოველებისაგან განსხვავ-



ვებით და პირით მიტყეული ერთმანეთის მიმართ. ზედა ფრიზის ცენტრში მოთავსებულ ცხოველებს გვერდითი ფიგურებისაგან გამოყოფს მზის სიმბოლური გამოსახულებანი: მარცხნივ, ქვევით -- სვასტიკა, მარჯვნივ, ზევით კი -- რადიალური ხაზებით დაფარული ბრიალა.

ამგვარიად, როგორც მგლის მსგავსი ცხოველების თავდაყირადა წარმოდგენა და ზედა ფრიზზე გამოსახული სხვა ფიგურების მიმართ მათი ზურგშექცევითი მოცემა, ასევე მზის სიმბოლურ გამოსახულებათა ცენტრალური ფიგურების ორივე მხარეზე მოთავსება, ამ ცხოველების იზოლირებული ჯგუფის შექმნას იწვევს.

ცენტრალური ნაწილების მარჯვნივ და მარცხნივ წარმოდგენილია სარტყლის კიდევებისაკენ შებრუნებული ორი წყვილი ირემი. ირემების ეს წყვილები ზედა ფრიზზე „მგლის“ ფიგურების გარდა დამატებით ორ ჯგუფს ქმნიან.

მარცხნივ გამოსახულ ირემის თავთან და მგლის მსგავსი ცხოველების ზემოთ მოთავსებულია თევზის გამოსახულებანი, ხოლო მარჯვნივ ირემებს შორის ბრიალა წარმოდგენილი.

ქვედა ფრიზზე მგლის მსგავსი ცხოველების გასწვრივ ადამიანის ორი ფიგურაა მოცემული. თუ მგლის გამოსახულებანი ერთმანეთის მიმართ პირისპირ იყვნენ წარმოსახული და ცალკეულ ჯგუფს ქმნიდნენ, მონადირის ფიგურები უკუშექცევით არიან მოცემულნი და ერთიანდებიან მათ გვერდით გამოსახულ ორ წყვილ ირემთან ერთად. ამგვარად, ზედა ფრიზის სამი ჯგუფი ქვედაზე ნადირობის ორი სცენით იცვლება. სცენათა შორის სვასტიკაა მოთავსებული. მზის სიმბოლური გამოსახულება — ბრიალა, მარჯვნივ მოცემულ მონადირესა და ირემს შორისაა წარმოდგენილი.

ცენტრალური კომპოზიციის მსგავსად სარტყლის გვერდითი ნაწილების სიბრტყეც ორ მონაკვეთად იყოფა. მაგრამ თუ ცენტრალური კომპოზიციის ორ ფრიზს ხუთი რიგი სპირალისაგან შემდგარი ორნამენტირებული ზოლი ქმნიდა, სარტყლის გვერდით ნაწილებზე ორი მონაკვეთი მასში ჩახაზული სპირალისაგან შემდგარი სამკუთხედებითაა წარმოქმნილი.


მიუხედავად იმისა, რომ სარტყლის ცენტრალური ნაწილი ორნამენტირებული ზოლით მკვეთრადაა გამოყოფილი, მასზე გამოსახული ფიგურების ხაზგასული მიმართულება თითქოსდა შლის ზღვარს ცენტრალურსა და გვერდით სცენებს შორის და არ სპობს ცხოველთა მოძრაობას, სელას, სარტყლის კიდევებისაკენ.

სარტყლის სამივე ნაწილის გაერთიანებას ხელს უწყობს, ერთი მხრივ, მის შუაგულში მოთავსებული ფიგურების მიმართულება, ხოლო, მეორე მხრივ, სარტყლის გვერდით მონაკვეთებზე, მის ზედა და ქვედა ფრიზზე, გამოსახული ირემების ფორმათა განმეორება.

სარტყლის კიდევებისკენ არის მიმართული აგრეთვე მარცხნივ, სამკუთხედის ზევით მოთავსებული თევზისა და ძაღლის (?), ხოლო ქვევით ორი თხის (?) სტილიზებული გამოსახულება, მარჯვნივ კი — სამკუთხედის ორივე მხარეს ორი ფრინველისა და ქვევით თხის ერთი ფიგურა.

ამგვარად, თუ სარტყლის შუა მონაკვეთის ფიგურები ცენტრალური ღერძის მიმართ სარკისებურად იყვნენ მოცემულნი, გვერდით ნაწილებზე გამოსახულებანი არ იმეორებენ ერთმანეთს. განმეორება შეიმჩნევა მხოლოდ სარტყლის კიდურა მონაკვეთებზე ირემის ფიგურათა მსგავს განლაგებაში.

სარტყლის დასრულებული სახის მიცემასათვის, ფიგურათა მოძრაობის ჩატექვის მიზნით, კიდევებთან გამოსახული თევზები (მარცხნივ, ზევით — 3, ქვევით — 1,



ორელის სამაროვნის ბრინჯაოს სარტყელი № 74 სამარხიდან.

მარჯნივ, ზეით — 1, ქვეით — 2) შეტრიალებული არიან სარტყელზე მოცემულ სხვა ფიგურათა საწინააღმდეგო მიმართულებით. ამავე მიზანს ემსახურება აგრეთვე სარტყლის იმავე კიდურა მონაკვეთებში მოთავსებული სპირალებით დაფარული სამკუთხედები, გამოსახულნი წვერით სარტყლის ცენტრისაკენ.

ამგვარად, გამოსახულებათა განაწილება სარტყელზე გარკვეულ პრინციპს ემყარება. კერძოდ, მის საფუძველზე გამოიყოფა წამყვანი ფიგურები, ცალკეული ჯგუფები, წარმოიქმნება მასზე სიმეტრია, რიტმი და დინამიზმი. შემოწამოთვლილი კომპონენტები განაპირობებენ სწორედ სარტყლის კომპოზიციურ ერთიანობას.

სარტყლის დამუშავებისას ოსტატის მთავარ მხატვრულ ამოცანას სიბრტყის დეკორაციული მორთვა წარმოადგენდა. სარტყლის დეკორაციულ ხასიათზე მეტყველებს ერთი მხრივ, ორნამენტას ჭარბად მოცემა (ფიგურებთან შედარებით მას დაქვემდებარებული როლი კი არ ენიჭება, არამედ, პირიქით, იგი შეადგენს სწორედ სიბრტყის დეკორაციულა მორთვის ერთ-ერთ მთავარ კომპონენტს). მეორე მხრივ, ფიგურათა თავისებური დამუშავება, კერძოდ, მათი შევსება შტრიხებითა და პუნსონებით.

მართალია, სარტყელზე არ ვხვდებით გამოსახულებათა (ფიგურები, ორნამენტი) ხალიჩისებურ განაწილებას, მაგრამ მაინც არ შეიძლება არ აქნეს აღნიშნული სიბრტყის შევსებისაკენ ერთგვარი მისწრაფება, რაც ყველაზე უფრო თვალსაჩინოდ ფიგურებს შორას ციურ სხეულთა სიმბოლური ნიშნებისა და თევზის გამოსახულებათა მოთავსებაში ვლინდება. მათა ამგვარი წარმოდგენა არღვევს სარტყელზე გამოსახულ ფიგურათა სიმეტრიულობას და სარტყლის სიბრტყის შევსებას ემსახურება. ეს კი კვლავ სარტყლის დეკორაციულ ხასიათზე მიუთითებს.

მხატვარი სიბრტყობრივად აზროვნებს. სრულიად გლუვ ფონზე იგი ფიგურებს სიბრტყეზე შლის. ფიგურათა სიბრტყეზე გაშლის პრინციპი იწვევს სწორედ ზოგიერთ



Бронзовый пояс из Трельского погребения № 74.

გამოსახულებათა სხეულის ნაწილების ერთდროულად ფასსა და პროფილში წარმოდგენას. ასე, მაგალითად, ცხოველთა თავი და ტანი პროფილშია მოცემული, მათი ფეხები კა ოთხ ვერტიკალს ქმნის, ფიგურის სრული წარმოსახვისათვის რქები ანფასშია წარმოდგენილი და ა. შ. იგივე ითქმის ადამიანის გამოსახულებაზეც.

ფიგურების დამუშავება შტრიხებითა და პუნსონებით კიდევ უფრო უსვამს ხაზს მოცემულ გამოსახულებათა სიბრტყობრივ ხასიათს. პუნსონთა საშუალებით ფიგურათა ფორმების განმეორებითი ჩვენება ახსნილი უნდა აქნეს არა მათი შიდა ფორმების გამოვლენის მისწრაფებით, არამედ ერთი მხრივ, ცხოველის ზუსტი გააგნული ნიშნების წარმოდგენათ (პუნსონით აღნიშნულია მოკლე ბეწვი. თევზიფხურით კი — კრძელი), მეორე მხრივ კი გამოსახულებათა გამკვეთრებით. პუნსონი და შტრიხი ამ შემთხვევაში დეკორაციული ამოცანის გარდა ფიგურებს დასრულებულ სახეს აძლევს და გლუვ ფონზე მათ აქცენტირებას იწვევს. ამგვარად, ამა თუ იმ ფიგურის ხასიათის შექმნაში პირველად როლს პუნსონები და შტრიხები და მტრისებრი კი არ თამაშობენ, არამედ ფიგურათა გარე კონტურები, რომელნიც განსაკუთრებულად მოქნილნი და გამომხატველნი არიან. ისე, რომ სარტყელზე გამოსახულ ფიგურათა ფორმები წარმოდგენილია, როგორც მათი მოხაზულობით, ასევე გამოსახულებებზე განლაგებული, პუნსონებითა და შტრიხებით.

დეკორაციულ-სიბრტყობრივი ამოცანის გარდა მხატვარს ყურადღება გადააქვს ფიგურათა სიმეტრიულ განლაგებასა და მათ რიტმულ შენაცვლებაზე, რითაც უკი პარამონიული ჯგუფების შექმნას აღწევს, ამავე დროს იგი ცდილობს გამოსახულებანი დინამიკაში წარმოადგინოს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დინამიკურობა სარტყელზე სხვადასხვა გზითაა მიღწეული. იგი იქმნება როგორც თვით ცალკეულ ფიგურათა მოძრაობაში გამოსახვითა



(ადამიანის „ძაღლისა და „თხის“ გამოსახულებანი) და მათი განმეორებითი წესებით, რიტმულობით (მგლის ფანტასტიკური, ირმისა და ფრინველის გამოსახულებანი), ასევე საგანგებოდ მიმართულების მაჩვენებელი ფიგურებითაც (თევზები).

საგულისხმოა, რომ რიტმულობა მიღწეულია აგრეთვე ორნამენტის მეშვეობით. სპირალთა უწყვეტა დინებით. გარკვეულ რიტმულობას ქმნის სარტყელზე თვით გამოხატულებათა სხეულზე მოცემული ხაზების სახით წარმოდგენილი პუნსონებიც.

უნდა აღინიშნოს, რომ თრელის № 74 სამარხის სარტყელს პარალელები ეძებნება მხოლოდ საქართველოში აღმოჩენილ სარტყლებთან და ასევე სამთავროს გარკვეულ ჯგუფთან, რომლებიც აღმოჩენილია №№ 211, 276, 281 სამარხებში (ნ. ურუშაძე).

ეს მსგავსება უპირველეს ყოვლისა სარტყელთა საერთო დეკორაციულ ამოცანაში — მათ დეკორაციულ გადაწყვეტაში შეიმჩნევა.

სარტყლები ერთმანეთს ემსგავსებიან ცალკეულ გამოსახულებათა გამოსატვის ერთგვარ ფორმებშიაც. ფიგურათა გამოსატვის ერთგვარობა ვლინდება მათ ერთნაირ მოხაზულობაში. ცალკეული გამოსახულებების მსგავს მოძრაობაში წარმოდგენასა და მათი სხეულის ერთი და იმავე ხერხებით დამუშავებაშიაც. გამოსახულებათა გამოხატვის ასეთი გადაწყვეტა კი შესაძლებელია ერთი მხატვრული სკოლის მიერ შემუშავებულ საერთო პრინციპებზე მეტყველებდეს.

დასახელებულ სარტყელთა ჯგუფში ერთი სახეობის ორნამენტიცაა მოცემული. უნდა ითქვას, რომ სპირალიანი ორნამენტი კავკასიის სარტყელთა ერთ-ერთ ყველაზე უფრო გავრცელებულ დეკორაციულ მოტივს წარმოადგენს. უწყვეტი სპირალი წითაფსებული დაშტრიხულ ხაზებს შორის, სპირალთა რიგების განსხვავებული რაოდენობით გვხვდება, როგორც საქართველოში აღმოჩენილ, ასევე სომხეთსა (სანანი, ახტალა) და აზერბაიჯანში (კალაკენტი, ქედაბეკი) მოპოვებულ სარტყლებზედაც. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს ორნამენტი კავკასიის სარტყლებზე განსხვავებული ვარიანტებით წარმოსახება: იგი ქმნის სხვადასხვა კომპოზიციას და გვხვდება როგორც გართულებული, ასევე გამარტივებული სახითაც. ასე მაგალითად, თრიალეთისა და ახტალის სარტყლებზე სპირალთა განლაგება რომბს წარმოქმნის, ქედაბეკისაზე სპირალთა რიგები განსხვავებული მიმართულებით გამოისახებიან, რაც შეეხება კალაკენტის სარტყელზე მოცემულ ორნამენტს, იგი გართულებულია სხვა დეკორაციული მოტივით, რომელიც სპირალთა შორის თავისუფალ სიბრტყეს ავსებს, ხოლო სამთავროს № 56 სარტყელი სპირალიანი ორნამენტის გამარტივებულ სახეს წარმოგვიდგენს, კერძოდ, ცენტრში გამოსახულ წრეებს, რომელნიც ერთმანეთთან პუნქტირით ერთიანდებიან. თრელის და სამთავროს აღნიშნულ სარტყლებზე კი სპირალიანი ორნამენტი განსხვავებულ რიგებად წარმოდგენილ ერთი მიმართულებით გამოსახულ დეკორაციულ მოტივებადაა მოცემული.

დასახელებული სარტყლები ემსგავსებიან ერთმანეთს მათვე გამოსახული ფიგურების განლაგებითაც. ამ თვალსაზრისით პირველ რიგში უნდა იქნეს აღნიშნული სამთავროს № 276 სარტყელი, რომელზედაც, თრელის № 74 სარტყლის მსგავსად, ფიგურათა განლაგება ორნამენტირებული დეკორის განაწილებას — სარტყლის კიდევში სოლისებურ სამკუთხედებსა და სარტყლის სიბრტყის გამყოფ ზოლს ექვემდებარება.

უნდა აღინიშნოს, რომ ორნამენტის მსგავს განაწილებას მოცემული ჯგუფის სარტყელთა გარდა ვხვდებით სომხეთსა და საქართველოში აღმოჩენილ სხვა სარტყლებზედაც (სამთავროს №№ 23, 56 და ტაზაკენტი). მაგრამ სარტყელთა ეს ორი ჯგუფი



თავიანთი შესრულების მანერით ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდება. სამთავროს № 23, № 56 და ტაზაკენტის სარტყელზე გამოსახულებანი განჯა — ყარაბაღულ კულტურებისათვის დამახასიათებელ ნიშნებს ატარებენ. ისინი უკიდურესი სქემატურობით ხასიათდებიან. (ნ. ურუშაძე). აქ ცხოველის ფიგურას, შეიძლება ითქვას, რომ სამი კონტური ქმნის: გულმკერდის აღმნიშვნელი ხაზი, კონტური, რომლითაც ზურგი და უკანა ტანი შემოიხაზება და ხაზი, რომელიც მუცლის არესა და ფეხებს გამოხატავს.

ეს სარტყელები, კავკასიაში აღმოჩენილ სხვა სარტყელებისაგან განსხვავებით ფორმათა სქემატური გამოსახვის გარდა სიბრტყის განსხვავებულ გადაწყვეტასაც იძლევა. თუ სხვა სარტყელებში სიბრტყის შევსების მისწრაფებას ვხედავთ, აქ, პირიქით, მანძილი გამოსახულებათა შორის საგანგებოდაა გაზრდილი.

როგორც გამოსახულებათა გამარტივებული ფორმები, ასევე ფიგურათა განაწილებაში შესამჩნევი სიმარტივე, გამოწვეული გლუვი სიბრტყის ფართო ჩვენებით, ზემოწამოთვლილ სარტყელებს სისადავეს ანიჭებს. მისწრაფება სისადავისაკენ თვით სარტყლის ორნამენტის შერჩევაშიცაა შესამჩნევი.

სქემატურგამოსახულებიან სარტყელებისაგან განსხვავებით ჩვენთვის საინტერესო სარტყელთა ჯგუფის ფიგურების უმეტესობა ფორმათა ნატურალისტური გამომხატვით ხასიათდება და ინდივიდუალური ნიშნების გვერდით თავიანთი გამომხატვის საშუალებებით საერთოს კოლბური კულტურის ძეგლებთან — კოლხურ ცულთა გამოსახულებებთან პოულობს.

განჯა — ყარაბაღული კულტურისათვის ნიშანდობლივი ფიგურები თრელის № 74 და სამთავროს №№ 211, 276, 281 სარტყლებზედაც წარმოიხასიებია. ასეთ განსხვავებულ სტილთა თანაარსებობას კავკასიაში აღმოჩენილ სხვა სარტყელებზე არ ვხედავთ. ეს კვლავ ამ სარტყელების აბლო მსგავსებაზე უნდა მიუთითებდეს.

ამგვარად, თრელის № 74 სამარხის სარტყლის მსგავსება სამთავროს მოცემულ ჯგუფთან, ასევე მათზე გამოსახული ფიგურების ფორმათა სიახლოვე, როგორც კოლხური კულტურების ძეგლებთან, ასევე განჯა-ყარაბაღულთანაც და, რაც მთავარია, ამ ფიგურათა ფორმებში გამოვლენილი ინდივიდუალური ნიშნები გვაფიქრებინებს, რომ ჩვენთვის საინტერესო სარტყელი ადგილობრივი ნაწარმია.




### რველის სამაროვანი

ბორჯომის ხეობაში გაშლილ ახალმშენებლობებს უკავშირდება მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლების გამოვლენა-შესწავლა. ჯერ კიდევ დიდი სამამულო ომის წლებში ბორჯომ-ახალციხის რკინიგზის მშენებლობის დროს საყურადღებო იყო ნასოფლარ ყვერბელთან შემთხვევით გამოვლენილი სამარხეული კომპლექსები, რომელთა ასაკი სხვადასხვა პერიოდს განეკუთვნება. უნდა აღინიშნოს, რომ ბორჯომისა და სხვა მუზეუმებში დაცული შემთხვევით აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალები იმთავითვე მანიშნებელი იყო ხეობის მიწისქვეშა მატერიალური კულტურის ძეგლებით დაყურსულობისა.

ბორჯომის ხეობაში ომისშემდგომ წლებში ფართოდ გაშლილ მშენებლობებს უკავშირდება ისეთი მნიშვნელოვანი ძეგლების შესწავლის დაწყება, როგორცაა სოფ. რველისა და „ჩიტახევის მიწების“ სამაროვნები. ასევე საყურადღებოა მდ. შავწყალას ხეობაში წელში, ნასოფლარ საკოჭაოსთან, რთულპროფილიანი კულტურული ფენა, რომელიც თავზე გადასდევდა ანდეზიტის ქანებს. ხეობაში ცნობილი არქეოლოგიური ძეგლების გავრცელების ტოპოგრაფია, გეოგრაფიები რომ ყველა ის ტერასა, რომელიც დღესაა დასახლებული და მეურნეობისთვის გამოყენებული, ადრიდანვე ყოფილა ათვისებული. აღსანიშნავია, რომ ყვერბელის, რველის, ჩიტახევის მიწების სამაროვნებზე დადგენილი სტრატოგრაფია, მიუთითებს მათ მრავალფენიანობაზე. რაც შეეხება ანდეზიტის წარმოების ტერიტორიაზე გამოვლენილ კულტურულ ფენას, იგი მხოლოდ ნაშთია იმ პირველხარისხოვანი ძეგლებისა, რომლებიც მთელი 40 წლის განმავლობაში ნადგურდებოდა ანდეზიტის მოშპოვებლების მიერ. აღნიშნულ ფენაში მოგვიანო ხანის მასალების გვერდით, კერამიკული და ქვის ინდუსტრიის ნაწარმის ერთი ჯგუფი, ადრესამიწათმოქმედო კულტურის კუთვნილია. თავისთავად, ბაკურიან-ციხისჯვრის რეგიონში ამ კატეგორიის ძეგლების აღმოჩენის ფაქტი, არსებითი მნიშვნელობისაა საქართველოს ტერიტორიაზე ადრესამიწათმოქმედო კულტურის სრულყოფილად შესწავლის საქმეში. აღნიშნული ძეგლების საფუძველზე, საშუალება გვეძლევა, მეტნაკლებად მიედევნოს თვალი მთისა და ბარის კულტურულ-ეკონომიურ კავშირ-ურთიერთობებს ჯერ კიდევ ძვ.წ. V-IV ათასწლეულებიდან.

ხეობაში ცნობილი მრავალფენიანი სამაროვნებისა და საერთოდ ძეგლების წარმოქმნის საფუძველს აქ არსებული გეომორფოლოგიური და კლიმატური მონაცემები ქმნიდა. მრავალფენიან ძეგლთა შორის ერთ-ერთ განსაკუთრებულ ადგილს რველის სამაროვანიც იკავებს. აღნიშნულ სამაროვნის ქვედა ფენის სამარხებიდან მომდინარე მასალა მტკვარ-არაქსის კულტურის ნიშნებით იქცევს ყურადღებას (ძვ. წ. III ათასწლეული).

რველის სამაროვანზე შუაბრინჯაოს ხანის კუთვნილი სამარხეული მასალა მცირედაა გამოვლენილი, მიუხედავად ამისა, იგი უაღრესად მნიშვნელოვანია (ტაბ. 1-2, 3). ამ პერიოდის მასალებიდან აღსანიშნავია ბრინჯაოს დისკოსებრი საკიდი (ტაბ. 1). პროფ. გ. ნიორაძის მიერ მსგავსი საკიდი თავისი სემანტიკით, შხის ღვთაებასთანაა დაკავშირებული. რველის საკიდი, თავისი მხატვრული დეტალებით, შედმიწვენილ შემთხვევა დასავლურ-ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში არსებულ ბარბარუს ღვთაებ-



თბილისი

ტაბულა I




სადმი განკუთვნილ გვერგვებისა და ზოგიერთი სხვა ნივთის ძირითად ელემენტებზე, საკიდის ცენტრალურ ნაწილში მოცემული წრიული ნახევრეტი და მის გარშემოწერილობა ლალ-სვასტიკების შერწყმულად გადმოცემა, შესაძლოა გვანიშნებდეს მზე-ბარბარე-მნათობთა-მნათობის ბრწყინვალეების მრავლობით ხარისხში აყვანილ ბუნებას. არაა გამორიცხული, რომ საკიდი და მისი სემანტიკა, უძველესი ნივთიერი დადასტურება იყოს, ქართულ ისტორიოგრაფიაში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრებებისა (პროფ. ვ. ბარდაველიძე დოც. ირ. სურგულაძე).

ნიშანდობლივია ისიც, რომ ზედმიწევნით მსგავსი საკიდები და მზე-ბარბარესთან ფორმალურად ახლო მდგომი, მდებარეობით მცნების შემცველი ტოპონიმები-დედაბერა, თეთრობები და, რაც მთავარია მზეთანზე, მხოლოდ ბორჯომის ხეობასა და მის მიმდებარე ჯავახეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილშია ცნობილი. მიუხედავად საკითხის შეუსწავლელობისა, ჩვენს ხელთ არსებული არქეოლოგიური მონაცემებისა და ზემოაღნიშნული ტოპონიმების ერთ მიკრო-სამეურნეო რაიონში თავმოყრა და მათი შეჯერება დასავლურ-ქართულ ეთნოგრაფიული ყოფის ბარბარეს ღვთაებასთან კავშირში მყოფ მასალებთან, საფუძველს ქმნის, ისტორიული სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიაზე უძველესი ქართული რელიგიური ცენტრების შემდგომი ძიებისათვის.

საკიდთან ერთად აღმოჩენილი ბრტყელი ცულის მსგავსი ცულები, დროის დიდ მონაკვეთში ფართო ტერიტორიაზე ჩანს გავრცელებული. ამიტომაც მათი გამოყენების შესახებ, მრავალ სხვა ვარიანტთან ერთად, ამ იარაღის ტყავის დამუშავებაში ხმარებაცაა სავარაუდებელი. აქვე საზგასმულია ამ რიგის სამუშაოებში ქალთა უპირატესი როლიც. თუ აღნიშნულ მოსაზრებას დავეყრდნობით, მაშინ აღნიშნულ სამარხში, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ქალი უნდა ყოფილიყო დაკრძალული. თავისთავად საინტერესო სემანტიკის შემცველი საკიდისა და საკმაოდ იშვიათი ბრტყელი ცულის ერთ სამარხში აღმოჩენის ფაქტი, მასში დაკრძალული ქალის შესაძლო დაწინაურებულ მდგომარეობაზეც მიგვითითებდეს. სამარხის ასაკის განსაზღვრისათვის გადამწყვეტი როლი ბრტყელ ცულის ენიჭება ტაბ. I-2). ამ ტაბის ცულების ასაკობრივი დიაპაზონი ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარი—II ათასწლეულის საწყისი ს. უკუნეებით განისაზღვრება. იმის გამო, რომ აღნიშნული ცულის მოყვანილობა, ძირითადად მოგვიანო ვარიანტების ფორმას უახლოვდება, მისი ასაკიც, სამარხის მთელ ინვენტართან ერთად, ძვ. წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრით უნდა განისაზღვროს (გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში ამგვარი იარაღი საერთოდ არ გვხვდება).

შუაბრინჯაოს ხანიდან გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი საფეხურისა უნდა იყოს, ერთ-ერთი ორმოსამარხის ნაშთში მოპოვებული ბრინჯაოს ნაჭედი ოვალურ და სეგმენტისებურთავიანი საკინძები (ტაბ. I, 4, 5). ერთ-ერთ მათგანზე გამოსახული სიმბოლიკა, მზე-მნათობის ასტრალურ კოსმოგენურ მსოფლმხედველობას უნდა უკავშირდებოდეს. ორნამენტში მოცემული სამკუთხედები, შესაძლოა გვანიშნებდეს მიწაზე კურძო საკუთრების ინსტიტუტის არსებობაზეც. მსგავსი საკინძები გვიანბრინჯაოს ხანაშიც გვხვდება, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ისინი ჩამოსახმული ბრინჯაოსაგანაა დამზადებული (ტაბ. I-17). მათ გვერდით ხშირად ჩნდება ქორბუდა ირმის ქანდაკვანი საკინძები, რომელთა სიმბოლიკა და მოყვანილობა ხშირად ციურ-მნათობთა თავყვანისცემას უკავშირდებოდა, რაც თავისთავად ნაყოფიერების, გამრავლების სიმბოლოდ იყო მიჩნეული.



Tab. 2

განხილული მასალის საფუძველზე თითქმის საექვო არ უნდა იყოს შუა და გვიანბრინჯაოს ხანებში ბორჯომის ხეობაში ვიგულისხმით ერთი რელიგიური მსოფლ-ნსხვადგელობის მიმდევარი საზოგადოების არსებობა. გვიანბრინჯაოს ხანის სამარხებში განსაკუთრებით მრავლადაა წარმოდგენილი სამკაული: (ტაბ. I-6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17.), საბრძოლო იარაღი კი შედარებით იშვიათია.

რველის სამაროვანზე მიცვალებულთა დაკრძალვა ხდებოდა ქვითნაგებ და ორ-მოსამარხებში .მათში ფიქსირებულია მარჯვენა და მარცხენა გვერდზე ხელფეხ მოხრილი მიცვალებულთა ჩონჩხები. სამარხებში ჩონჩხების დამხრობა მეტ-ნაკლებად განსხვავებულ სურათს იძლევა.

რველის სამაროვანზე რკინის ინვენტარიანი სამარხების გამოჩენა ძვ. წ. I ათასწლეულის მეორე მეოთხედზე მოდის. ამ პერიოდის ერთ-ერთ ქვითნაგებ სამარხში დადასტურებული დაკრძალვის წესი (ერთმანეთზე დაკრძალული მარჯვენა გვერდზე ღებმოკეცილად მწოლი ოთხი ადამიანის ჩონჩხი). უნდა მიუთითებდეს იატაკზე დასვენებულის გარკვეულ დაწინაურებაზე. ამ უკანასკნელთან დაკავშირებულია თიხისა და რკინის ინვენტარი (ტაბ. II-1, 3, 8). აღნიშნული სამარხის ინვენტარი ძვ. წ. VII-VI სს. თარიღდება.

კიდევ უფრო მოგვიანო ხანის სამარხებში (ძვ. წ. VI-IV სს). რკინის იარაღ-სამკაულთან ერთად საყურადღებოა ბრინჯაოს მასრიანი სამწახანგა სკვითური ისრისპირები და აგრეთვე საკინძები. (ტაბ. II-4, 5, 6, 7, 9.). ნიშანდობლივია, რომ რველის სამაროვანზე დაკრძალვის ერთი წესი ჩანს გაბატონებული, აქ მხედველობაში გვაქვს მიცვალებულის მარჯვენა და მარცხენა გვერდზე ხელფეხმოკეცილად დამარხვა.

ამგვარად, რველის სამაროვანიდან მომდინარე მცირე მასალაც კი, გარკვეულ საშუალებაში იძლევა თვალის მიედევნოს ბორჯომის ხეობაში საზოგადოების განვითარების სურათს ძვ. წ. III ათასწლეულიდან ძვ. წ. IV ს.-მდე. მართალია, ადრებრინჯაოს ხანის მასალა მცირეა მაგრამ, თავისთავად, აღნიშნული ხანის კულტურული ფენის გამოჩენა სამაროვნის სტრატატიგრაფიული ჭრილის ქვედა დონეზე, უაღრესად პერსპექტიულს ხდის ადრებრინჯაოსა და მოგვიანო პერიოდების კულტურათა ურთიერთობის საკითხის შესწავლის საქმეს.

შუაბრინჯაოს ხანის მასალა, გარდა სიმბოლიკურ-სემანტიკური მხარისა, მნიშვნელოვანია აგრეთვე, ერთი მხრივ, როგორც ძველი ხელოვნების ძეგლები, ხოლო მეორეს მხრივ, როგორც მეტალურგიის მაღალხარისხოვანი ნაწარმი. ამ მიმართებით აღსანიშნავია ამ ბრინჯაოს ინვენტარის ქიმიურ შემადგენლობაში დამოწმებული მაღალპროცენტული კალიანობა (8,17% ; 6,250). ამ მხრივ ხეობაში გამოვლენილი შუა და გვიანბრინჯაოს ხანის იარაღსამკაული, ზოგადად სამხრეთ საქართველოს სამელითონეო წარმოების ტექნოლოგიურ დამუშავების სფეროში ექცევა (ც. აბუსაძე). ხეობაში მოპოვებულ ლითონის ნაწარმის ერთმანეთთან შედარება თითქოს უნდა განიშნებდეს შუა და გვიანბრინჯაოს ხანების კულტურათა გენეტიკურ კავშირ-ურთიერთობებზე. გარდა ამისა, ბორჯომის ხეობა, გვიანბრინჯაოს ხანის აღმოსავლურ და დასავლურ ქართულ კულტურათა ურთიერთობის ფონზე, ერთ-ერთ დაწინაურებულ მხარედ წარმოგვიდგება, რომელსაც გააჩნდა დამახასიათებელი თავისებურებები. რველის სამაროვნის მასალებში რკინის უკვე განვითარებული იარაღები თავს იჩენს მხოლოდ ძვ. წ. I ათასწლეულის მეორე მეოთხედში, რაც თავისთავად დიდად საინტერესოა.



ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე რველის სამაროვნის შემდგომი შესწავლა უდავოდ მრავალმხრივია მნიშვნელოვანი.

სხვადასხვა პერიოდის სამარხებში დაკრძალვის წესებსა, მასალაში და რელიგიურ შეხედულებებში შენიშნული მსგავსება და მათი თითქმის თანხედრობა დასავლურ-ქართულ ეთნოგრაფიული ყოფის ნაყოფიერების ღვთაებათა გადმონაშთებთან, თავისებურ საფუძველს ქმნის ბორჯომის ხეობაში, ძველთაგანვე, დასავლურ-ქართული ელემენტის არსებობა ვივარაუდოთ.

ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ისტორიული სამცხის ტერიტორიაზე დამოწმებული უძველესი ზანური ენობრივი დანაშრევები, რომლებიც ჯერჯერობით მხოლოდ ტოპონომიკაში მქადავდება (გ. თოფურია).

\_\_\_\_\_

### პირველად არქეოლოგიაში

მეტად საინტერესო არქეოლოგიურ აღმოჩენას კქონდა ადგილი კასპის რაიონის სოფ. ზემო რენეში 1974 წ. აგვისტოს დასაწყისში. მეურნეობის ფერმის ტერიტორიაზე, სასილოსე ორმოს თხრის დროს, დაზიანდა გვიანბრინჯაო — ადრეკინის ხანის ორი ორმოსამარხი. აღმოჩენილი ნივთები ჩაბარდა კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს. აღსანიშნავია კასპის მუზეუმის თანამშრომლების სიყვარული და ერთგულება მინდობილი საქმისადმი. მათი აქტიური ჩარევის შედეგია ის, რომ აღნიშნული ნივთები არ დაიკარგა (დირექტორი გ. ხორგუაშვილი). მადლობით უნდა მოვიხსენიოთ რაიონისა და საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელობის აქტიური მხარდაჭერა.

მუშაობა აწარმოა არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კასპის რაიონის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ. ხელმძღვანელი ისტორიის მეცნ. კანდ. გ. გ. ცქიტიშვილი. დანგრეული სამარხები მდებარეობდნენ მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 1,30 მ. სიღრმეზე და ერთიმეორესაგან 3-4 მ-ით იყვნენ დაშორებულნი. სამუშაოროდ ვერ დადგინდა სამარხული კომპლექსები. ორივე დანგრეულ სამარხში აღმოჩნდა სულ ორმოცდაათამდე ნივთი. სამარხულ კომპლექსებში შედის როგორც საბრძოლო, ისე სამეურნეო შრომის იარაღები, სამკაულები და სხვა.

საბრძოლო იარაღებიდან აღსანიშნავია: ბრინჯაოს შედგენილტარიანი კახური ტიპის სატყვარი, ბრინჯაოს ტარშეურჩენელი ფოთლისებური და ალისებური სატყერისპირები, ბრინჯაოს მასრაგახსნილი ხელშუბისპირები, ცენტრალურ ამიერკავკასიური ტიპის ბრინჯაოს ცული და სხვა.

სამეურნეო შრომის იარაღები წარმოდგენილია: ბრინჯაოს სატეხით, ბრინჯაოს ბრტყელი ცულითა და ბრინჯაოს ნამგლით.

სამკაულებიდან გამოყოფთ: ბრინჯაოს სახაფეთქლე ზვიებს, საკინძებს სამაჯურებს; სარდიონის, მინისა და პასტის მძივებს.


ძალაუფლების გამომხატველი ნიშნები: ეგროთხი ირმის რქის ძირისა, მოჭედილი ბრინჯაოს კოპებით; ცენტრალური ამიერკავკასიური ტიპის ბრინჯაოს ცული ბრინჯაოსივე ტარითა და ყუაზე მყეფარე ძაღლის სკულპტურული გამოსახულებით.

ამავე სამარხებიდანაა: სპილენძის ოთხყურა ქვაბი, ქამრის ბალთები, მშვილდის ფორმის ბრინჯაოს საყბური, ორნაწილიანი ბრინჯაოს ლაგმები და სხვა.

როგორც აღვნიშნეთ, რენეს სამაროვანზე ექსპედიციამ ჩაატარა მცირე საეული სამუშაოები. დამატებით გათხრილი იქნა კიდევ ორი ქვყურილიანი ორმოსამარხი. სამწყუბაროდ, ორივე სამარხი დაზიანებული იყო და ვერ დადგინდა დაკრძალვის წესი. სამარხები წარმოდგენილი იყო მხოლოდ თიხის ტურჭლით. სულ 19 ერთეული (დერგი, სადღეებელი, ლანგარი და სხვა).

ყველა თიხის ტურჭელი დამზადებულია ქვიშანარევი თიხის ცომისაგან, სამეთუნეო მბრუნავ ჩარხზე და გამომწვარია შავად ან ლუგამონაცრისფროდ. მათი უმრავლესობა შემკობილია ამოღარული კონცენტრული წრეებით, ირიბი ჭდეული ხაზებით. ჩაჩხელეტილწერტილოვანი სარტყლით; ყურებზე კოპებით და სხვა.

ექსპედიციამ ველზე მუშაობის დროს, სამაროვანზე (ფართობი 2-3 ჰა) ზედაპირულად მიაკვლია რამდენიმე ბრინჯაოს სამაჯურს, სარდიონის მძივს, თიხის ტურჭლის



ცენტრალური ამიერკავკასიური ტიპის  
ცული სოფ. რენედან.

Топор центр. закавказского типа из  
с. Рене.

ფრაგმენტებს და სხვა, რომლებიც სამაროვანზე ადრე ჩატარებული მიწის სამუშაოების შედეგად დანგრეული სამარხებიდან უნდა მომდინარეობდნენ.

სოფ. რენეს სამაროვანზე მოპოვებული მრავალფეროვანი ნივთებიდან ყველაზე მეტად საყურადღებოა ბრინჯაოს ცული, ცენტრალურ-ამიერკავკასიური ტიპისა, ბრინჯაოსივე ტარით, ყუაზე მყუფარე ძაღლის სკულპტურული გამოსახულებით. ცული ხასიათდება სიმეტრიული პირით, ზეაშვირული ფრთებით, ოვალური სატარე ხვრელით. მისი ზომებია; საერთო სიმაღლე ქანდაკებასთან ერთად 14,5 სმ, ქანდაკების გარეშე 13 სმ ცულისპირის უდ. სიგანე 7,3 სმ ქანდაკების სიგრძე 6 სმ, სიმაღლე 2,5 სმ, ცულის ტარის სიგრძე 36 სმ უდიდესი სიგანე 3,7 სმ, უმცირესი სიგანე 1,5 სმ., გაგანიერებული ნაწილის სიგანე ტარის ბოლოში 3,2 სმ.

ცული ქანდაკებასთან ერთად არის ჩამოსხმული და შემდეგაა წამოცმული ტარზე. ცულიცა და ტარიც ორივე მხარეს შემკულია გრაფიკული დეკორით. ცულის ლოყის ცენტრალური ნაწილი დაფარულია ბადისებური ორნამენტით, რომელსაც ოვალურად შემოუყვება გრებილ-ხაზოვანი ზღუდე. ბადისებურ ორნამენტს შემოსდევს ზენური ხეიების უწყვეტი რიგი. ყველა ამ გაფორმებას კრავს გრებილ-ხაზოვანი ორნამენტიანი ჩარჩო. მსგავსი ორნამენტული სახეებითაა შემკული ცულის მეორე ლოყაც.

ცულის ყუაზე დასმულია ძაღლის სკულპტურული გამოსახულება, რომელიც მუცლით უერთდება ცულის ყუას. ცხოველის სხეული არაპროპორციულია: თავი ტანთან შედარებით დიდია, ხახადაღებული, ყურებდაცქვეტილი, თვალები ამოკაწერის საშუალებითაა გამოსახული, კისერი ტლანქადაა დამუშავებული, ტანი სწორია, კუდი ძირსაა დაშვებული და ბოლოსაკენ აპრებილი. წინა თათები სწორად აქვს ყუაზე დაწყობილი, უკანა თათები კი მოღუნულია და წინ წამოწეული, არ არის კუნთები გამოკვეთილი.

ცულის ტარის გაფორმებაში მთავარ ადგილს იკავებს სამკუთხედების და ოთხკუთხედების ვარიაციული სახესხვაობები. მათი შიდა ნაწილი დაშტრისულია ირიბი



ხაზებით. ტარის შემკულობის კომპოზიცია ასეთია — ტარს შემოუყვებენ საღებავსა და ღირებულო მინერალებს, რომლებიც მას ფრიზეზად ყოფს. თავის მხრივ ფრიზების გაფორმება ოთხნაწილადაა გაყოფილი. როგორც სიგრძეში ისე გარდვიგარდში ერთმანეთში მონაცვლეობენ: დაშტრინებული სამკუთხედები, რომლებსაც გრებილ-ხაზოვანი ორნამენტები და თევზიფხური ორნამენტის მსგავსი სახეები კრავს. ტარის ბოლოში წაკვეთილი ნაწილი დაფარულია ბადური ხაზით. ტარის თავთან წაკვეთილი ნაწილი კი ირინი დაშტრინული ხაზებით.

ცულის ყუაზე ძაღლის სკულპტურული გამოსახულება, ცულის პირისა და ტარის შიდადრული ორნამენტირება მეტყველებს ცულის სარიტუალო-რელიგიურ დანიშნულებაზე. როგორც ჩანს ის აგრეთვე ბელადის ინსიგნიაც უნდა ყოფილიყო. ჩანს, ცულის ტარის ბოლო გაგანიერებულია იმისათვის, რომ მოქნივის დროს კაცს ხელიდან არ გასხლტომოდა. ტარის პროპორციები ისეთია, რომ ცული კაცს ცალ ხელში უნდა სჭეროდა, რაც მის საბრძოლო დანიშნულებაზეც უნდა მეტყველებდეს.

დღემდე შემოადწერილი ტიპის მხოლოდ კოლხური ბრინჯაოს ცულები გვხვდებოდა. რაც შეეხება ცენტრალურ ამიერკავკასიური ტიპის ბრინჯაოს ცულს, ბრინჯაოსივე ტარითა და ყუაზე სკულპტურული გამოსახულებით, როგორც აღვნიშნეთ პირველად იქნა აღმოჩენილი, ამდენად იგი უნიკალურია და იმდროინდელი ხელოვნების, იშვიათ ნიმუშს წარმოადგენს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ბრინჯაოს ერთ-ერთი საკინძი (?) დისკოსებურ თავიანი. საკინძის ღერო ნაკლულია, დაფარულია რელიეფური წნული ორნამენტით, ღეროს ძირში შემოსდევს რელიეფური სარტყელი, სარტყელთან ღერო გახვრეტილია. საკინძის თავს ირგვლივ შემოსდევს ლურსმნის წყერის მსგავსი წყვილი შვერილი, შვერილებს შორის მიუყვება ამოღარული წრე. საკინძის ზომებია: საერთო სიგრძე 7,9 სმ, ღეროს დარჩენილი ნაწილის სიგრძე 3,5 სმ, ღეროს განიკვევითი 0,8 სმ, საკინძის თავის ძ—4,4 სმ. შესაძლებელია, რომ საკინძისთავი მზის დისკოს დამოსხატავს, ხოლო შვერილები სხივებს, მამინ საფიქრებელია, რომ სოფ. რენეს ტერიტორიაზე მცხოვრები ტომები თავიანთ სცემდნენ მზეს.

სოფ. რენეს სამაროვნიდან მოპოვებული ნივთები ზოგადად ძვ. წ. XIII-VII ს.ს. თარიღდება და პარალელებს პოულობს შიდა და ქვემო ქართლის სინქრონულ ძეგლებთან.

ნივთებში შეინიშნება ორი ქრონოლოგიური ჯგუფი: ერთი ჯგუფი, რომელშიც შედის: სატევარი ბრინჯაოსი, შედგენილტარიანი, კახური ტიპის, ბრინჯაოს ფოთლისებური სატევარი, მასრაგახსნილი ბრინჯაოს ხელშეუბისპირები და სხვა. თარიღდებიან ძვ. წ. XIII-XII სს.

მეორე ჯგუფი თარიღდება ძვ. წ. VIII-VII ს. ს. რომელშიც შედის: ბრინჯაოს ცული, ცენტრალურ ამიერკავკასიური ტიპის ბრინჯაოსივე ტარით, ყუაზე სკულპტურული გამოსახულებით; ბრინჯაოს საკინძი კონუსისებური ფორმის, ბრინჯაოს რტგვალგანიკვევითანი საყბური მშვილდის ფორმის, ბრინჯაოს სატევრისპირი ალისებური ფორმის და სხვა.

სოფ. რენეს გვიანბრინჯაო-ადრე რკინის ხანის სამაროვანი პირველხარისხოვან ძეგლთა რიგს განეკუთვნება. აქ მოპოვებული არქეოლოგიური მასალა ბევრის მეტყველია და მეცნიერებაში სვამს მრავალ ახალ საინტერესო საკითხს. ამდენად, საჭიროა ძეგლის დროული და მთლიანი შესწავლა. მიუ უფრო, რომ ძეგლი ზიანდება იქ წარმოებული მიწის სამუშაოებით.

ალექსანდრე კალანდაძე  
პარლემ კალანდაძე

### თეთრი მღვიმე

1974 წლის შემოდგომაზე ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საგანგებო ექსპედიცია არქეოლოგიურ თხრას აწარმოებდა ნაქრძალებისა და სამონადირეო მუნიციპალიტეტის მთავარ სამმართველოს ერთ-ერთ სამშენებლო უბანზე, თეთრ მღვიმეში (წყალტუბოს რ.), რომელიც უნდა მომზადებულიყო ა) როგორც ბუნების იშვიათი სპელეოლოგიური ძეგლი მსახველთა ფართო მასებისათვის და ბ) როგორც კურორტოლოგიის ინსტიტუტის საცდელი ბაზა ბრონქიალური ასტიმით დაავადებულთა მკურნალობისათვის. ასეთი სახელწოდების მღვიმე მდებარეობს სოფ. ხომულში, წყალტუბოს ცენტრიდან ორიოდე კილომეტრზე, ჩრდილო-აღმოსავლეთით, ზღ. დონიდან 100 მ სიმაღლეზე. მღვიმე კარსტული წარმოშობისაა, გამოშუშავებულია ქვედაკარსტულ კირქვებში. მასში ჩასვლა ამგვარად შეიძლება 2 მ დიამეტრისა და 7-8 მ სიღრმის ვერტიკალური ხვრელით. მას ჩავყავართ ყოველმხრივ დახშულ გვირაბში, რომლის ჯამური სიგრძეა 100 მ, სიგანე — 35 მ, უდიდესი სიმაღლე — 7-8 მ, ხოლო საერთო ფართობი საშ. 2000 კვ. მ აღწევს. მღვიმეს ამკობს განსაცვიფრებელი სილამაზის ნაირფერადი ქიმიური ნალექნები, უმთავრესად მაინც თეთრი, რძისფერი სტალაქტიტები და სტალაგმიტები (რამაც განსაზღვრა უდიდეს მღვიმის სახელწოდება). მღვიმის კედელ-კარნიზის ზედაპირი, ბევრგან ნაოჭკვეა ნალექნებით ნაქსოვ-მოფარდაცხვული და ნაირფერადი მინერალური ხსნარით შეღებლი, ზელოვანური სინათლის შუქზე ზღაპრულად ელვარებს და ბუნების მიწისქვეშა საოცრებათა გარემოს ასოციაციებს იწვევს. მღვიმის ფსკერზე, რომელიც მეტ-ნაკლებად თარაზულია, ბევრგან გვხვდება კალციტის ნალექნებით შემოფარგული პატარა-პატარა გუბურები.

მღვიმე სრულიად ბნელი და ნესტიანია, პირის რეიმი სტატიკურია, ტემპერატურა 13°-ია. მასში ამგვარად ცხოვრობს ღამურა, ობობა, კიბო, ბაყაყი და სხვ.

ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად დადგინდა, რომ თეთრი მღვიმე შორეულ წარსულში ორგზის ყოფილა ადამიანის მიერ გამოყენებული. პირველად მღვიმეში უცხოვრია ძველი ქვის ხანის, ხოლო მეორედ ქვა-სპილენძის ხანის ადამიანს. ამგვარად მღვიმეში 10 მ სისქის ნალექებია დაგროვილი, რომელზედაც 5-10 სმ სისქის კალციტოვანი ქერქია გადაფარებული. ქვის ხანის ადამიანის მღვიმეში შესვლის დროს დანალექი ქანების სისქე 8 მეტრი ყოფილა, მაშინ მღვიმე სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან ღია უნდა ყოფილიყო. ამ დროისათვის ადამიანს აუთვისებია მღვიმის ის ნაწილი, რომელიც განათებული ყოფილა ღია მხრიდან. ამის შედეგად მღვიმეში წარმოქმნილია 60-70 სმ სისქის კულტურული ფენა, რომელიც შეიცავს ნანადირეო ცხოველთა (მღვიმის დათვი, ირემი) ძელებს, ხის ნახშირის ნამცვეებს, ძელისა და კაფის იარაღებს და მათი დამზადების დროს წარმოქმნილ ნაშთებს.

პალეოლითელი ადამიანის მიერ დამზადებულ იარაღთაგან აღსანიშნავია: კომბინირებული იარაღი — საფხეკ-საჭრისი, საფხეკი, დანისებური კაყის ლამელეში, ლამელასებური ანატკეცები და ანატკეც-ანატკერეცები. აღსანიშნავია ამასთან წვეტანისებური იარაღები, რომელთა არსებობა შესაძლოა უფრო ადრინდელ ხანაზე მიგვითითებდეს. ძელის იარაღთაგან წარმოდგენილია სადგის-სახვრეტები, რომელთაც აშკარად ეტყობათ ხმარების კვალი.



თორი მღვიმე. სტლაქტიტები და სტალაგმიტები. ზედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან.

Белая пещера. Сталактиты и сталагмиты. Вид с северо-востока.

ზედაპალეოლითურ ფენაში დიდი რაოდენობით იყო წარმოდგენილი ფაუნისტური მასალა, რომელთაგან 90% მღვიმურ დათვის განეკუთვნება. ყველა ძვალი, განსაკუთრებით ლულოვანი, დანაწევრებული იყო ტვინის ამოღების მიზნით. როგორც ჩანს, ზედაპალეოლითელის ცხოვრებაში მთავარი ადგილი მონადირეობას ეჭირა.



კულტურული ფენის სიმძლავრე მიგვიანიშნებს, რომ თეთრი მღვიმე დიდი ხნის მანძილზე ემსახურებოდა ზედაპალეოლითურ გვაროვნულ გერთიანებს, როგორც სავაჭრო და სავაჭრო და თავშესაფარი.

კულტურულ ფენაში ჩართული, მღვიმის ჭერიდან და კედლებიდან ჩამოხრეული კირჭეები (რაც კლიმატის მკვეთრი ცვლადობის შედეგად უნდა იყოს) და ზოგიერთი ალპურა ზონის მოყვარულ ცხოველთა ნაშთები მიგვიანიშნებს იმ დროისათვის კავკასიაში ცივი კლიმატის არსებობას (ვიურმი II-III). ტემპერატურის ზომიერ ცვლადობას საბოლოოდ ის შედეგი მოჰყოლია, რომ მღვიმის თალი მთლიანად ჩამოწოლილა. სტიქიური მოვლენის შედეგად მღვიმეში შესასვლელი ამოკეტილა და ათასწლეულთა მანძილზე მღვიმე უკაცრიელი გამხდარა. ამას მოწმობს პალეოლითური ხანის კულტურულ ფენაზე დალექილი 1,5 მ სისქის მუწვი ფენა, რომელიც არ შეიცავს კულტურის არავითარ ნაშთს. ეს ფენა ემთხვევა ორ მნიშვნელოვან ეპოქას კაცობრიობის ისტორიაში: მეზოლითურსა და ნეოლითურს. მღვიმის ამოკეტვამ გააძლიერა ქიმიური ნალექების წარმოქმნის პროცესი. კალციტით გაჯერებული წვეთები ვერ ასწრებს აორთქლებას და სხვადასხვა ფორმის ნალექთაგან გვევლინება. ზოგან კალციტოვანმა სვეტებმა ჭერი და ფსკერი გააერთიანა და ოდესღაც ერთიანი მღვიმე ცალკეულ დარბაზებად დაჰყო.

მღვიმის ჩაკეტვის შემდეგ მასში ენეოლითელი ადამიანიც კარსტული ხვრელით ჩადიოდა და მიუხედავად ცხოვრებისათვის არახელსაყრელი პირობებისა, მღვიმის თითქმის მთელი ფართობი აუთვისებია.

ენეოლითური ხანის კულტურული ფენა წარმოადგენს მოშავო ფერის ნექტიან თიხნარს, ძირითადად ნიაღვრის მიერ ჩატანილსა და დალექილს, რომელშიც ჩართულია, ნაცარი, ნახშირი, კერამიკული ნაწარმი, ძვლისა და ქვის სხვადასხვა ქანის იარაღები და მათ დაშლადების პროცესში წარმოქმნილი ნაშთები. პრეპარაციამ გამოავლინა თიხატექნილი იატაკის ცალკეული უბნები, რომელიც ალაგ-ალაგ წითლად არის გამოწვარი, განსაკუთრებით კერის გაერელების ზოლში. კერები უმთავრესად პატარებია (30 X 40 სმ.) ისინი ამოხსნულია ნახშირით და იშვიათად ნაცრით. იატაკის ქვეშ გამოვლინდა ასევე მცირე ზომის ორმოები, რომელთა დიამეტრი 40 სმ, სიღრმე — 50-60 სმ უდრის. ისინი შევსებულია კულტურული ფენისთვის დამახასიათებელი სტრუქტურით. მათი დანიშნულება ჯერჯერობით არ არის ცხადი. რაც შეეხება პატარა ზომის კერებს, მათ არ უნდა ჰქონდეთ პრაქტიკული დანიშნულება. შეიძლება დაიშვას ვარაუდი, რომ ისინი დიდი კერების იმიტაციას წარმოადგენდნენ (იქნებ უქრობი ცეცხლის შესანახად) და პირდაპირი დანიშნულებით იშვიათად გამოიყენებოდნენ.

ენეოლითური ხანის კულტურული ფენა შეიცავდა შემდეგ ინვენტარს:


1. კერამიკული ნაწარმი

თიხის ჭურჭელი, რომელიც ფორმითა და დანიშნულებით შემდეგ ჯგუფებად იყოფა:

- ა) დერგისებრი და ქილისებრი ჭურჭელი, დიდი ზომის;
- ბ) ქოთნისებრი ჭურჭელი, საშუალო ზომის;
- გ) ჯამისა და ფიალისებრი ჭურჭელი, მცირე ზომის.

ჯამისა და ფიალისებრი ჭურჭელი ცოტა რაოდენობითაა წარმოდგენილი. რაოდენობითა და მრავალფეროვნებითაც ჭარბობს პირველი და მეორე ჯგუფის კერამიკა. რომელიც ასეულობით გვხვდება ამ ერთეულთა გვერდით.

პირველი ჯგუფის ჭურჭლეული (დერგისა და ქილისებრი), როგორც ჩანს, მესა-



თუბრი მცვემე, პალეოლითის (პარი, რიგი)  
 და ენეოლითის ნეოლითი მასალა.

Белья пещера. Материалы эпохи пр-  
 аболита (первой озерной) и Сабле-  
 рита



ქონლებობასა და მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული პროდუქტების შესანახად გეოქონსული მოიყენებოდა, საშუალო ზომისანი (ქოთნისებრი), სადღლარი ჭურჭელი ჩანს, ხდობლივნიყნისა მესამე ჯგუფის (ჯამისა და ფიალისებრი) ჭურჭლეული სუფრისთვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი.

აქაური თიხის ჭურჭელი ყველა უყურო და მრგვლძირიანია. მრავალრიცხოვან კოლექციაში გამოირჩა მხოლოდ სამიოდე ფრაგმენტი, რომლებსაც პირთან კოპი აზის. რაც შეეხება ორნამენტს, ისიც ხუთიოდე ფრაგმენტზეა შემორჩენილი. ორნამენტულ სახეთა შორის აღსანიშნავია მზის დისკო (?), მშვილდისხარი (?), სპირალი და სხვ. თეთრ მღვიმეში მოპოვებული ჭურჭლეული რამდენადმე ემსგავსება სამეღე კლდეში, საგვარჯიღეში, აბასთუმანში, შულავერში და ზოგ სხვა ნამოსახლარზე მოპოვებულ კერამიკას.

მონაპოვარში გამოირჩევა თიხისაგან დაშნადებული პაწია სარიტუალო „კვერები“, რომელთაგან ბევრს ნაშუის, ხოლო ზოგს ადამიანის თითის ანაბეჭდები ეტყობათ. ჩვენი ეარაუდით, აღნიშნული კვერები მიცვალებულის კულტთან უნდა იყოს დაკავშირებული.

აქვეა თიხის კვირისტავები, კონუსის, ბიკონუსის და სხვ. მოყვანილობისა. ზოგი მათგანი მარტივი სახეებითაა შემკული. მსგავსი კვირისტავები ნაპოვნია სამეღე-კლდეში. კვირისტავების სიმრავლე შესაძლოა მატყლის წარმოების საკმაოდ მაღალი დონით აიხსნას.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია თიხის პაწია ქანდაკებანი (ხარის, ცხვრის, ხისის, დათვის, ადამიანის?) და უფრო კი მათი ცალკეული ფრაგმენტები.

II. რქა და ძვალი

თეთრ მღვიმეში საკმაოდ კარგად იყო დაცული ფაუნისტური მასალა. აქ გამეფებული განსაკუთრებული პირობების წყალობით კარგად შემოინახა ფრინველთა უწყრილესი ძვალიც კი. მღვიმეში დიდი რაოდენობით იქნა მოპოვებული ძვლისა და რქის ნაკეთობანი. მათგან აღსანიშნავია: კვერ-ჩაქუჩი, რეტუშორი, შუბისა და ისრისპირები, სადგისები, მახათები, ქინძისთავები, სხვადასხვა სამკაული, საპირიალეული ძვლები და სხვ. მსგავსი საპირიალელები ცნობილია აბასთუმანში, სამეღე კლდეში, იმირში, შულავერში და სხვ.

III. ქვის იარაღები დაშნადებულია კაჟის, ობისდიანის, ბაზალტისა და სხვ. ქანებისაგან. მათგან აღსანიშნავია შემდეგი ტიპები: დანა-საფხეკი, საფხეკისებრი იარაღი, ორმაგი-დუბლირებული საფხეკი, ხერხისებური იარაღი, ობსიდიანის ლამელაზე გაფორმებული კაჟის ისრისპირი, კაჟის სემენტისებური ჩასართი. მსგავსი ჩასართები ცნობილია ოდიშიდან, ანასეული -- II-დან, ნიწაია შილოვკადან და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ ჩამოთვლილი კაჟის იარაღები, მართალია, დაშნადებულია ენეოლითელი ადამიანის მიერ, მაგრამ არაა გამორიცხული, რომ მას შემთხვევით ეპოვა მღვიმის სიღრმეში მდებარე პალეოლითური ფენის მასალა და გამოეყენებინა იგი.

გარდა ამისა, ნაპოვნია რიყის ქვის იარაღები, მაგ. გახეხილი ცულები, ჩაქუჩი, ხალესი, სატეხ-სათლელი, გულსაკიდი გახერტილი, რომელიც შეიძლება მაგიური დანიშნულებით გამოიყენებოდა და სხვ.

სადღლისოდ თეთრ მღვიმეში მოპოვებული არქეოლოგიური მასალებით დადგენილ



ენეოლითურ კულტურას, მართალია, რამდენადმე მსგავსება აქვს კავკასიის სსრ-ის სხვა რაიონულ ძეგლებთან, განსაკუთრებით კი სამეღე კლდეხთან, მაგრამ ამასთან „საკუთარი“ — ლოკალური სახეც აქვს. ასე მაგალითად: თეთრ მღვიმეში მოპოვებული ჭურჭლეული ერთიანად მრგვალძირიანებია. გარდა ამისა ჩანს, რომ ენეოლითული მთელ მღვიმეს თუ არა, მის ერთ მონაკვეთს მაინც, სარიტუალო დანიშნულებისათვის იყენებდა. მღვიმეში ამ ხანის კულტურული ფენის სისქე 30-45 სმ, რაც მღვიმის ეპიზოდური გამოყენებით უნდა აიხსნას. როგორც ჩანს, ადამიანი მღვიმეში დროდადრო შედიოდა რაღაც საწარმოო—მაგიურ ქმედობათა შესასრულებლად, რომლის მოწმე სხვა გარეშე თვალი არ უნდა ყოფილიყო. ასეთ პირობას კი თეთრი მღვიმე თავისი დახშულობის გამო მთლიანად აკმაყოფილებდა. მღვიმის სარიტუალო დანიშნულებაზე მიგვანიშნებს ზემოთ აღნიშნული სარიტუალო „კვერების“ სიმრავლე (340 ც.), განკვე დაღეწილ (?) ცხოველთა ფიგურები (26 ფრაგმენტი), პატარა კერები, რომლებიც დიდი კერების იმიტაციას წარმოადგენდნენ და შესაძლოა უკრობი ცეცხლის შესანახად იყენებდნენ განკუთვნილი.

აღნიშნული სარიტუალო ცერემონიალის შესრულებით, როგორც ჩანს, ენეოლითელს სურდა მკვდარ წინაპართა სულების გადაბირება, რათა მისთვის და მისიანების სიცოცხლისა და საქმიანობისათვის რაიმე ზიანი არ მოეტანათ, რის სანაცვლოდ მათ „კვერებს“ სწირავდა. ადამიანები შესთხოვდნენ „ზებუნებრივი ძალის მქონე ღვთაებებს“, რათა ეს უკანასკნელი დახმარებოდნენ მათ მეურნეობის წარმართვაში: წარმატებით ეხოცათ ნადირი, რისთვისაც სანადიროდ წასვლამდე წინასწარ ამტკვრედნენ საამისოდ დამზადებულ ფიგურებს, იმ ვარაუდით, რომ ასევე დაეღეწათ ისინი ნადირობისას.

ენეოლითელისათვის რელიგიასთან ერთად უცხო არც ხელოვნება უნდა ყოფილიყო. იგი ცდილობს კერამიკული ნაწარმის (ჭურჭული, ფიგურები, კვირისტაევი) და იარაღ-ხელსაწყოების შემკობა-გალამაზებას. გამოკვაცხე ჭურჭელზე მარტივი ორნამენტები. ერთ-ერთ მათგანზე დედამიწაზე მზის სხივების გადმოცემა-განფენის ცდა უნდა იყოს მოცემული.

ამრიგად, თეთრ მღვიმეში აღმოჩენილი მასალების შესწავლით, კერამიკული ნაწარმის, ძევისა და ქვის იარაღ-ხელსაწყოთა ფუნქციონალური დანიშნულების დადგენა-გაანალიზების შედეგად გაირკვა, რომ მღვიმე ადამიანის მიერ ორგზის ყოფილა ათვისებული: 1) გვიან ანუ ზედაპალეოლითში (დაახ. 30.000-25.000 წლის წინ), როცა მისი მთავარი საქმიანობა შეგროვება და ნადირობა იყო; 2) ენეოლითში ანუ ქვა-სპილენძის ხანაში (დაახ. 7.000-6.000 წლის წინათ), როცა შეგროვება-მონადირეობის გვერდით მესაქონლეობა და მიწათმოქმედება ვითარდება და ეს უკანასკნელი ადამიანთა საზოგადოების მთავარ საარსებო საქმიანობად იქცევა.

ამგამად თეთრი მღვიმე, როგორც ბუნების უნიკალური სპელეოლოგიური ძეგლი, ტურიზმის სამსახურშია; იგი ჯანმრთელობის კერაცაა, სადაც კურორტოლოგიის ინსტიტუტი მღვიმეში გამეფებული იონიზირებული ჰაერით ბრონქიალური ასტმით დაავადებულთ მკურნალობს; ბოლოს იგი წარმოადგენს ადამიანის მატერიალური და სულიერი კულტურის საინტერესო ძეგლს. თუმცა ამ მხრივ თეთრ მღვიმეს თავისი საიდუმლოება მთლიანად არ გამოუმტლავებია. ეს ამოცანა უახლოეს მომავალში არქეოლოგებმა უნდა გადაწყვიტონ.

1. მღვიმე შესწავლეს ქართველმა მეცნიერებმა, რომლებიც მას წყალტუბოს I მღვიმის სახელით იხსენიებენ, (იხ. შ. ყიფიანი და ზ. ტინტილოზი, სათავლია-წყალტუბოს მიდაშობის კარსტული გამოქვაბულები, „საქართველოს მღვიმეები და გამოქვაბულები, Кавделая И., Дзоциндзе Г., — Карстовые пещеры Цхалтубо и Сатафлия. Заповедники и памятники природы Грузинской ССР, 1936 г., вып. I, стр. 124—134.

(კვლავ ბურაშენის ეკლესიის შესახებ)

ამ ეკლესიის შესახებ ერთ-ერთი პირველი ინფორმაცია სწორედ „ძეგლის მეგობარში“ გამოქვეყნდა, რასაც თან ახლდა ეკლესიასთან აღმოჩენილი ქვის სტელეის კაპიტელების ორიოდ სურათიც.<sup>1</sup> ამ ქვის ძეგლებზე გამოჭანდაკებული ე. წ. ბოლნური მედალიონები ეჭვს არ იწვევდა, რომ ეს ძეგლები ბოლნისის სიონის თანადროული იყო. მოკლე ინფორმაცია მათ შესახებ კიდევ უფრო ადრე (1966-1969 წწ.) საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის სამეცნიერო ორგანოებშიც გამოქვეყნდა. ამავე ეკლესიაში აღმოჩენილ ერთ-ერთ, განსაკუთრებით საინტერესო ძეგლზე—სტელეს ბაზაზე ბეჭდული წარწერით, სპეციალური წერილი გამოაქვეყნა თ. ყაუხჩიშვილმა მუზეუმის მოამბეში<sup>2</sup>. „სალოცველად სიმეონისა და აგლიანოსისა ყოვლითა მათითა სახლითურთ. უფალო შეეწიე თეოდორუს.“ — იუწყებოდა ეს წარწერა.


ამ ეკლესიის ქვის ძეგლებს დმანისის ექსპედიციამ პირველად მიაკვლია 1964 წელს სოფ. კაზრეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 3-4 კმ მანძილზე მანდულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის კარიერის მახლობლად. მაშინ ამ ეკლესიას ჯერ კიდევ არ ემუქრებოდა საფრთხე. 1970 წ., როცა ამ ეკლესიის სანახავად მეორედ ავედი, იქუარობა იმდენად იყო შეცვლილი, რომ დიდის გაჭირვებით მიაგავნი ჩემთვის საინტერესო ძეგლის ნანგრევებს. იმ პატარა ეკლესიის ნახევარი-ღა იყო დარჩენილი. ხოლო მისი მეორე ნახევრის ნანგრევები ქვევით, 25 მ სიღრმეში უყარა. ეს საინტერესო ძეგლი უმოწყალოდ დაენგრიათ კომბინატის მუშაკებს. ეკლესიის ნანგრევების გროვაში ვიპოვე ადრექრისტიანული ხანის ქვის სტელეებისა და ჯვრების ფრაგმენტები. დაყოვნება აღარ შეიძლებოდა; სხვა სათანადო ზომების მიღების, გარდა მოხსენებითი ბარათით მივმართე მუზეუმის მაშინდელ დირექტორს იმის შესახებ, რომ საჭირო იყო სასწრაფოდ გაგზავნილიყო არქეოლოგიური ექსპედიცია ჩვენი ეკლესიის ამ უძველესი ძეგლების შესასწავლად. ამას შედეგად მოჰყვა კაზრეთის არქეოლოგიური ექსპედიცია, რომელმაც 1970-1971 წწ. დასახელებულ ტერიტორიაზე იმუშავა და აღმოაჩინა ქვის უძველესი ძეგლების კიდევ ერთი ჯგუფი. არქეოლოგიური გათხრების შედეგების შესახებ ჯერ „ძეგლის მეგობარში“, ხოლო შემდეგ სხმ არქეოლოგიური ექსპედიციების ანგარიშების კრებულში გამოქვეყნდა მოკლე ინფორმაცია და ანგარიშები<sup>3</sup>. ბურაშენის ეკლესიასთან აღმოჩენილ ძეგლებსა და გათხრებს შეესო ნ. ჩუბინაშვილიც.<sup>4</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ამ ეკლესიამ და იქვე აღმოჩენილმა ქვის ძეგლებმა ასეთი ინტერესი გამოიწვია, დღემდე ცნობები მათ შესახებ ფრაგმენტულია, ხოლო ზოგიერთი გამოქვეყნებული ცნობა შესწორებას საჭიროებს. ამ მოკლე წერილში ჩვენ გვინდა, რამდენადმე შევაკასოთ აქამდე არსებული ცნობები და მივაწოდოთ მკითხველებს დამატებითი ინფორმაცია თვით ეკლესიისა და 1970 წ. მის ნანგრევებში აღმოჩენილი ზოგიერთი ქვის ძეგლის შესახებ.

ბურაშენის ეკლესია, რომელიც ს. კაზრეთის მახლობლად ტყით დფარულ ფერდობზე იდგა, დღეს მთლიანად აღგვილია „პირისაგან მიწისა“ და არავითარი ნიშანი მისი არსებობისა აღარ ჩანს. როცა აღნიშნულ ეკლესიას პირველად მიაკვლიეთ, იგი სანახევროდ მიწაში იჯდა (უმთავრესად მისი აღმ. ნახევარი) და თუმცა პერანგი თითქმის მთლიანად შემოძარცული ჰქონდა, მისი გეგმა კარგად იკითხებოდა. იგი წარ-



ბოადგენდა დარბაზული ტიპის მცირე ეკლესიას (ზომები — 3,2X2,2 მ) <sup>კრისტიანული</sup> <sup>წარმოშობისაა</sup> <sup>დაახლოებით</sup> <sup>0,75 მ. კედლების სისქე 0,55 მ)<sup>5</sup>, რომელიც არაფრით გამოირჩევა <sup>საქართველოს</sup> <sup>ეკლესიებისგან</sup>. შერჩენილი, თაღისებრი გადახურვის მიხედვით სრულიად ცხადი იყო, რომ ეკლესიას ორფერდა სახურავი უნდა ჰქონოდა. ეკლესია ნაგები იყო, უმთავრესად პატარა ზომის ნაგლეჯი ქვებით. სარკმელი მხოლოდ აღმოსავლეთის კედელში ჰქონდა გაკეთებული. ეკლესიის დას. ფასადი თითქმის მთლიანად იყო ჩამონგრეული. შერჩენილი იყო მხოლოდ მისი სამხ-დას. კუთხის წყობის ნაწილი. მთლიანად მიწაში იჯდა ჩრდ. კედელი. მიუხედავად იმისა, რომ ეკლესია თავისი მასშტაბით და არქიტექტურით არ იქცევდა ყურადღებას, იგი მაინც მეტად საინტერესო ნაგებობა გამოდგა. ბუნურაშენის ეკლესია საყურადღებოა, როგორც თავისი გეგმით, ისე ადრექრისტიანული ხანის ქვის ძეგლებით, რომელთა ნაწილი ჩაშენებული იყო მის კედლებში, ხოლო ნაწილი მის სიახლოვეს ეყარა. იგი მიეკუთვნება იმ იშვიათ ეკლესიათა რიცხვს, რომელთაც ნახევარწრიული აბსიდა არ გააჩნიათ და საკურთხეველი სწორკუთხა აქვთ. ასეთი ეკლესიები სწორკუთხოვანი საკურთხეველით და ტრომპეზზე დაყრდნობილი კონქით, ცნობილი ყოფილა საქართველოში უძველესი დროიდან — VI ს. მოყოლებული XI ს. დასაწყისამდე, ხოლო შემდეგ პერიოდში უკვე აღარ გვხვდება.<sup>6</sup> ასეთი ეკლესიები არსებობდა დარბაზული ეკლესიებისა და ბაზილიკების გვერდით.</sup>



ზურ. I ეკლესიის გეგმა და პირი.

Рис. I. План и разрез церкви.

რაც შეეხება ბუნურაშენის ეკლესიას, იგი თუმცა სწორკუთხა საკურთხეველიანი ეკლესიების რიცხვს მიეკუთვნება, მაგრამ მას რა გააჩნია ტრომპეზზე დაყრდნობილი



სურ. 2. ეკლესია შიგნიდან (აღმოსავ-  
ლეთით).

Рис. 2. Внутренний вид церкви на  
восток.

კონქი და ამით იგი განსხვავდება ზემოხსენებული ტიპის უაბსიდო ეკლესიებისაგან. სა-  
ქართველოში ამგვარი უაბსიდო ეკლესიებიც არსებობდა, მაგრამ ნ. ჩუბინაშვილი ფიქ-  
რობს, რომ ამ ტიპის უაბსიდო ეკლესიები გვხვდება უფრო გვიან, მოყოლებული გან-  
ვითარებული ფეოდალიზმის პერიოდიდან. ისინი არსებობას განაგრძობენ შემდეგ საუ-  
კუნეებშიც, მაგრამ არ გვხვდება ზემოხსენებულ პერიოდში ე. ი. VI-X სს.<sup>7</sup>

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ლინიშნოს, რომ არქეოლოგმა გ. ღამბაშიძემ  
ხევში, ს. ტყარშეტში 1973 წ. მიაკვლია ორ უაბსიდო ეკლესიას, რომელთაგან ერთია  
„კვირეღვთისმშვილის“ სახელობისა, ხოლო მეორე „მამაწმინდის“. ამ ეკლესიებსაც  
სწორკუთხა საკურთხეველები აქვთ, ოღონდ მათ არ გააჩნიათ ტრომპებზე დაყრდნობი-  
ლი კონქები ისევე როგორც ბურჯაშენის ეკლესიას. ამ ეკლესიებს გ. ღამბაშიძე IX-  
და X-XI სს. მიჯნის ნაგებობებად მიიჩნევს და, ამგვარად იგი ფიქრობს, რომ სწორ-  
კუთხა საკურთხევიანი ეკლესიები (ტრომპებიანი კონქის გარეშე) არსებობდნენ ად-  
რეფეოდალურ ხანაშიც (IX-X სს.)<sup>8</sup>.

ბურჯაშენის ეკლესია თუმცა სწორკუთხა საკურთხევიანი დარბაზულ ეკლესიას  
წარმოადგენდა, მაგრამ იგი არ შეიძლება მი ვაკუთვნოთ ადრეფეოდალური ხანის ეკლე-  
სიების კატეგორიას; ამაზე მეტყველებს ამ ეკლესიის კედლების წყობა, მისი უსწორო  
გეგმა, სარკმლის ჭრილის ფორმა, კედლების სისქე და აგრეთვე მის კედლებში ჩაშენე-  
ბული ადრექრისტიანული სტელეების ფრაგმენტები. ეს ქვები კედლებში შეიძლება ჩაე-  
შენებინათ, გამოყენებინათ საშენ მასალად მას შემდეგ, რაც მათ დაკარგეს თავისი  
მნიშვნელობა. მაგრამ ამ შემთხვევაში ყველაზე მეტად საგულისხმოა ის გარემოება,  
რომ, როგორც ამ ეკლესიის ნანგრევების გათხრების შედეგად გამოიკვია, მიწის ზედა-  
პირზე შერჩენილი ეკლესიის კედლები ამოყვანილი ყოფილა თლილი კვადრებით აშე-



ნებულ უძველესი ეკლესიის ნანგრევებზე.<sup>5</sup> როგორც ჩანს როცა ახალი ეკლესია აგებულია, ძველი ჯერ კიდევ არ ყოფილა მთლიანად დანგრეული. თუ ეს ყველაფერი სწორია, შემოსხენებული ნიშნების გათვალისწინებით, ბუჩურაშენის უახლოეს ეკლესია, შესაძლებელია, შუა საუკუნეების ნაგებობას წარმოადგენდეს. როგორც არ უნდა იყოს. ერთი რამ ცხადია: ამ ადგილას, ადრე აშენებული ყოფილა უძველესი, ადრექრისტიანული ხანის ეკლესია, რომელთანაც დაკავშირებული უნდა იყოს აქვე აღმოჩენილი სტელისა და ბაზის ფრაგმენტები. 1964 წ. ეკლესიაში და მის მახლობლად აღმოჩენილი ქვის ძეგლები თავისი ფორმებით, შემკულობის თემატიკითა და მოტივებით, ჭრის ტექნიკით. სრულ მსგავსებას იჩენენ, როგორც ბოლნისის სიონის შემკულობის მოტივებთან, ისე ამ დროის სხვა ცნობილ ქვის ძეგლებთან.

ამავე პერიოდისაა სტელისა და ჯვრების ის ფრაგმენტები, რომლებიც 1970 წ. ეკლესიის ნანგრევების გროვში აღმოჩნდა. ამ ფრაგმენტებიდან აღსანიშნავია მომწვანო ტუფის სტელის ფრაგმენტი, რომელზედაც შერჩენილია ვაზის რტოს ტრადიციული მოტივი ფოთლების, მტევნებისა და სპირალურად დახვეული ვაზის ულვაშების რელიეფური გამოსახულებით.



სურ. 3 სტელის ფრაგმენტი.

Рис. 3. Фрагмент стелы.

ეს ფრაგმენტი განსაკუთრებით ხაინტყვსია იმიტომ, რომ ვაზის მოტივთან თემატურად დაკავშირებულია ფრინველისა და რაღაც ცხოველის (მელა?) გამოსახულებანი, რომლებიც ურძენს ჭაბუნ. ასეთი მოტივი არ არის უცხო ადრექრისტიანული ხანის ქვის ძეგლების შემკულობისათვის. აღნიშნული მოტივი გარკვეულ მსგავსებას იჩენს, როგორც კომპოზიციის, ისე ვაზის ფოთლებისა და მტევნების მოყვანილობით, ბოლნისის სიონის ბარელიეფებთან და ისეთ ძველ ძეგლებთან, როგორცაა მაგ. აკვანების ბარელიეფი VI ს და პანტიანის ბაზისი VI ს. მეორე ნახევრის — VII ს. ძეგლი<sup>10</sup>.

ადრექრისტიანული ხანის ძეგლებს უნდა მივაკუთვნოთ ქვის ჯვრის ფრაგმენტი სამფურცლოვანი ვარდულის სტილიზებული გამოსახულებით, რომლის დერო ორი მხრიდან მოკლე შტრიხებით არის დაღარული. ანალოგიური ყვავილის გამოსახულებას



ხტრ. 3. ჯვრის დრამატიკა.

Рис. 4. Фрагмент креста.

ვხედებით, როგორც ბოლნისის სიონის, ისე ლამაზი გორის ტერიტორიაზე აღმოჩენილ ქვის ძეგლებზე.<sup>1</sup> ბოლნისის სიონის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ქვის ჯვრების ფრაგმენტები გ. ჩუბინაშვილს „უძველესი ეპოქის“ (V-VI-VII სს.) ძეგლებად მიაჩნია ქვის შემოსხენებული ძეგლები, იმ ძეგლებთან, ერთად, რომლებიც ჯერ 1964 წელს იყო მიკვლეული, ხოლო შემდეგ აღმოჩნდა 1970-1971 წწ. ჩატარებული არქეოლოგიურ გათხრების შედეგად. ყველა დამახასიათებელი ნიშნების მიხედვით ადრექრისტიანული ხანის შესანიშნავ ძეგლებს წარმოადგენდნენ და მრავალრაცხოვანი ანალოგიების დამოწმებით თამამად შეიძლება V-VII სს. უფრო კი V-VI სს. დავათარილოთ. გასაოცარია, რომ ამ პატარა ვკლესიამ შემოგვინახა ამდენი უძველესი და უმნიშვნელოვანესი ძეგლი ჩვენი კულტურისა. მით უფრო სამწუხაროა, რომ ასე უკვალოდ გაქრა ჩვენი წარსულის ეს მემკვიდრე.

<sup>1</sup> ვ. ჯაფარიძე, ქართული ხელოვნებისა და დამწერლობის ახლად აღმოჩენილი უძველესი ძეგლები ქვემო ქართლიდან, „ძველის მეგობარი“ № 20, თბ., 1970, გვ. 52-63.

<sup>2</sup> თ. ყაუხჩიშვილი, კახეთის ბერძნული წარწერა, სსრ მოამბე — XXIII-B თბ., 1967, გვ. 152-165.

<sup>3</sup> შ. სინაურიძე, თ. ბერიძე, კაზრეთის ანტიკური და ადრეფეოდალური ხანის ძეგლები, „ძველის მეგობარი“, 27-28, თბ., 1971, გვ. 46-49; შ. სინაურიძე, 1970-1971 წწ. კაზრეთის არქეოლოგიური ექსპედიცია, სსპ არქეოლოგიური ექსპედიციები, III, თბ., 1974, გვ. 92-104.

<sup>4</sup> ნ. ჩუბინაშვილი, ქვემო ქართლის სტელა-წერები, „ძველის მეგობარი“, 30, თბ., 1972, გვ. 48; მისივე *Хандиси* თბ., 1972, გვ. 9.

ავტორი ორივე ნაშრომში აღნიშნავს, რომ, თითქმის, შ. სინაურიძემ 1964 წ. არქეოლოგიურად გაასუფთავა დარბაზული ეკლესია (ე. ბებურაშენის ეკლესია ვ. ქ.) და აღმოაჩინა სტელებისა და წერების ფრაგმენტები აღნიშნული ეკლესიის ნანგრევები შ. სინაურიძემ პირველად ნახა მხოლოდ 1970 წ. და, მამასაღამე, იგი ვერ აღმოაჩინდა იქ სტელების ფრაგმენტებს 1964 წ. ნ. ჩუბინაშვილი, ეტყობა ვეყარება მდღარ ინფორმაციას. მას რომ ჩაეხედა ზემოხსენებულ ნაშრომებში, ასეთი შეცდომა არ მოუვიდოდა. იგი ამ ცნობასთან დაკავშირებით იმოწმებს შ. სინაურიძისა და თ. ბერიძის ზემოხსენებულ წერილს, რომელშიც საუბარია 1970 წ. ჩატარებულ გათხრებზე და არა 1964 წ. აღმოჩენებზე.

<sup>5</sup> ეკლესია აზომა არქიტექტორმა ს. ბოლქვაძემ, რომელიც მაშინ ჩვენი ექსპედიციის წევრი იყო, ხოლო გაშობაზა ე. კანდელაკმა.

<sup>6</sup> Н. Чубинашвили, Зедзасни, Кликис двари, Гипара (Грузинские церкви с прямоугольным алтарем и конхой на тропях). „ქართული ხელოვნება“, სერია „ძველი ხელოვნება“, თბ., 1971, გვ. 30.

<sup>7</sup> Н. Чубинашвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 62.

<sup>8</sup> გ. ლამბაშიძე, ენეაღის არქეოლოგ. ექსპედიციის ბევის რაზმის 1973 წ. მუშაობის ანგარიში, ხელნაწერი. მოხსენება წაითხველი იყო შეუსაფუძვნების არქეოლოგ. განყოფილება სხდომაზე 1974 წ. ნოემბერში. ხელნაწერით სარგებლობის ნაბარათისთვის ავტორს მადლობას მოვასწავებთ.

<sup>9</sup> შ. სინაურიძე, 1970-71 წწ. კაზრეთის არქეოლოგიური ექსპედიცია, „საქართველოს საბ. მუზეუმის არქეოლოგ. ექსპედიციები“, III, თბ., 1974 წ. გვ. 93. ამ ინფორმაციის დამადასტურებელი ფოტოსურათი სრულიად არადასაყრდენი იქნებოდა და არ იძლევა გარკვეულ წარმოდგენას ეკლესიის წყობაზე. ამასთან, ავტორი არ ვაწუდის აუცილებელ ცნობებს იმის შესახებ თუ უძველესი ეკლესიის ეკლესიის რა ნაწილი იყო შერჩეული, რას უდრდა ამ ეკლესიის სიგრძე, სისქე, მისი ევდრების ზომა; იყო თუ არა საკურობევის ნაწილი შერჩენილი და სხვა. ეტყობა შ. სინაურიძეს ეს ცნობები არ ზიანია მნიშვნელოვნად. შესაძლებელია ძველ ეკლესიასაც სწორედთხა საკურობეველი ჰქონდა!

<sup>10</sup> შეიდ. Г. Н. Чубинашвили Болнис, ენიმის-შოამბე IX, თბ. 1940, ტაბ. III და IV. Н. Чубинашвили, Хандиси, 1972, ტაბ. 11. და 42.

<sup>11</sup> Г. Н. Чубинашвили, დასახ. ნაშრომი, სურ. 64, აგრეთვე ქ. ამირანაშვილი, ადრეფეოდალური ხანის ქართული არქიტექტურისა და რელიეფური ქანდაკების ძეგლები, თბ., 1968, სურ. 20 და 21.

<sup>12</sup> Г. Н. Чубинашвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 96.

АННОТАЦИИ:

АРХЕОЛОГИЯ НА НОВОСТРОЙКАХ  
ГРУЗИИ

Редакционная статья посвящена проблемам археологических исследований на новостройках республики. Неустанным вниманием Коммунистической партии и Советского правительства к проблеме сохранения и изучения культурного наследия прошлых эпох нашло яркое отражение в постановлении Совета Министров СССР, обязавшем все строительные организации финансировать археологические исследования на территории строительства: нельзя допускать, чтобы памятники культуры, иной раз уникальные, разрушались или навсегда покрывались водой, так же как нельзя приостанавливать или тормозить темпы строительства. Таким образом, археология оказалась тесно связанной с социалистическими новостройками. Масштабы археологических исследова-

ний в Грузинской ССР, столь богатой выдающимися памятниками всех эпох человеческого прошлого, станут еще более обширными в связи с историческим постановлением ЦК КПСС и Совета Министров СССР о Грузинской ССР, что в свою очередь требует эффективной и планомерной организации археологических исследований на территории новостроек. Именно с этой целью при президиуме АН Грузинской ССР под председательством президента Академии наук акад. И. Н. Векуа создан Научный Совет по координации археологических исследований на новостройках Грузинской ССР. В работе Совета наряду с археологами принимают участие руководители министерств, ведомств и организаций, ведущих строительство на территории Республики.

Р. РАМИШВИЛИ

НОВЫЕ АРХЕОЛОГИЧЕСКИЕ  
ОТКРЫТИЯ НА НОВОСТРОЙКАХ  
АРАГВСКОГО УЩЕЛЬЯ

Пятый год Институт истории археологии и этнографии им Н. А. Джавахишвили АН Грузинской ССР ведет археологические изыскания вдоль Военно-Грузинской дороги, в районе строительства Жинвальского гидроузла. За эти годы Жинвальской комплексной экспедицией проделана

большая работа, выявлено множество до сих пор не известных памятников.

Настоящая статья посвящена описанию и краткой характеристике богатых погребальных комплексов Арагвипирского могильника, которые датируются III—IV вв.

Р. АБРАМИШВИЛИ.

А. РАМИШВИЛИ

### АРХЕОЛОГИЧЕСКИЕ РАСКОПКИ В ТБИЛИСИ

Археологическая экспедиция Института истории, археологии и этнографии им. И. А. Джавахишвили ведет основные работы в районе Дигомского массива. Обнаружены разновременные памятники, относящиеся к периоду начиная с эпохи энеолита — ранней бронзы и до феодальной эпохи включительно. Выявлены поселения и связанные с ними могильники.

Наряду с раскопками велись разведочные работы, в результате которых почти во всех районах г. Тбилиси выявлены до 200 памятников относящихся к периоду от V тысячелетия до н. э. и до позднего средневековья. Следует отметить, что древнейшие районы г. Тбилиси — Кала и Исани были заселены с конца II тысячелетия до н. э.

К. ПИЦХЕЛАУРИ

Ш. ДЕДАВРИШВИЛИ

### НОВЫЕ АРХЕОЛОГИЧЕСКИЕ НАХОДКИ В КАХЕТИ

Кахетская археологическая экспедиция Института истории, археологии и этнографии им. И. А. Джавахишвили основные исследования проводит на территории работ по мелiorативному улучшению Алаванской долины для Цiorского животноводческого комплекса.

За последние два года было изучено несколько курганных захоронений. Среди них наибольший интерес представляют курганы № 1 и № 2.

Первый курган колоссальных размеров: высота насыпи 10—11 м, диаметр 140 см. Под насыпью было обнаружено круглое надземное строение из сухой кладки галечника, восточнее которого был обнаружен громадный погребальный зал вырытый в земле. В име начата расчистка большого бревенчатого здания исследование которо-

го закончится в 1975 г.

Второй курган находится северозападнее первого, на расстоянии 1 км. Под насыпью (высота 2—2,5 м, диаметр 80 м) была обнаружена погребальная яма (10—10 м), сверху перекрыта бревенчатым настилом, обмазана глиной покрыта рагожей.

В погребальной яме обнаружено два человеческих скелета на правом боку с согнутыми конечностями. Один скелет без сопровождающего инвентаря, второй — с большим количеством драгоценностей — золотые бусы, серебряные браслеты и т. д. Кроме этого в погребении найдены глиняные сосуды разных размеров, золотые украшения и золотая скульптура льва около арбы.

Предварительно оба кургана датировем концом III тыс. до н. э.

В. ДЖАПАРИДЗЕ

### О РАБОТЕ ВАРДЦИХСКОЙ АРХЕОЛОГИЧЕСКОЙ ЭКСПЕДИЦИИ В ЗОНЕ СТРОИТЕЛЬСТВА ВАРДЦИХЕГЭС

Вардцихская археологическая экспедиция, которая начала свои работы с разведки раннесредневекового городища Вардцихе (по византийским источникам — «Родополис»), с 1972 года проводит сравнительно большие археологические разведки и раскопки в зоне строительства Вардцихских ГЭС, по обоим берегам р. Рioni. Городище Вардцихе значительно постра-

дало как в историческом прошлом, так в наше время при изыскательских работах в связи со строительством ГЭС и др.

Раскопки выявили значительную часть древнейшего фортификационного комплекса, которая датируется IV-V веками. Культурные слои этого периода представлены многочисленными археологическими матерна-



лами как местного, так и иностранного производства. Археологические данные подтверждают сообщение письменного источника о разрушении крепости в VI веке. Значительное возрождение жизни в крепости наблюдается в IX-XI веках. Остатки построек этого периода прослеживаются фрагментарно, но культурные слои распространены по всей территории крепости.

В позднем средневековье Вардixe - Вардixe являлась резиденцией умеретинских царей.

В селе Вардixe интерес представ-

ляют результаты археологических разведок поселения античного периода, центром которого является холм, отдаленный от террасы р. Риони искусственным рвом.

Из памятников, выявленных на правом берегу р. Риони, заслуживают внимания остатки поселения в селе Гегути и многослойный памятник — искусственный холм в селе Патриети.

Экспедиция проводит интенсивные археологические разведки в Майковском районе.

А. БОХОЧАДZE

### МАТЕРИАЛЫ ДЛЯ АРХЕОЛОГИЧЕСКОЙ КАРТЫ ПОСЕЛКА МЦХЕТА

В статье дается краткое описание проведенных на территории современного Мцхета археологических раскопок, а также случайных находок.

Все это является материалом для составления археологической карты Мцхета.

Л. ЦИТЛАНАДZE,  
Г. МИРЦХУЛАВА,  
М. ГОЧИАШВИЛИ

### АРХЕОЛОГИЧЕСКИЕ ИЗЫСКАНИЯ В СЕЛЕ МЧАДИДЖВАРИ

Нареквавская археологическая экспедиция Института истории, археологии и этнографии им. Джавахишвили АН ГССР проводила археологические изыскания в бассейне р. Нареквави (Душетский район), где велись работы, связанные со строительством новой оросительной системы.

В селе Мчадиджвари археологи приступили к изучению многослойного населенного холма, где выявились разновременные культурные слои. На восточном склоне обнаружили строения раннефеодального периода, уничтожившиеся слои позднебронзовой эпохи. Позднебронзовая эпоха на холме представлена несколькими пластами. Верхний сохранил керамику желтого и красного обжига, нижний — черную и чернолощеную. Оружия из камня и металла почти отсутствуют, есть много изделий из рога (кости) остеологический материал, состоящий из костей крупного и мелкого рогатого скота, во всех слоях обилён. Следует отметить две глиняные пе-

чати с геометрическими изображениями.

За бронзовыми пластинами следует 80-сантиметровый стерильный слой земли, а затем слой, относящийся к раннебронзовому периоду. Можно различить две строительные эпохи. Керамика представлена главным образом изделиями красного, красно-желтого, сероватого обжига. Сохранился контур четырехугольного жилища, очаг, подставки, жернова, вестки. Нижний слой холма относится к куро-аракской культуре эпохи ранней бронзы, к ее раннему этапу.

Вблизи холма было раскопано грунтовое поврежденное погребение. Костяк не сохранился. Погребальный комплекс состоял из глиняной посуды черного и красного обжига, железного оружия и украшений. На основании красной и узорной керамики погребение датируется IV-III вв. до н. э.

Во время разведочных работ в се-



ле Млаше вместе с сотрудниками Душетского краеведческого музея были расчищены каменные погребения феодальной эпохи VII—VIII вв., содержащие интересный инвентарь, среди них позднеасанидская гемма.

Много интересных памятников наружено в селе Мчадиджвари и ущелье Нареквани, изучение которых и поставила своей целью Нарекванская экспедиция.

**П. ЗАКАРАЯ,**  
**Н. ЛОМОУРИ,**  
**В. ЛЕКВИНАДЗЕ**

**АРХЕОЛОГИЧЕСКИЕ РАСКОПКИ  
АРХЕОПОЛИСА**

Археополис, расположенный на территории современного села Нокалакеви (в Цхакаевском р-не), являлся в IV-VIII вв. столицей Эгрисского (Лазского) царства, т. е. всей Западной Грузии. Памятник этот представлен в основном грандиозными фортификационными сооружениями IV и V-VII вв. и сравнительно небогатым культурным слоем. С 1973 г. Археополис раскапывается экспедицией Государственного музея Грузии им. акад. С. Н. Джанашиа. Основные работы экспедиции связаны с расчисткой фортификационных сооружений, окончательное выявление, которых потребует многих лет. Уже пол-

ностью выявлена в Археополисе баня, являющаяся, пожалуй, самым сложным и интересным сооружением этого рода и времени на территории Советского Союза. Экспедицией обнаружены в Археополисе: вислая свинцовая печать, византийские монеты, много обломков стеклянной и керамической посуды, относящейся к эпохе существования города. Кроме того, экспедиция обнаружила перед стенами Археополиса кувшинный могильник эллинистической эпохи. Экспедиция ставит своей целью также осуществление в широких масштабах консервации и частичной реставрации выявленных здесь памятников.

**Н. АБРАМИШВИЛИ**  
**БРОНЗОВЫЙ ПОЯС ТРЕЛЬСКОГО  
МОГИЛЬНИКА**

В 1968—1973 гг., наряду с другими интересными материалами, Тбилисская археологическая экспедиция Института истории, археологии и этнографии АН ГССР обнаружила на территории Дигомского массива, в т. н. Трельском могильнике, гравированные бронзовые пояса, характерные для культур Закавказья эпохи поздней бронзы и раннего железа.

В настоящей статье рассматривается пояс, найденный в одном из погребений (№ 74) знатного воина. Он представляет собой тонкий бронзовый лист удлинненной формы, на котором в технике гравировки с применением пунсона выполнены декоративный мотив и сюжетная композиция, включающая сцены охоты, с фигурами людей, животных, птиц, рыб и астральные знаки.

Декоративное украшение плоскости является основной художественной задачей мастера, что подчеркивается соотношением орнамента с сюжетными композициями, стремлением заполнить свободную плоскость пояса изображениями, нарушающими строгую симметрию, и плоскостным решением фигур, обработанных штрихом и пунсоном.

Отдельные изображения и сюжетные композиции на поясе расположены симметрично, а чередование фигур создает ритмичность и динамику.

Пояс Трельского погребения № 74 имеет схожие признаки с определенной группой поясов из Самтавро №№ 211, 276, 281), а именно — в постановке художественной задачи, т. е. в декоративно-плоскостном решении, в трактовке формы, движения



и обработке отдельных изображений, а также в характере орнамента и в системе его распределения.

Трельский пояс из погребения № 74 в силу его сходства с поясами из Самтавро, а также близости форм изоб-

раженных фигур, с одной стороны с памятниками Колхской культуры, а с другой — с Гандриа-Карабахской позволяет высказать предположение о его местном происхождении.

**О. ГАМБАШИДЗЕ**

**РВЕЛЬСКИЙ МОГИЛЬНИК**

С новостройками в Боржомском ущелье связано выявление и изучение значительных археологических памятников. С этой точки зрения большой интерес представляют многоярусные могильники Рвели, «Читахевис мидеби», древнейшее поселение у с. Саючао и др. Топография распространения археологических памятников в Боржомском ущелье показывает, что все те террасы, которые ныне заселены и использованы для хозяйства, были освоены с древних времен.

Основу возникновения многоярусных памятников и вообще археологических памятников в Боржомском ущелье создавали географическое расположение этого региона и его геоморфологические и климатические факторы.

Нижний слой Рвельского многоярусного могильника относится к куро-аракской культуре (III тыс. до н. э.). Эпоха средней бронзы представлена незначительным количеством археологического материала (табл. 1—1, 2, 3). Найденный плоский топор (табл. 1—2) датирует весь археологиче-

ский комплекс первой половиной II тыс. до н. э.

В погребениях эпохи поздней бронзы особенно многочисленны украшения (табл. 1—6, 7, 8, 9, 12, 13, 14, 15, 16, 17). Появление на Рвельском могильнике погребений с железным инвентарем относится ко второй четверти I тыс. до н. э. (табл. II—1, 2, 3, 8). Этот материал датируется VII—VI вв. до н. э. Материал более позднего времени вместе с железным инвентарем содержит и бронзовые наконечники стрел «скифского типа» (табл. II), которые датируются VI—IV вв. до н. э.

Покойники на Рвельском могильнике похоронены в каменных ящиках и грунтовых погребениях. Костяки лежали скрещенными, на правом или левом боку.

Даже этот скудный археологический материал Рвельского могильника дает возможность проследить процесс развития общества с III тыс. до н. э. до IV в. Поэтому полное изучение Рвельского могильника имеет большое научное значение.

**III. ИРЕМАШВИЛИ**

**ВПЕРВЫЕ В АРХЕОЛОГИИ**

В начале августа 1974 г. в селе Рене Каспского района во время земляных работ на территории фермы были повреждены два грунтовых погребения.

Из найденных предметов наибольшего внимания заслуживает бронзовый топор центрального закавказского типа с бронзовой рукояткой и скульптурным изображением собаки на обухе. Топор и рукоятка богато орнаментированы. Все это говорит о

его культовом и ритуальном назначении. Такой топор в археологии встречается впервые, поэтому он представляет большую ценность для науки.

Материалы, добытые из погребений в с. Рене, предварительно датируются XIII—VII вв. до н. э. Вышеописанный топор, в частности, относится к VIII—VII вв. до н. э.

Эти материалы находят близкие параллели с синхронными памятниками Шида Картли.



А. КАЛАНДАДЗЕ  
К. КАЛАНДАДЗЕ

**РАСКОПКИ В БЕЛОЙ ПЕЩЕРЕ  
В 1974 г.**

Белая пещера — одна из достопримечательностей г. Цхалтубо — находится на окраине села Хомули, в двух км. к СВ от центра курорта, на выс. 100 м. над у/м. Выработана она в известняках нижнемелового возраста. Вход в пещеру в настоящее время закрыт из-за обрушения свода в ее ЮЗ части. Ввиду этого пещера сейчас представляет собой огромную карстовую полость в виде подземного зала с полом горизонтального простирания наибольшей длиной 100 м, шириной 35 м., высотой 8 м и общей площади ок. 2000 м<sup>2</sup>. В подземелье сейчас можно проникнуть через колодеобразное отверстие diam. 2 м глубиной 7—8 м. Свод, карнизы и места и стены украшены разноцветными химическими натечками в виде сосулек сталактитов и драпировок поразительной красоты. С потолка повисшими кальцитами пола пещеры во многих местах поднимаются натечные столбы и сталагмиты. Один из них имеет в окружности 10—11 м и при стыке со сводом украшен ступенчатой драпировкой.

Раскопки 1974 г. охватившие более 200 м<sup>2</sup> и доведенные только в поисковых шурфах до 10-метровой глу-

бины, вскрыли два культурных слоя: верхнепалеолитический и энеолитический.

Верхнепалеолитический слой мощностью 60—70 м, содержал кремневый инвентарь (остроконечники, скребки, резец, ножи, пластинки, отщепы и др.), костяные орудия (щипля, проколки) и огромное количество раздробленных костей четвертичных животных.

Энеолитический слой мощностью 30—40 см, содержал обрывки глинобитного пола, небольшие очаги, битую глиняную посуду, глиняные фигурки животных и людей (?), ритуальные хлебцы, прясла, угли, золу, ямки, кремневые орудия (скребки, резцы, ножи, пластинки, отщепы и др.), орудия из речной гальки (топоры, стамески, куранты, ударники и др.), орудия из кости и рога (щипля, иглы, лощила, ретушеры и др.).

Раскопки в Белой пещере будут продолжены.

Сегодня Белая пещера охраняется и благоустраивается как редкий памятник природы и материальной культуры, а также как первенец спелеотерапии в нашей стране.

В. В. ДЖАПАРИДЗЕ

**ЛЕТОПИСЕЦ НАШЕЙ ИСТОРИИ  
(Еще раз о Бучурашнской церкви)**

Развалины этой маленькой зальной церкви (разм. 3,2×2,2 м) в местности Бучурашени были обнаружены Дманисской археологической экспедицией в 1964 г. в 2—3 км. к северо-западу от с. Каарети (Болнисский район), в густом лесу. Недалеко от церкви находились карьеры Мадиевского горнообогатительного комбината.

Внутри и около церкви были обнаружены весьма значительные фрагменты каменных стел раннехристианского времени, в том числе большая ваза с древнегреческой надписью.

Повторно эту церковь посетили в 1970 г. Уже тогда работниками комбината церковь была разрушена и снесена наполовину. В развалинах церкви снова были обнаружены фрагменты древних стел и крестов. Комбинат собирался полностью снести остатки этой церкви, и поэтому в ре-

зультате нашей докладной записки Гос. музеем Грузии были проведены археологические раскопки на этой территории. При раскопках была обнаружена третья по счету группа фрагментов стел и произведена фиксация развалин. После этого церковь была снесена комбинатом.

О самой церкви и о древних каменных памятниках в течение нескольких лет в различных научн. органах публиковались статьи, краткие отчеты и сведения (В. В. Джапаридзе, Т. С. Каухчишвили, Т. Беридзе и М. Синауридзе, Н. Г. Чубинашвили), в том числе и в настоящем сборнике (№№ 20; 27—28, 30). Несмотря на это, все же сведения об этих памятниках фрагментарны. Наша цель — восполнить некоторые пробелы.

1. Редким памятником является церковь, которая имеет не полукруглую абсиду, а прямоугольный алтарь



(план и разрез публикуются впервые). По строительной технике, неправильному плану, кладке стен, а также по тому, что в стены этой церкви были встроены фрагменты раннехристианских стел, она, скорее всего, является средневековым памятником.

II. Здесь же впервые публикуются некоторые фрагменты стел, обнаруженные в развалинах церкви в 1970 г. По своим орнаментальным мотивам, композиции, стилю, технике резьбы, эти фрагменты находят прямые аналогии с такими хорошо датированны-

ми памятниками, какими являются рельефы Болнисского сина, рельеф из Акванеба, база из Пантиани и др. На этом основании указанные фрагменты каменных стел можно датировать V—VI вв.

Если представить себе все памятники, обнаруженные в развалинах этой маленькой церкви, то приходится удивляться, как могла она сохранить такое количество значительных памятников нашей древней культуры. Тем более досадно, что исчез этот летописец нашей истории.

ს ა რ ა მ ი შ ი

სხალმშენებლობა და არქეოლოგია	5
რ. რამიშვილი, ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები არაგვის ხეობაში	7
რ. აბრამიშვილი, ბ. რამიშვილი, არქეოლოგიური გათხრები თბილისში	16
ბ. შინგალიაური, შ. დეაბერიშვილი, ახალი საურთაღებო არქეოლოგიური აღმოჩენები კახეთში	25
მ. მ. ჯაფარიძე, ვარდციხის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგებზე ვარციხის მშენებლობის ზონაში	30
ბ. ბრინკაძე, მასალები დაბა მცხეთის არქეოლოგიური რუკისათვის	35
ლ. წითლანაძე, ბ. შინგალიაური, მ. ბრინკაძე, არქეოლოგიური კვლევა სოფ. მკალიჯვარში	41
ბ. ჯაბარბაი, ნ. ლომოური, ლ. ლაშქინაძე, ნოქალაქევი-არქეოპოლისი	47
ნ. აბრამიშვილი, თრელის სამაროვნის ბრინჯაოს სარტყელი	52
მ. ლაშქინაძე, რველის სამაროვანი	58
შ. ირამიშვილი, პირველად არქეოლოგიაში	61
ბ. კალანაძე, ბ. კალანაძე, თეთრი მღვიმე	67
მ. მ. ჯაფარიძე, ჩვენი ისტორიის ერთი მემკვიდრე	73
ანოტაციები რუსულ ენაზე	79

Археология на новостройках Грузии	5
Р. Рамишвили, Новые археологические открытия на новостройках Арагвского ущелья	7
Р. Абрамишвили, А. Рамишвили, Археологические раскопки в Тбилиси	16
К. Пицхелаури, Ш. Дедабришвили, Новые археологические находки в Кახети	25
В. М. Джапаридзе, О работе Варцихской археологической экспедиции в зоне строительства ВарцихеГЭС	30
А. Бохочадзе, Материалы для археологической карты поселка Мцхета	35
Л. Цитланидзе, Г. Мирцхулава, М. Гочияшвили, Археологические изыскания в с. Мчадиджвари	41
П. Закарая, Н. Ломури, В. Левкинадзе, Археологические раскопки Археополиса	47
Н. Абрамишвили, Бронзовый пояс Трельского могильника	52
О. Гамбашидзе, Рвельский могильник	58
Ш. Иремишвили, Впервые в археологии	64
А. Каландадзе, К. Каландадзе, Раскопки в белой пещере в 1974 г.	67
В. В. Джапаридзе, Летопись нашей истории	73
Анотации на русском языке	79

ГРУЗИНСКОЕ ОБЩЕСТВО ОХРАНЫ ПАМЯТНИКОВ КУЛЬТУРЫ

Серия: «Памятники материальной культуры»

Выходит на общественных началах  
«ДЗЕГЛИС МЕГОБАРИ»

(Друзья памятников культуры)

Сборник тридцать девятый

(На грузинском языке)

27/22



გადაეცა წიგნობებს 16/VI-75 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 17/X-75 წ.  
ფიზიკურ ფორმათა რაოდ. 5,5. სააღ. საგამომ. თაბ. 4,5.  
ანაწყოების ზომა 7×11,5 ქაღალდის ზომა 70×108/16.

ფასი 72 კაპ.

Цена 72 коп.

რედაქციის მისამართი: ძე რ ე ი ნ ს კ ი ს ქ. 19, ტელ. 29-84-47.

შეკვეთა № 2454.

უე 01082

ტირაჟი 3.000.

საჭარბველოს კ ც-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.  
Типография издательства ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина, 14.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

